ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიბერალი
№ 172
თებერვალი-აგვისტო 2016

1737
2016

ღვაზინეზა ნასსელში

33. 16

ფასი 5 ლარი

ISSN 1987-7528



ეროვნული ბიბლიოთეკა

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
პირველი წიგნი

გამომცემლობა „არტანუჯი“

ლიბერალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიბერალი

№ 172 ივლისი-აგვისტო 2016

ჟურნალის რედაქტორი
ზურაბ ვარდიაშვილი

ვებგვერდის რედაქტორი
ლიკა ზაკაშვილი

ახალი ამგების რედაქტორი
დათო გამისონია

ფოტორედაქტორი
ლევან ხერხეულიძე

ჟურნალისტები
ზურაბ ვარდიაშვილი, ლიკა ზაკაშვილი, ქეთევან ღვედაშვილი, თათია ხალიანი, ეკა მაღალდაძე, სოფო აფციაური, თეი კანაშვილი, დათო ფარულავა, ნათია ამირანაშვილი, დათო გამისონია, სალომე გორგოძე

კონტრიბუტორები
ლევან ახალაია, დავით ბუხრიკიძე, გიო ახვლედიანი, ლევან ბერძენიშვილი, გიორგი ძნელაძე, გრიგოლ გეგელია, ნინო ნატროშვილი, მირიან გამრეკელაშვილი, ლუიზა ჩალათაშვილი, გიორგი კეკელიძე

ჟურნალის დიზაინერი
თორნიკე ლორთქიფანიძე

ჟურნალის და ნიუსჯგუფის რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი
ნინო კალატოზიშვილი

თემატური ჯგუფის რედაქტორ-სტილისტი/კორექტორი
ნათია ორმოცაძე

ბიზნესგანვითარების მენეჯერი
ქეთევან ქავთარაძე

ადმინისტრაციული მენეჯერი
მზია კუბლაშვილი

დისტრიბუტორი
გიგი ნაზარაშვილი

ჟურნალის გამოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 247 02 46

გამომცემელი:
შპს „ლიბერალი“.
მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქ. 50. ტელ.: (995 32) 2470246
ელ-ფოსტა: info@liberali.ge
ვებგვერდი: www.liberali.ge
საავტორო უფლებები დაცულია. ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების ნაწილობრივი და/ან მთლიანი გამოყენება რედაქციის თანხმობის გარეშე აკრძალულია.

ბეჭდვა:
შპს „სეზანი“.
მისამართი: თბილისი, წერეთლის გამზ. 140. ტელ.: (995 32) 235 70 02.

გამოდის თვეში ერთხელ, ყოველ 10 რიცხვში. პირველი ნომერი გამოცემულია 2009 წლის მაისში.

რეკომენდებული საცალო ფასი 5 ლარი.

www.liberali.ge



სხვა დანაშაული

ქმრისა და შვილის მკვლელობაში ბრალდებული მაგდა პაპიძე 12-მა ნაფიცმა მსაჯულმა ერთხმად, არც ერთი მოწინააღმდეგე ხმით ცნო დამნაშავედ. მსაჯულებს ვერდიქტის გამოსატანად მათთვის განკუთვნილი დრო სრულად არც დასჭირვებიათ, რამდენიმე დღის შემდეგ კი მოსამართლემ ბრალდებულს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

ეს სვეტი მიზნად არ ისახავს კრიმინალური საქმის დეტალების განსჯას, ვერდიქტის გაანალიზებას, იმის დადგენას, შეცდა თუ არა 12 მსაჯული და სასამართლო. უფრო მეტიც, სვეტი არ ეხება არც თავად მაგდა პაპიძეს.

მე ვწერ აპლოდისმენტების შესახებ. აპლოდისმენტების, რომელიც ორჯერ მოსწყდა დარბაზს, ერთი – მსაჯულთა ვერდიქტის, მეორე – სასჯელის ზომის გამოცხადებისას.

მოდით, ვაღიაროთ, ეს არ იყო აპლოდისმენტები, რომელიც ეძღვნებოდა სამართლის აღსრულებას, ის კი არა, მკვლელისთვის სამაგიეროს მიზღვა-საც არ უკრავდა ხალხი ტაშს. აპლოდისმენტები დაიმსახურა სასჯელმა, თავს დამტყდარმა ქალზე, რომელიც არ ჯდებოდა „ნორმებში“, ხალხი ტაშს უკრავდა ქალის დასჯას, რომელიც შემზარავ დანაშაულში იყო ბრალდებული, მაგრამ მის დანაშაულს „ამძიმებდა“ ისეთი ფაქტები, როგორებიცაა სკაიპით ბიჭთან მესიჯობა, ქორწინებამდე „ინტიმური კონტაქტი“ სხვა მამაკაცთან, გამომწვევი ჩაცმულობა, ფეისბუქზე დაშეარებული ვიდეოები ეშმაკებზე და ა.შ.

არ ვიცი, მაგდა პაპიძე მკვლელია თუ არა, შესაძლოა, არის კიდეც, თუმცა ერთი რამ რაც ნათელია, ისაა, რომ პროკურატურას, სასამართლოს, მედიას, ხალხს (რომელთაც ნაფიცი მსაჯულები და დარბაზში მოსეირე მაყურებლები წარმოადგენდნენ) ის მხოლოდ კრიმინალისთვის არ დაუსჯიათ, მაგდა პაპიძის დანაშაული არის სხვა, რა არის ეს სხვა? – ჰკითხეთ საკუთარ თავს.

ზურაბ ვარდიაშვილი, ჟურნალის რედაქტორი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

სარჩევი

04 **ავტორები**

მიმოხილვა

06 ფეხბურთი, შოკოლადი და რეფერენდუმი
ავტორი: ლევან ახალაია

პოლიტიკა

10 Brexit: ერთი ისტორიის დასასრული
ავტორი: გრიგოლ გეგელია

16 დაბრუნება წარსულში
ავტორი: დათო გამისონია

რელიგია

22 რას მოგვიტანს წმინდა კრება
მირიან გამრეკელაშვილი

28 მტვრით დაფარული ღვთისმშობელი
ავტორები: დათო ფარულავა, ბასტი მგალობლიშვილი

40 ფეხი დამადგით, გულზე დამადგით... ისურვე დავით?!
ავტორი: თეი კანაშვილი

სამართალი

44 მაგდას „საკუთარი ოთახი" და ალქაჯებზე ნადირობა
ავტორი: გიორგი ძნელაძე

ინტერვიუ

50 ძალა, რომელიც ქმრის მუშტებზე მეტია
ავტორი: ბასტი მგალობლიშვილი

საზოგადოება

54 სამაგალითო ბრძოლა
ავტორი: ნინო ნატროშვილი

57 „გოგონები შულავერიდან
ავტორი: ქეთევან ღვედაშვილი

60 სროგორ დავამარცხოთ აზარტი
ავტორი: ნათია ამირანაშვილი

ფოტოპროექტი

66 სხვა სივრცე
ავტორი: ლუიზა ჩალათაშვილი

ბიბლიოთეკა

76 ჩემი საზაფხულო არდადეგები
ავტორი: გიორგი კეკელიძე

78 სიყვარულის წიგნები
ავტორი: ლევან ბერძენიშვილი

კულტურა

82 როგორ გავაპიარ-პრავოთ 29 მილიონი
ავტორი: დავით ბუხრიკიძე

სპორტი

88 სადამდე მისვლის ამბავი
ავტორი: გიო ახვლედიანი

ილუსტრაცია
ანუკა ნადარეიშვილი

საზოგადოება

გოგონები შულავერიდან

მარნეულის რაიონის სოფელ შულავერში, აჭარელი ეკომიგრანტებით, აზერბაიჯანელებითა და სომხებით დასახლებულ ტერიტორიაზე უკვე ერთი წელია, სკოლა „ჰობი სტუდია" გაიხსნა. აქ მსურველები ქარგვას, კერვას, თექასა და ბისერებზე მუშაობას სწავლობენ. თუმცა იდეის ავტორს, მარინა წიქარიშვილს სკოლის დაარსებისას მხოლოდ ეს მიზანი არ ჰქონია. მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელის გათვალისწინებით, მას სურდა, სკოლა მოსწავლეების რეინტეგრაციისთვისაც გამოეყენებინა, მათთვის ქართული ესწავლებინა და საქართველოს შესახებ მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა.

ქეთევან ღვედაშვილი
გვ.57

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეხიბია

რას მოგვიტანს წმინდა კრება

ნებისმიერი რელიგის შიგნით, ადრე თუ გვიან, დგება ჟამი, რომ საკუთარი თავი ახლიდან განუცხადოს კაცობრიობას და გარე სამყაროს, თუ მას სურს, იყოს უნივერსალური, საჯაროდ მოქმედი, ღია ნებისმიერი ადამიანისათვის. ამგვარი შეკრებების საჭიროებას ხშირად, არა მხოლოდ მეტაფიზიკური (საეკლესიო ენაზე დოგმატური), არამედ პრაქტიკული საკითხების მოგვარების საჭიროებაც განაპირობებს ხოლმე. ამ სახის აქტის მომწიფებას, რელიგიური ორგანიზმის სიდიდისა და გეოგრაფიული გავრცელების არეალის მიხედვით, შეიძლება, საუკუნეებიც კი დასჭირდეს,

მირიან გამრეკელაშვილი
63.22

სამპოთალი

მაგდას „საკუთარი ოთახი“ და ალქაჯებზე ნადირობა

ჰერმენევტიკული წიაღსვლა არ სჭირდება იმის გააზრებას, რომ საზოგადოება სხვადასხვაგვარად რეაგირებს ქალისა და კაცის განსჯა-გასამართლებისას. სქესი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია; სწორედ ის განსაზღვრავს ხალხის ემპათია-თანაგრძნობის „ხარისხსაც“ და ძაგება-გაქილიკება-გაკილვის სიმძაფრე-სიმწვავესაც. ქმრის მკვლელი ცოცხლად უნდა დავწვათ და ავკუწოთ, ცოლის მკვლელზე კი ვთქვათ: „საწყალი კაცი, რა დღეში ჩააგდო ბოზმა ქალმა!“. ეს ზნემაღალი ხალხი არასოდეს გამოიჩენს ასეთ შემწყნარებლობას დამნაშავე ქალისადმი. მხოლოდ მაშინ აღმოხდებათ აღტაცებანარევი შეძახილები, როცა ქალის თავ-კისრად შერაცხული კაცი საკადრისად დასჯის „უწესო“ ცოლს, ადგილს მიუჩენს „აღვირახსნილს“ და „მუხლებში გადაამტვრევს“.

გიორგო ძნელაძე
63.44

საზოგადოება

სამაგალითო ბრძოლა

14 წლის ტამასიპანი თანატოლ ბიჭებთან ერთად ჩვეულებისამებრ კოლეჯში მიდის, თუმცა დღეს გაკვეთილების ნაცვლად შეხვედრაზე მიეჩქარება. სამოა-საქართველოს თამაშამდე 3 დღეა დარჩენილი, მაგრამ ქართველმა მორაგბეებმა დრო მაინც გამონახეს და აველეს კოლეჯს სტუმრობენ. ტამასიპანიც აქ სწავლობს. შეხვედრა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და მის მნიშვნელობას ეძღვნება. ისევე, როგორც ბევრ სამოელ ბიჭს, რაგბი ტამასიპანისაც ძალიან უყვარს და არც ძალადობაზე საუბარი ეუცხოვება: აველეში ასეთი შემთხვევები ხშირად ხდება.

ნინო ნატროშვილი
63.54

პოლიტიკა

Brexit: ერთი ისტორიის დასასრული

Brexit უდავოდ არის ისტორიის დასასრული; მაგრამ იგი მხოლოდ ერთი ახირებული ისტორიის დასასრულია, ხოლო ისტორია, როგორც ასეთი, გრძელდება.

გრიგოლ გეგელია
63.10

მიმოხილვა

ფეხბურთი, შოკოლადი და რეფერენდუმი

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გერმანიაში შოკოლადის მწარმოებელი იტალიური კომპანია „ფერეროს“ გარშემო, ერთი შეხედვით, ღიმილის მომმგვრელი სკანდალი აგორდა.

ლევან ახალაია
63.06

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიო ახვლედიანი

სადამდე მისვლის ამბავი

ჩემს მახსოვრობაში უელსის ნაკრები რამდენჯერმე ყოფილა შესახედი და კარგი გუნდიც, მთლად რამდენიმე ვერსკვლავიც ჰყოლია ხოლმე სასტარტოში, მაგრამ არც ერთ იმ ნაკრებს, დასამახსოვრებელი თამაშების მიუხედავად, სადმე ფინალურ ეტაპზე გასვლა არ გამოსვლია და მით უმეტეს, არც დიდი შეჯიბრის მეოთხედფინალში ყოფნა.

ნათია ამირანაშვილი

როგორ დავამარ-ცხოთ აზარტი

აზარტომანია დაავადებაა. ვალები, ლომბარდში ჩადებული სახლი, მანქანა, ნივთები, თამაშში დაკარგული წლები, სუიციდი – ეს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების ყოველდღიურობაა. ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებს ფსიქოსოციალურ დახმარებას შესთავაზებს.

თეი კანაშვილი

ფეხი დამადგით, გულზე დამადგით... ისურვე დავით ?!

მაღაზიის კარში მოქცეული თეთრი მარმარილო წარწერით „მადლიერი შთამომავლებისგან“ დავით სარაჯიშვილს ეძღვნება. ქვის ქვეშ ქართველი მეცენატი და მისი მეუღლე ასვენია, უკან – მაღაზიის დახლები. მაღაზიაში მომუშავე ქალბატონს თუ ჰკითხავთ, ეს როგორ მოხდა, გაგიბრაზდებათ.

> ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია ისტორიულად კათოლიკური 6 ეკლესიის დაბრუნებას მოითხოვს, რომლებიც სახელმწიფომ საპატრიარქოს სხვადასხვა დროს გადასცა საკუთრებაში.



დათო ფარულავა, ბასტი მგალობლიშვილი

მტვრით დაფარული ღვთისმშობელი

ღვთისმშობელი მარიამი მტვრის სქელი ფენით არის დაფარული. სანამ საკუჭნაოს ბნელ კუთხეში, თაროზე აღმოჩნდებოდა, ხატი ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ივლიტაში კათოლიკურ ეკლესიაში იყო დასვენებული. თუმცა ეს მრავალი წლის წინ იყო. დღეს ხატი ეკლესიის გვერდით, მრევლის სამლოცველოდ ქცეულ სახლში ინახება.

ბლოგი

ლევან ჯობავა

„ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ვიფიქროთ, რამე დამთავრდა“

სამი მარცხის შემდეგ ძალა მოიკრიბეს, ფეხზე დადგნენ და ევროპული რაგბის მამებს კიდევ ერთხელ დაუკაკუნეს კარზე. ხოდა, მაიორს დავესესხები – ჩვენ არ გვაქვს იმის ფუფუნება, ვიფიქროთ, რამე დამთავრდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



წიგნიერების ევოლუცია

ლევან ბერძენიშვილი

შეიძინეთ
„ლიბერალის ბიბლიოთეკის“
მეორე წიგნი

გამომცემლობა „არტანუჯი“
ლიბერალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი, შოკოლადი და ჩეფჩენდუმი

ლევან ახალაია

ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გერმანიაში შოკოლადის მწარმოებელი იტალიური კომპანია „ფერეროს“ გარშემო, ერთი შეხედვით, ღიმილის მომგვრელი სკანდალი აგორდა. ბრენდის წარმომადგენლებმა ყველასათვის კარგად ნაცნობი „ქინდერის“ შეფუთვაზე გამოსახული თეთრკანიანი და ლოყებღაჟღაჟა პატარები გერმანიის ეროვნული ნაკრების ფეხბურთელთა ბავშვობის ფოტოებით ჩაანაცვლეს. მათ შორის, რა თქმა უნდა, ფერადკანიანი სპორტსმენებიც აღმოჩნდნენ. ამან კი უმალ მიიქცია მემარჯვენე პოპულისტების ყურადღება, რომელთა ნაწილმაც სოციალურ ქსელში განრისხებული და უკმაყოფილო კომენტარები არ დაიშურა. გერმანელთა უმეტესობამ აღშფოთებული ულტრამემარჯვენეები ცხადია, სასაცილოდ აიგდო, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ამით თემა არ ამოწურულა.

ყველაფერი გაცილებით საგანგაშო გახდა, როდესაც პარტია „ალტერნატივა გერმანიისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ, ალექსანდრ გოლენდმა „ფარკფურტერ ალგემაინესთან“ ინტერვიუში განაცხადა, რომ მოქალაქეთა უმეტესობა გერმანიის ეროვნული ნაკრების წევრ ნახევრად განელ ჟერომ ბოატენგის მეზობლად ცხოვრებას არ ისურვებდა. ამას მოჰყვა ამავე პარტიის სხვა წევრების უკმაყოფილო განცხადებები წარმოშობით თურქი მესუთ ოზილის მიმართ, რომელმაც სოციალური ქსელით მექაში პილიგრიმობის დროს გადაღებული ფოტო გაავრცელა. მართალია, მოგვიანებით პარტიის ლიდერმა თანამებრძოლების ნაცვლად ბოდიში მოიხადა, მაგრამ ის, რომ გერმანულმა მედიამ ამ თემას დიდი ყურადღება დაუთმო, ნიშნავს, რომ მიგრაციული კრიზისის ფონზე პრობლემა არსებობს.

23 ივნისს დიდ ბრიტანეთში გამართული რეფერენდუმის შემდეგ ეს კიდევ უფრო ნათლად გამოჩნდა. გაერთიანებული სამეფო პირველი სახელმწიფო გახდება, რომელიც ევროკავშირს დატოვებს. რეფერენდუმის ფსიქოლოგიური შედეგი კი, შესაძლოა, მთლიანად ევროპისთვისაც საბედისწერო აღმოჩნდეს. მნიშვნელოვანი ეკონომიკური საფრთხეების გარდა, ე.წ. Brexit ევროპაში დამკვიდრებულ პოლიტიკურ სისტემას მნიშვნელოვანი რყევებით ემუქრება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

Brexit-ამდე და Brexit-ის შემდეგ

„სიკვდილი მოღალატეებს, ბრიტანეთი უპირველეს ყოვლისა“ – 52 წლის ბრისტალელი ტომას მეირის მიერ 17 ივნისს სასამართლო დარბაზში წარმოთქმული ეს სიტყვები გაერთიანებულ სამეფოში ბოლო 4 თვის განმავლობაში წარმოებული კამპანიის ყველაზე შემზარავი და შოკისმომგვრელი კულმინაცია იყო. ნაცვლად იმისა, რომ სააგიტაციო კამპანია, ლოგიკურად, საარჩევნო ყუთებთან დასრულებულიყო, ის დროზე ადრე ლიდსთან ახლოს დამთავრდა. 16 ივნისს 41 წლის ლეიბორისტი დეპუტატი ჯოკოქსი მოკლეს. გაერთიანებული სამეფოს ევროკავშირის შემადგენლობაში დარჩენის მომხრე პარლამენტარს ექსტრემისტულ ულტრამემარჯვენე დაჯგუფებასთან დაკავშირებული მამაკაცი დაესხა თავს და სასტიკად გაუსწორდა. გაერთიანებულ სამეფოში ბოლო 25 წლის განმავლობაში დეპუტატი პირველად მოკლეს. როგორც „ინდეფენდენტი“ წერს, სიკვდილამდე ორი შვილის დედა ჯოკოქსი იორკშირის საგრაფოში აგრესიული ნაციონალისტების მომძლავრებასა და ისლამოფობიის საფრთხეებზე სპეციალურ ანგარიშს ამზადებდა, რომლის წარდგენასაც 29 ივნისს გეგმავდა. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ქვეყანაში მუსლიმების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. მკვლელობის მოტივის დასადგენად გამოძიება ჯერ კიდევ გრძელდება, თუმცა ამის გარეშეც ნათელია, თუ რამდენად დიდი გამოწვევების წინაშე დგას გაერთიანებული სამეფო და მთლიანად ევროპაც. ეს ნათლად აისახა რეფერენდუმის წინ პოპულარული ბრიტანელი პოლიტიკოსების განცხადებებშიც. მაგალითად ევროკავშირიდან გასვლის მომხრეებს ხშირად მოჰყავდათ არგუმენტად ის, რომ თურქეთი, სადაც 74 მილიონი მოქალაქე ცხოვრობს, სულ ცოტა ხანში გაერთიანდება ორგანიზაციაში და ბრიტანეთს მიგრანტების ახალი ტალღა გადაუვლის. ულტრამემარჯვენე „გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიის“ ლიდერი კი უფრო შორს წავიდა და ივნისის დასაწყისში „Sunday Telegraph“-თან ისიც კი განაცხადა, რომ დიდი ბრიტანეთის ევროკავშირში დარჩენის შემთხვევაში, ბრიტანელ ქალებს მიგრანტების მხრიდან სექსუალური ძალადობა ემუქრებათ. ამ განცხადების გამო, კენტერბერის ეპისკოპოსმა ნაიჯელ ფარაჯი რასიზმში დაადანაშაულა.მიუხედავად ამისა, 24 ივნისს ფარაჯის „სიზმარი ახდა“ და ამომრჩევლის 51.9 პროცენტმა მხარი დაუჭირა ევროკავშირის დატოვებას. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ ბრიტანელი ახალგაზრდების დიდი ნაწილი Brexit-ის წინააღმდეგ გამოდის, თუმცა ხმის მიცემის დროს მათ საკმარისად ვერ იაქტიურეს. რეფერენდუმის ხელახლა დანიშვნის მოთხოვნით პეტიციის შედგენა კი, რომელსაც 3 მილიონზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი, სავარაუდოდ, ვერ იქნება საკმარისი და „ბოლო იმედის ჯარიმას“ უფრო ჰგავს. განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ „გუნდის კაპიტანი“ უკვე თითქმის გადადგა. დევიდ კამერონის შემცვლელი კი, რომელსაც სექტემბერში აირჩევენ, დიდი ალბათობით, ევროკავშირის გასვლის მომხრეთა ბანაკიდან იქნება. მას უპირველეს ყოვლისა იმ განხეთქილების დაძლევა მოუწევს, რომელიც დიდი ბრიტანეთის საზოგადოებაში არსებობს და რომელიც რეფერენდუმის დროს გამოჩნდა. დიდ ქალაქებში, ასევე ჩრდილო ირლანდიასა და შოტლანდიაშიც ხმა ევროკავშირში დარჩენას მისცეს. ამის გამო, დუბლინში დამოუკიდებლობის გამოცხადებაზე კვლავ ალაპარაკდნენ. ამას ემატება Brexit-ის ფონზე გაზრდილი ქსენოფობიური განწყობა და მიგრანტებზე თავდასხმები. ამრიგად, გაერთიანებულ სამეფოს წინ რთული გზა ელის. როდის დაიწყება ევროკავშირიდან გასვლის პროცესი და რა დაუჯდება ეს ქვეყანას, ჯერ გაურკვეველია.

დიდ ბრიტანეთში გამართულ რეფერენდუმს ევროპის ულტრამემარჯვენე მოძრაობების ლიდერთა მხრიდან მყისიერი რეაგირება მოჰყვა. ნიდერლანდებში, საფრანგეთში, ფინეთში, სლოვაკეთში მოითხოვენ, რომ შემდეგი რეფერენდუმი მათ სამშობლოში გაიმართოს, თუმცა ყველაზე ახლოს მოვლენების ამ სცენარით განვითარებასთან შესაძლოა, ავსტრია იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავსტრიის „სხვა პრეზიდენტი“

ავსტრიაში 22 მაისს გამართულ არჩევნებზე ულტრამემარჯვენე ნორბერტ ჰოფერს პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად სულ 31 ათასი ხმა დააკლდა. მართალია, „თავისუფლების პარტიის“ კანდიდატი საბოლოო ჯამში დამარცხდა, თუმცა მის წარმატებას ევროპაში, დღეს ისეთი მკაცრი რეაქცია აღარ მოჰყოლია, როგორც ეს 16 წლის წინ იყო. 2000 წელს ამავე პარტიამ, ქარიზმატული და სკანდალურად ცნობილი ლიდერის, ორგჰაიდერის მეთაურობით, არჩევნებში გამარჯვება მოახერხა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ პირველად ავსტრიის კოალიციურ მთავრობაში ნაციონალისტები მოხვდნენ, რასაც საპროტესტო აქციები და იზოლაცია მოჰყვა. იორგჰაიდერის განცხადებების გამო, რომელშიც ის vafen-ss-ს აქებდა, მიგრანტების წინააღმდეგ გამოდიოდა და ევროკავშირს აკრიტიკებდა, ავსტრიის წინააღმდეგ სანქციები ევროპის 14-მა სახელმწიფომ დააწესა. დღეს ულტრამემარჯვენეების წარმატებაზე ევროპელი პოლიტიკოსების რეაქცია გაცილებით თავშეკავებულია. ავსტრიის „თავისუფლების პარტია“ კი მიღწეულზე არ გაჩერდა და კენჭისყრის შედეგები გაასაჩივრა. 1 ივლისს საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ ხმის მიცემის პროცედურა დარღვევებით წარიმართა, რის გამოც არჩევნები ხელახლა გაიმართება. ასე რომ, ნორბერტ ჰოფერს პრეზიდენტის თანამდებობის დაკავების შესაძლებლობა მეორედ ოქტომბერში მიეცემა. რაც შეეხება შემდეგ საპარლამენტო არჩევნებს, ის ავსტრიაში 2018 წელს არის დანიშნული. ნაციონალისტები საკანონმდებლო ორგანოში უკვე დღეს მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალას წარმოადგენენ. კვლევების მიხედვით, ავსტრიის „თავისუფლების პარტია“ პოპულარობით მმართველი კოალიციის შემადგენლობაში შემავალ სოციალ-დემოკრატებს და კონსერვატორებსაც უსწრებს. ამიტომ, სულაც არ არის გამორიცხული, 2 წლის შემდეგ ან შეიძლება უფრო ადრეც, პოპულისტმა ნორბერტ ჰოფერმა პრეზიდენტის სავარძლის ნაცვლად, მთავრობის მეთაურის თანამდებობისთვის იბრძოლოს. ამას გარდა, „თავისუფლების პარტიის“ ლიდერი ჰარალდ ვილიმსი კი უკვე გამოვიდა ინიციატივით, გაერთიანებული სამეფოს მსგავსად ევროკავშირის წევრობის საკითხზე რეფერენდუმი ავსტრიაშიც გაიმართოს.

„გერმანული ალტერნატივა“ და პოპულისტები ევროპაში

ულტრამემარჯვენე პარტიები მიგრაციული კრიზისის ეპიცენტრში აღმოჩენილ გერმანიაშიც გაძლიერდნენ. „ალტერნატივა გერმანიისთვის“ 3 წლის წინ ერთიანი ევროპული ვალუტის – ევროს საწინააღმდეგო მოძრაობის წევრებმა დააფუძნეს. 2013 წელს პარტიამ 5-პროცენტიანი ბარიერის გადალახვა ვერ შეძლო, უკვე 2015 წლის მარტში კი შუალედურ რეგიონულ არჩევნებში მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. საქსონია-ანჰალტში მემარჯვენე პოპულისტებმა 24 პროცენტი მიიღეს და მეორე ადგილზეც კი გავიდნენ.

დღეს „ალტერნატივა გერმანიისთვის“ ამომრჩევლის გულის მოგებას ანტიმუსლიმური პროგრამით ცდილობს. პარტიის ლიდერი, დრეზდენში დაბადებული 40 წლის ფრაუკეპეტრი და მისი თანაგუნდელები აცხადებენ, რომ ისლამი გერმანიისთვის მიუღებელია და მინარეთების მშენებლობის აკრძალვას მოითხოვენ. ფრაუკეს ერთ-ერთ ყველაზე სკანდალური იდეა არალეგალი მიგრანტების შესაჩერებლად მესაზღვრეებისათვის იარაღის დარიგებაა. პოლიტიკური გაერთიანების პოპულარობა კიოლნში ახალი წლის ღამეს მომხდარი თავდასხმების სერიის შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ბოროტმოქმედების ნაწილი მუსლიმი მიგრანტი იყო. დღეს გერმანელი მემარჯვენე პოპულისტების რეიტინგი 13 პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტს აღწევს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მომავალ წელს ნაციონალისტები შესაძლოა, ბუნდესტაგშიც მოხვდნენ.

ახალი პოლიტიკური ტენდენციები ევროპის სხვა ქვეყნებშიც არანაკლებ თვალშისაცემია. მემარჯვენე პოპულისტები ფინეთის მთავრობის შემადგენლობაში შედიან. ნაციონალისტური პარტია მკაცრ საიმიგრაციო პოლიტიკას უჭერს მხარს და მოითხოვს, რომ სოციალური შეღავათებით პირველ რიგში წარმოშობით ფინელები უზრუნველყონ. პოლონეთსა და უნგრეთში მემარჯვენეები ხელისუფლების სათავეში დგანან. ორივე ქვეყანაში ლტოლვილთა მიღებაზე სავალდებულო კვოტების დაწესების წინააღმდეგ გამოდიან. საფრანგეთში კი სოციალისტებსა და ლიბერალებს „ნაციონალური ფრონტი" ავიწროებს. ულტრამემარჯვენეების ლიდერი მარი ლეპენი მომავალ წელს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში ფრანსუა ოლანდის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად მიიჩნევა.

მსგავსი ვითარებაა ნიდერლანდებშიც, სადაც მემარჯვენე პოპულისტების ძალისხმევით გამართული რეფერენდუმის დროს მოქალაქეებმა უკრაინის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირებას მხარი არ დაუჭირეს.

ერთიანი ევროპა მოიცდის

ევროპელების ასეთი განწყობა პოლიტიკოსებს ცხადია, არ გამოჰპარვიათ, თუ რამდენიმე წლის წინ ევროკავშირის მმართველი ელიტა თავდაუზოგავად ლობირებდა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უფრო მეტ ინტეგრაციას, დღეს ბრიუსელში განსხვავებული მოსაზრებები სულ უფრო ხშირად ისმის. განსაკუთრებით საინტერესო გაერთიანებულ სამეფოში გამართულ რეფერენდუმამდე რამდენიმე კვირით ადრე, „ევროპის სახალხო პარტიის" 40 წლის იუბილეზე ევროპული საბჭოს პრეზიდენტის გამოსვლა გამოდგა. დონალდ ტუსკმა ისეთი ევროპის იდეას, სადაც სახელმწიფოებს საზღვრები არ ექნებათ, უტოპია უწოდა. მისივე თქმით, უფრო მნიშვნელოვანი იმ პრობლემების დროულად გადაჭრაა, რომლებიც ევროპელებს დღეს და ახლა აწუხებთ. პირველ რიგში მას მხედველობაში მიგრაციული კრიზისი ჰქონდა.

დღეს ბრიუსელში მზად არიან განსხვავებული პოზიციების მოსასმენად. ეს დაადასტურა ევროკომისიის პრეზიდენტმაც. ჟან კლოდ იუნკერის თქმით, ვინც მხარს არ უჭერს შეთავაზებულ საიმიგრაციო პოლიტიკას, ყველა პოპულისტი არ არის.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროკავშირის მიმართ არანაკლებ სკეპტიკურად განწყობილები მრავლად არიან მემარცხენეთა რიგებშიც. ბრიუსელის საწინააღმდეგო განცხადებები საბერძნეთისა და სლოვაკეთის მინისტრთა კაბინეტის ცალკეული წევრებისგანაც ისმის. იტალიის პარლამენტში კი პოპულისტური „5 ვარსკვლავის მოძრაობა" მესამე ადგილს იკავებს. კვლევით ცენტრ „PEW"-ს მიერ ევროპის 10 სახელმწიფოში გამართულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ ევროკავშირის მიმართ კეთილგანწყობილ მოქალაქეთა რაოდენობა 2015 და 2016 წელს საგრძნობლად შემცირდა. საფრანგეთში 17, ესპანეთში 16, გერმანიაში 8, გაერთიანებულ სამეფოში 7 და იტალიაში 6 პროცენტით. ბრიტანეთში გამართულმა რეფერენდუმმა კი კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ

ფინანსური თუ მიგრაციული კრიზისების ფონზე ევროკავშირისა და წევრი სახელმწიფოების მმართველ ელიტას მოქალაქეთა შეხედულებებსა და გადაწყვეტილებებზე ზეგავლენის მოხდენა სულ უფრო მეტად უჭირს. ეკონომიკის ექსპერტების არაერთი გაფრთხილების, შოუბიზნესის ვარსკვლავების არაერთი მოწოდების მიუხედავად, მოსახლეობამ სხვაგვარად გადაწყვიტა. ბრიუსელში კი ჯერ კიდევ არ არსებობს კონკრეტული გეგმა, თუ როგორ შეიძლება გაუმკლავდნენ ბებერ კონტინენტზე პოპულისტების გაძლიერებას. ამას ემატება რუსეთის ფაქტორი, რომელიც ღიად თუ ფარულად, ფინანსური დახმარებით თუ პროპაგანდისტული მედიამხარდაჭერით, ევროპაში ულტრამემარჯვენე მოძრაობების წისქვილზე ასხამს წყალს. საფრანგეთსა და გერმანიაში 2017 წელს დაგეგმილი არჩევნების წინ მმართველი წრეების წარმომადგენლების წინაშე არსებული საფრთხეები სულ უფრო მატულობს. რეფორმების გარეშე ევროკავშირის ერთიანობის შენარჩუნება რთული იქნება, სწორი ტაქტიკის გარეშე კი ბრიუსელი შესაძლოა, საერთოდ თამაშგარე მდგომარეობაში აღმოჩნდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



Brexit:
ეროვნული ისტორიის დასასრული

გრიგოლ გეგელია

23 ივნისს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილო ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში ისტორიული რეფერენდუმი ჩატარდა. რეფერენდუმის კითხვა მარტივი იყო, შედეგები კი კომპლექსური: „უნდა დარჩეს თუ არა გაერთიანებული სამეფო ევროკავშირში?“. რეფერენდუმზე, რომელიც 1992 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ყველაზე ცოცხალი დემოკრატიული მოვლენა გამოდგა, 30 მილიონზე მეტმა მოქალაქემ გამოხატა პოზიცია. მათმა 52%-მა გაერთიანებული სამეფოს ევროპული კავშირიდან გასვლას დაუჭირა მხარი, 48%-მა კი – დარჩენას.

მოლოდინისამებრ, ევროკავშირში დარჩენის მომხრე აღმოჩნდა ამომრჩეველთა უმრავლესობა შოტლანდიაში (62%), ჩრდილო ირლანდიასა (55.8%) და ლონდონის ოლქებში, ისევე, როგორც ესპანეთის სამხრეთით მდებარე კუნძულ გიბრალტარზე (96%), რომელიც გაერთიანებული სამეფოს იურისდიქციისა და სუვერენიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ტერიტორიაა, თუმცა მოლოდინს გადააჭარბა ევროკავშირის დატოვების მომხრეთა რაოდენობამ. პროვინციული ინგლისისა (53.4%) და უელსის (52.5%) ამომრჩეველთა უმრავლესობამ ევროკავშირის დატოვებას დაუჭირა მხარი.

საერთო ჯამში, დატოვების მომხრეთა მანდატი საკმაოდ სუსტია, რადგან ელექტორალური აქტიურობა 75%-ზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკლები იყო (72.2%), გამარჯვებული მხარის მხარდაჭერა კი 60%-ზე ნაკლები (52%). ევროკავშირის დატოვებას ხმა მისცა 17, 410, 472 მილიონმა ადამიანმა. რეფერენდუმის საბოლოო შედეგი კი 1,269,501-მა ხმამ გადაწყვიტა. მოცემულ შედეგში ყველაზე დიდი როლი ხანშიშესულთა გადაწყვეტილებამ შეასრულა, რის გამოც არაერთმა კომენტატორმა მომხდარს „პენსიონერთა რეფერენდუმიც" კი უწოდა. მართლაც, 50 წელზე უფრო ნაკლები ასაკის ამომრჩეველთა უდიდესმა უმრავლესობამ დარჩენას დაუჭირა მხარი – 18-24 წლის ასაკობრივი ჯგუფის თითქმის 75%-მა ნდობა გამოუცხადა ევროკავშირის პოლიტიკურ პროექტს. სამაგიეროდ, გასვლის მხარდამჭერთა 61% იყო 65 წლის ან მეტის. ამასთანავე, რეფერენდუმზე ხმის უფლების მქონე ახალგაზრდათა მხოლოდ 37% გამოცხადდა, ხანშიშესულთა დასწრება კი გაცილებით უფრო მაღალი იყო. 18-24 წლის ასაკის ადამიანებს, საშუალოდ, 69 წლის განმავლობაში მოუწევთ რეფერენდუმის გადაწყვეტილების შედეგებით ცხოვრება, 65 წლის და მეტი ასაკის ადამიანებს კი, საშუალოდ, – 16. ამიტომ, ბევრის აზრით, ხანშიშესულებმა ახალგაზრდებს მომავალი მოსტაცეს.

გაერთიანებულ სამეფოს არც ფორმალურად და არც სამართლებრივად ჯერ კიდევ არ დაუტოვებია ევროპული კავშირი. რეფერენდუმის გადაწყვეტილებას ლეგალური ძალა არ ჰქონია, მთავრობას კი არ ევალება მისი შედეგებით ხელმძღვანელობა. რეფერენდუმი მხოლოდ მრჩეველობითი ფუნქციის იყო და მიზნად ისახავდა წლების განმავლობაში საკამათოდ ქცეულ საკითხზე დემოკრატიის გადაწყვეტილების მოსმენას. შესაბამისად, თეორიულად, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტს შეუძლია, საერთოდ არ გაითვალისწინოს რეფერენდუმის შედეგები. სხვათა შორის, მსგავსი მოთხოვნა უკვე დაფიქსირდა პარლამენტშიც. თუმცა, დემოკრატიული სტანდარტების გათვალისწინებით, ეს ნაკლებად სავარაუდო სცენარია.

სწორედ დემოკრატიული ანგარიშვალდებულების პრინციპის გამო, 24 ივნისის შუადღესვე გადადგომის თაობაზე განაცხადა კონსერვატორმა პრემიერმა კამერონმა. პრემიერი დარჩენას ემხრობოდა და „დარჩენის" კამპანიაშიც აქტიურად იყო ჩართული, თუმცა, რაკი დემოკრატიამ საპირისპირო კურსი აირჩია, კამერონი ველარ იქნებოდა ის პრემიერ-მინისტრი, რომელიც შეძლებდა, სრულფასოვნად განეხორციელებინა ხალხის მიერ არჩეული კურსი, რომელიც მისივე პრეფერენციებს არ ემთხვეოდა. კამერონი 9 სექტემბრამდე განაგრძობს უფლებამოსილებების აღსრულებას, რის შემდეგაც მას პარტიის მიერ არჩეული ახალი ლიდერი შეცვლის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე. ამ დროის ინფორმაციით, გაერთიანებული სამეფო მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყებს ლისაბონის შეთანხმების 50-ე მუხლით განსაზღვრულ პროცედურებს, ევროპული კავშირის დატოვების მიზნით.

■ თეორიულად, გაერთიანებული სამეფოს პარლამენტს შეუძლია, საერთოდ არ გაითვალისწინოს რეფერენდუმის შედეგები. სხვათა შორის, მსგავსი მოთხოვნა უკვე დაფიქსირდა პარლამენტშიც. თუმცა, დემოკრატიული სტანდარტების გათვალისწინებით, ეს ნაკლებად სავარაუდო სცენარია.

რეფერენდუმი ისტორიულ კონტექსტში

2016 წლის რეფერენდუმი ბრიტანულ-ევროპული პოლიტიკური ურთიერთობების ლოგიკური გაგრძელება და ასეთივე დასასრულია. გაერთიანებული სამეფოსა და ევროპული კავშირის ურთიერთობა ყოველთვის გამოირჩეოდა ორმხრივი ეჭვებითა და ანტაგონიზმებით. თავდაპირველად გაერთიანებული სამეფო საერთოდაც თაკილობდა ევროპულ გაერთიანებაში (შემდგომში – ევროპულ კავშირში) გაწევრებას, შემდეგ კი მისი ყველაზე ახირებული წევრი იყო. ბრიტანეთის გეოგრაფიული იზოლაციონიზმი, კონტინენტისგან მოშორებით, პოლიტიკურად იზოლაციონისტურ და სეპარატისტულ ენერგიადაც გვევლინებოდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში, როდესაც გარკვეული სახის ევროპულ ერთობაზე ფიქრი პოლიტიკური დღის წესრიგის განუყოფელი ნაწილი იყო, უინსტონ ჩერჩილი აცხადებდა, რომ „ჩვენ არ უნდა განვიზრახავდეთ არაფერ ნაკლებს, ვიდრე ევროპის კავშირია... ჩვენ მტკიცე რწმენით ველით დღეს, როდესაც ასეთი კავშირი მიიღწევა". და მაინც, მიუხედავად თეორიულად განცხადებული ენთუზიაზმისა, გაერთიანებული სამეფო არ შეუერთდა 1951 წელს შექმნილ ქვანახშირისა და ფოლადის ევროპულ გაერთიანებას (European Coal and Steel Community), რომელმაც 1957 წელს სათავე დაუდო ევროპულ ეკონომიკურ თანამეგობრობას (European Economic Community), შემდეგ კი, 1993 წელს, ევროპულ კავშირს (European Union).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1951-61 წლებში ევროსკეპტიციზმი წარმოადგენდა ბრიტანეთის როგორც მემარჯვენე, ასევე მემარცხენე ძალების პოლიტიკის ურყევ ნაწილს. კურსის ცვლილება მაშინაც „კონსერვატიულ პარტიაში" დაიწყო, როდესაც 1961 წელს ჰაროლდ მაკმილანის მეთაურობით „კონსერვატიული პარტია" ბრიტანეთის ევროპულ ეკონომიკურ თანამეგობრობაში გაწევრებას მიემხრო. „ლეიბორისტული პარტია" 1964 წლამდე სკეპტიკური რჩებოდა, შემდეგ კი ხელისუფლებაში მოვიდნენ და, კონსერვატორების მსგავსად, ევროპულ თანამეგობრობაში გაერთიანებას მიემხრნენ. თუმცა ბრიტანეთის თანამეგობრობაში გაწევრებას არ ემხრობოდა და მუდმივად ბლოკავდა საფრანგეთის პრეზიდენტი, შარლ დე გოლი, რომელიც მიიჩნევდა, რომ ბრიტანულ სწრაფვას სხვა არაფერი ამოძრავებდა, თუ არა გამოუვალი ეკონომიკური მდგომარეობა. საბოლოოდ, ბრიტანეთი ევროპულ თანამეგობრობაში მხოლოდ 1973 წელს გაწევრდა, მესამე მცდელობისას, მას შემდეგ, რაც დე გოლი საფრანგეთის პრეზიდენტი აღარ იყო.

სამი მცდელობის შემდეგ მიღწეული წევრობის მიუხედავად, უკვე 1973 წელს ისმოდა მღელვარე არგუმენტები იმის თაობაზე, თუ რა ეფექტს იქონიებდა ევროპული თანამეგობრობის წევრობა ბრიტანეთის დამოუკიდებლობაზე, მშრომელთა სოციალურ უფლებებსა და პროფესიულ კავშირებზე. „ლეიბორისტული პარტიის" 1974 წლის წინასაარჩევნო მანიფესტი აცხადებდა, რომ კონსერვატორებმა ხალხის აზრის დაუკითხავად მიიღეს „ამ საუკუნის მშვიდობის ჟამის ყველაზე დიდი გადაწყვეტილება". 1974 წელს კონსერვატორი პრემიერი ნაწილობრივ სწორედ ევროპული საკითხის გამო დამარცხდა. ლეიბორისტული ოპოზიციის ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება ეკონომიკური თანამეგობრობის წევრობაზე რეფერენდუმის გამართვა გახდა. როგორც მათი მანიფესტი აცხადებდა, „მხოლოდ „ლეიბორისტული პარტია" იცავს ამ ქვეყნის ადამიანების უფლებას, თვითონ მიიღონ ეს უნიკალური გადაწყვეტილება". ლეიბორისტებმა არჩევნები მოიგეს.

ორი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც 2014 წლის 18 სექტემბერს შოტლანდიამ გამართა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, რომელიც კითხულობდა: „უნდა იყოს თუ არა შოტლანდია დამოუკიდებელი სახელმწიფო?" ამომრჩეველთა 55.3%-ის ხმით, 44.7%-ს საპირწონედ, შოტლანდიურმა დემოკრატიამ დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენა არჩია, თუმცა 2016 წლის ევროპული რეფერენდუმის შემდეგ მალევე გაჩნდა მეორე შოტლანდიური დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შესაძლებლობა.

2016 წლის პარტიულ პოზიციებთან შედარებით, 1975 წლის რეფერენდუმზე პარტიული პოზიციები ლამის სრულიად საპირისპირო იყო. 1975 წელს ევროპულ გაერთიანებაში დარჩენის ყველაზე მძლავრ მომხრეს წარმოადგენდა „კონსერვატიული პარტია", „ლეიბორისტული პარტია" კი ორად იყო გაყოფილი. „ლეიბორისტული პარტიის" მანიფესტი ეჭვქვეშ აყენებდა ევროპული თანამეგობრობის ეფექტს ბრიტანულ დემოკრატიასა და მშრომელი ხალხის ბედზე. მანიფესტი ამბობდა, რომ „თუკი ბრიტანეთის წევრობა გაღატაკებით დაემუქრება ჩვენს მშრომელ ხალხს, ან გაანადგურებს პარლამენტის ავტორიტეტს, ლეიბორისტები ვერ მიემხრობიან მას".

2016 წელს კი ყველაფერი, ფაქტობრივად, პირიქით იყო. ამჯერად ევროპის საკითხზე „კონსერვატიული პარტია" იყო ორად გაყოფილი, ლეიბორისტთა უმრავლესობა კი – დარჩენის მხარეს. თუკი 1975 წელს დემოკრატიის დამცველები ლეიბორისტები იყვნენ, 2016 წელს დემოკრატიის, საპარლამენტო სუვერენიტეტისა და თავისუფლების სახელით უკვე კონსერვატორები გამოდიოდნენ. მათი კამპანიის სლოგანი იყო – „დავიბრუნოთ კონტროლი". 2016 წელს ლეიბორისტთა დისკურსიც სრულიად განსხვავებული იყო, 1975 წლის რიტორიკასთან შედარებით. თუკი ადრე ისინი ევროპულ ეკონომიკურ თანამეგობრობას მშრომელთა უფლებების ჭრილში აკრიტიკებდნენ, წელს ლეიბორისტთა დიდი უმრავლესობა ევროპულ კავშირში ბრიტანეთის დარჩენას სწორედ მინიმალური ხელფასის, სოციალური უფლებების, მშრომელთა უფლებებისა და სხვა სოციალური სიკეთეების უზრუნველყოფის გამო იცავდა.

1975 წლის რეფერენდუმზე (იგივე „საერთო ბაზრის რეფერენდუმი"), ბრიტანელთა 67%-მა არჩია, დარჩენილიყო ევროპული თანამეგობრობისა და საერთო ბაზრის წევრად. ლეიბორისტმა პრემიერმა, ჰაროლდ ვილსონმა, რეფერენდუმს „ისტორიული გადაწყვეტილება" უწოდა, რომელმაც უკან მოიტოვა ეჭვები და სრული გასაქანი მისცა ბრიტანეთის მომავალს ევროპულ თანამეგობრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაში. მართალია, 1975 წელს ვილსონი ამაყად აცხადებდა, რომ „14-წლიანი ეროვნული კამათი დასრულებულია“, მაგრამ ევროპული საკითხი სინამდვილეში არასდროს არ გაქრებოდა ბრიტანეთის შიდა პოლიტიკური დღის წესრიგიდან. 1980-იანებში იგი გამოიწვევდა დაყოფას „ლეიბორისტული პარტიის“ შიგნით და კონსერვატიულ პოლიტიკურ აზრსაც, ფაქტობრივად, მთელი დროის განმავლობაში ორ ბანაკად დაჰყოფდა. ამასთანავე, შემდეგი ათწლეულების განმავლობაში ევროპის საკითხი შეინირავდა არაერთი პრემიერის კარიერას, რომელთა შორის იყვნენ: მაკმილანი, ჰიტი, ტეტჩერი, მეიჯორი და სულ ბოლოს კამერონიც.

2016 წლის რეფერენდუმმა ისეთივე სინათლე მოჰფინა ეროვნული დაყოფის საგნად ქცეულ საკითხს, როგორიც 1975 წლის რეფერენდუმმა. ერთიცა და მეორეც სწორედ ამისათვის იყო საჭირო. მართალია, მსოფლიოს დიდი ნაწილისათვის ბრიტანეთის გადაწყვეტილება სამწუხარო და, მოულოდნელობის გამო, შემაშფოთებელიც იყო, მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ბრიტანულ-ევროპული ურთიერთობები ოდითგანვე მუდმივი პოლიტიკური სკეპტიციზმისა და ჭიდილის ფონზე მიმდინარეობდა. გარდა იმისა, რომ ევროპულ გაერთიანებაში ბრიტანეთი გვიან გაწევრდა, იგი შემდგომშიც ყოველთვის ყველასაგან გამორჩეული და ახირებული წევრი იყო. განსხვავებით ევროპული კავშირის სახელმწიფოთა უმეტესობისგან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრიტანეთი არასდროს არ ყოფილა არც შენგენის ზონის წევრი და არც ევრო მიუღია. 2016 წლის რეფერენდუმი და მისი შედეგი სწორედ ამ ვრცელი ანტაგონისტური ურთიერთობის გაგრძელება და სრულიად ლოგიკური ფინალური ნაწილი იყო.

რა იქნება ახლა?

რადგან რეფერენდუმს ლეგალური ძალა არ ჰქონია, ის, თუ რა იქნება შემდგომში, წმინდად პოლიტიკური საკითხია და არა ლეგალური. გაერთიანებული სამეფო ევროპულ კავშირს მხოლოდ მას შემდეგ დატოვებს, როდესაც ბრიტანეთის მთავრობა დაიწყებს ლისაბონის ხელშეკრულების 50-ე მუხლით განსაზღვრული მექანიზმის ამოქმედებას წევრი სახელმწიფოს მიერ ევროკავშირის დატოვების თაობაზე. გაერთიანებული სამეფო არ ჩქარობს მექანიზმის ამუშავებას, თუმცა ევროპული კავშირის მთავარმა პოლიტიკოსებმა უკვე არაერთგზის მოუწოდეს მთავრობას ბრიტანელი ხალხის დემოკრატიული გადაწყვეტილების დროულად აღსრულებისა და კავშირის დატოვებისაკენ. მათივე განცხადებით, ევროპული კავშირი არ აპირებს, აწარმოოს მოლაპარაკებები გაერთიანებულ სამეფოსთან, სანამ მას არ დაუწყია კავშირის დატოვების ლეგალური პროცედურა.

მიუხედავად ამისა, სანამ ბრიტანეთი ახალი პრემიერის მოლოდინშია, არსებით სიახლეებს არ უნდა ველოდეთ. ევროპული კავშირიდან გასვლის მექანიზმს სწორედ ახალი პრემიერი გააქტიურებს, რომელიც მუშაობას 10 სექტემბერს შეუდგება. სწორედ მას მოუწევს მომავალ წლებში გაერთიანებული სამეფოსათვის მომგებიანი ეკონომიკური და პოლიტიკური შეთანხმებების დადება ევროპული კავშირის დანარჩენ 27 სახელმწიფოსთან.

თუმცა რეფერენდუმის შედეგებმა სხვა ცვლილებათა მთელი სერიის შესაძლებლობაც წარმოშვა. შედეგების გამოცხადებიდან პირველივე საათებში, რისკის ქვეშ დადგა თვით „დიდი ბრიტანეთისა“ და „გაერთიანებული სამეფოს“ იდეები. ინგლისისა და უელსისგან განსხვავებით, შოტლანდია, ჩრდილო ირლანდია და გიბრალტარი ევროპულ კავშირში დარჩენას მიემხრო, ამგვარმა აცდენამ კი სამივეგან წარმოშვა დიდი ბრიტანეთიდან გამოყოფის მომხრეთა მოძრაობის ახალი ტალღა, რომელიც შოტლანდიაშიც და ჩრდილო ირლანდიაშიც ისტორიულად არსებობდა და დღესაც მძლავრ ენერგიას წარმოადგენს.

ორი წელიც არ გასულა მას შემდეგ, რაც 2014 წლის 18 სექტემბერს შოტლანდიამ გამართა დამოუკიდებლობის რეფერენდუმი, რომელიც კითხულობდა: „უნდა იყოს თუ არა შოტლანდია დამოუკიდებელი სახელმწიფო?“ ამომრჩეველთა 55.3%-ის ხმით, 44.7%-ს საპირწონედ, შო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტლანდიურმა დემოკრატიამ დიდი ბრიტანეთის შემადგენლობაში დარჩენა არჩია, თუმცა 2016 წლის ევროპული რეფერენდუმის შემდეგ, მალევე გაჩნდა მეორე შოტლანდიური დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შესაძლებლობა. დღევანდელი მონაცემებით, შოტლანდიელთა 48% ემხრობა დიდი ბრიტანეთიდან გასვლას და ევროპულ კავშირში დარჩენას, 42%-ის საპირწონედ. რადგან „დიდი ბრიტანეთი" ინგლისის, შოტლანდიისა და უელსის პოლიტიკურ ერთობას აღნიშნავს, შოტლანდიის გასვლის შემთხვევაში, აღარ იარსებებს არც „დიდი ბრიტანეთი" და შესაბამისად, აღარც „გაერთიანებული სამეფო" მისი ამჟამინდელი ფორმით.

ამ მომენტში, შოტლანდიისა და ევროპული კავშირის მოლაპარაკებებს ბლოკავს ესპანეთი, რომელსაც შინ სეპარატისტული მოძრაობების გააქტიურების შესაძლებლობა აღელვებს, თუმცა ამას დიდწილად ის გარემოება განაპირობებს, რომ შოტლანდია ჯერ კიდევ დიდი ბრიტანეთის შემადგენელი ნაწილია. ამ მოცემულობაში, შოტლანდიასთან დამოუკიდებელი მოლაპარაკება ნიშნავს გაერთიანებული სამეფოს ხელისუფლების გვერდის ავლით სეპარატისტულ ძალასთან საუბარს, რის პრეცედენტსაც ესპანეთი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ვერ დაუშვებს. თუმცა, თუ შოტლანდიამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა დიდი ბრიტანეთიდან, რაც მას ლეგიტიმურად ხელეწიფება, მაშინ ესპანეთი ველარ დაბლოკავს მოლაპარაკებებს დამოუკიდებელ შოტლანდიასთან. მეორე პოტენციური სცენარის თანახმად, შოტლანდიისა და გიბრალტარის საქმე შესაძლოა, ე. წ. გრინლანდიის სცენარით განვითარდეს. ამ შემთხვევაში, გაერთიანებული სამეფოს ნაწილები, მაგალითად, შოტლანდია და გიბრალტარი, შეძლებენ წევრობის ხელახალი განაცხადის გარეშე დარჩნენ ევროკავშირის წევრებად, განსხვავებით სამეფოს სხვა შემადგენელი ნაწილებისგან.

გაერთიანებულ სამეფოს წინ უდავოდ რთული ორი წელი ელის, რომელიც სავსეა კითხვის ნიშნებით. დაიშლება თუ არა გაერთიანებული სამეფო, ვინ იქნება „კონსერვატიული პარტიის" შემდეგი ლიდერი და პრემიერ-მინისტრი, რა დროს და რა ფორმით დაიწყებს გაერთიანებული

მეორე პოტენციური სცენარის თანახმად, შოტლანდიისა და გიბრალტარის საქმე შესაძლოა, ე. წ. გრინლანდიის სცენარით განვითარდეს. ამ შემთხვევაში, გაერთიანებული სამეფოს ნაწილები, მაგალითად, შოტლანდია და გიბრალტარი, შეძლებენ წევრობის ხელახალი განაცხადის გარეშე დარჩნენ ევროკავშირის წევრებად, განსხვავებით სამეფოს სხვა შემადგენელი ნაწილებისგან.

სამეფო გასვლის პროცედურებს და რა ეკონომიკურ და პოლიტიკურ შეთანხმებებს დადებს ის ევროპული კავშირის 27 დანარჩენ სახელმწიფოსთან – ამას მომავალი თვეები გვაჩვენებს. თუმცა უკვე ცხადია, რომ შემდეგი 5-7 წლის განმავლობაში, ევროპის საკითხი კვლავ განსაზღვრავს დიდი ბრიტანეთის შიდა პოლიტიკას. დიდია ალბათობა იმისა, რომ ევროპის საკითხი კიდევ სულ მცირე ერთ პრემიერ-მინისტრს შეიწირავს და უდავოდ კარგა ხნის განმავლობაში იქნება დაყოფის საგანი ბრიტანულ საშინაო პოლიტიკაში.

ამასობაში კი, მნიშვნელოვანია, ჯეროვნად აღვიქვათ Brexit ისტორიულ ჭრილში. რეფერენდუმის შედეგი არც ევროპის იდეის და არც ევროპული კავშირის დასასრულს არ მოასწავებს. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შედეგი, გარკვეულწილად, უდავოდ განაპირობა ნეონაციონალისტებისა და პოპულისტების მიერ წარმოებულმა შიშის ირაციონალურმა პოლიტიკამ, ისევე, როგორც დასავლურ ღირებულებათა წინააღმდეგ განწყობილმა მოქალაქეებმა, რომლებიც ქსენოფობიით, რასიზმითა თუ პოპულიზმის სიყვარულით გამოირჩევიან, რეფერენდუმის შედეგი არ მოასწავებს ცალკეულად ამ ენერგიის გამარჯვებას.

პირველ რიგში, უნდა გავითვალისწინოთ, რომ როგორც გასვლის, ასევე დარჩენის მხარეს იყო არამარტო ნეონაციონალისტური და პოპულისტური ენერგიები, არამედ კონსერვატორთა და ლეიბორისტთა საკმაო ნაწილიც. ამასთანავე, ბრიტანეთის რეფერენდუმი არ ყოფილა რეფერენდუმი არც ევროპელობის და არც ევროპული ღირებულებების შესახებ. მსგავსად 1975 წლის რეფერენდუმისა, ის იყო სრულიად პრაგმატული ხასიათის არჩევანი, რომელიც ეხებოდა ევროპული კავშირის, როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური ერთობის ავკარგიანობას და მის წევრად დარჩენის სიკეთეს. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბრიტანეთი რჩება NATO-ს წევრად და ინარჩუნებს მის ტრადიციულ საგარეო და გეოპოლიტიკურ ორიენტირებს.

Brexit უდავოდ არის ისტორიის დასასრული; მაგრამ, იგი მხოლოდ ერთი ახირებული ისტორიის დასასრულია, ხოლო ისტორია, როგორც ასეთი, გრძელდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაბრუნება ნაისელში

დათო გამისონია

3/308

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოუკიდებლობის აღდგენის 25-ე წლისთავზე ვრწმუნდებით, რომ საქართველოს საზოგადოების ერთ ნაწილში კოლექტიური მეხსიერება თანდათან ქრება. საბჭოთა წარსულის გამოცდილება სულაც არ გამოდგა საკმარისი იმისთვის, რომ ამომრჩეველს ანტიდასავლური დისკურსის მარგინალიზება მოეხდინა. პირიქით 8 ოქტომბერს გაიმართება საპარლამენტო არჩევნები, სადაც პირველად ვიხილავთ კონკურენტუნარიან პარტიებს, რომელთა კამპანიებიც ჰომოფობიასა და სიძულვილის ენაზეა აგებული.

პოლიტიკოსები, რომლებიც არც აქამდე მიიჩნეოდნენ ლიბერალური დემოკრატიის მოტრფიალეებად, დღემდე საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრას სხვადასხვა ლოზუნგით ახერხებდნენ, ახლა კი საპარლამენტო არჩევნების წინ მათი მთავარი სამიზნე უმცირესობები და NATO-ში ინტეგრაციის შესახებ საქართველოს გაცხადებული არჩევანია. საქმე ისაა, რომ საარჩევნო კამპანიის გააქტიურებამდე, აპრილში გამოქვეყნებული NDI-ს საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, 5%-იანი მხარდაჭერა აქვს „პატრიოტთა ალიანსს“, რომლის ლიდერთა განცხადებები ანტიდასავლური განწყობების, ძალადობის წახალისების, სიძულვილის ენის, ჰომოფობიისა და ეთნიკური ნიშნით დისკრიმინაციის ნაკრებს წარმოადგენს.

ანალოგიური განწყობის ელექტორატია „ქართული ოცნებიდან“ ახლად წამოსული თამაზ მეჭიაურის პარტიის სამიზნე, რომლის ჰომოფობიური განცხადებები ხშირადაა მედიის ყურადღების ცენტრში.

არჩევნებში დამოუკიდებლად აპირებს მონაწილეობას, ასევე სხვადასხვა ფობიით გამორჩეული გოგი თოფაძის „მრეწველები“.

ზემოთ აღნიშნული პარტიების მსგავსად, ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში საქართველოს ინტეგრაციის წინააღმდეგ გამოდის „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე. იგი 30 ივნისს

„პატრიოტთა ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი ირმა ინაშვილი: „ჩვენ ხომ ვიცით, რა არის მთავარი მოთხოვნები ევროპისა და აშშ-ის საქართველოსადმი... ნუ ერთ-ერთი არის ის, რომ, ქართველებო, იცოდეთ, რომ უკანალი უნდა გამოიყენოთ სასქესო ორგანოდ, ერთი ეს არის. მეორე, ქართველებო, რეგიონული ენის სტატუსები უნდა მისცეთ ამათ, ამათ, ამათ. ქართველებო, უნდა იცოდეთ, რომ ჯერ უნდა ასწავლოთ თქვენს შვილებს ინგლისური, მერე სომხური, აზერბაიჯანული, სხვა ენები. ბოლოს, თუ გინდათ, ასწავლეთ ქართული, თუ გინდათ, ნუ ასწავლით“.

კონსტიტუციის მე-7 მუხლში შესწორების იდეით გამოვიდა. როგორც ბურჯანაძე აცხადებს, საჭიროა, საქართველომ უბლოკო სტატუსი გამოაცხადოს, ანუ ნებისმიერ სამხედრო ბლოკში, მათ შორის NATO-ში, გაწევრებაზე უარი თქვას.

ეს პარტიები რუსეთის მიმართ ლოიალურ დამოკიდებულებას არ მალავენ და ამასთან აცხადებენ, რომ „პროქართული“ ორიენტაცია აქვთ. ამომრჩეველს პრობლემების გადაწყვეტის კონსტრუქციულ გზებს კი არ სთავაზობენ, არამედ მათი განცხადებები გაჯერებულია სიძულვილით და ძალადობის წახალისებაზეა ორიენტირებული. პოპულისტური, რეაქციონერულ პატრიოტიზმზე დამყარებული პოლიტიკა არ არის მხოლოდ და მხოლოდ ქართული ფენომენი, ანალოგიური ტენდენცია ჩანს ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც, თუმცა მათგან განსხვავებით, საქართველოში ასეთმა ძალებმა ღია პოზიციონირება ბოლო წლებში დაიწყეს. საინტერესოა, საქართველოში რატომ დადგა, მათი იდეების სააშკარაოზე გამოტანის დრო? საპარლამენტო არჩევნებში ბარიერის გადალახვის შემთხვევაში, რა საფრთხეებს შექმნის მათი აქტივობა? არის თუ არა საქართველოში ანტიდასავლური ძალებისა და განწყობის ზრდის პოტენციალი?

„კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის“ დირექტორი კობა თურმანიძე „ლიბერალთან“ საუბრისას ამ ძალებისა და მათი იდეების ღიად გამოჩენას ორ მიზეზს უკავშირებს. მისი თქმით, გაიზარდა რუსეთიდან საქართველოში პროპაგანდისა და ფულის შემოტანის შესაძლებლობები, ამასთან, რუსეთს მის პოტენციურ მხარდამჭერებთან მუშაობის მეტი საშუალება მიეცა.

კობა თურმანიძის შეფასებით, მეორე ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ რუსეთუმეობის მიმართ შედარებითმა გახსნილობამ საზოგადოებაში იმ სეგმენტის რაოდენობა გაზარდა, რომელიც რუსეთის მომხრეა. ამასთან, მარგინალიზება მოუხსნა პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრორუსულები იყვნენ. ხელისუფლების შეცვლამდე ასეთი მოსაზრების, ან ლოზუნგის ღიად გამოთქმა მარგინალურ, შეიძლება ითქვას, ანტისახელმწიფოებრივ ქმედებად მიიჩნეოდა. მათ აქტივობას მაშინდელი ხელისუფლების მხრიდან შეიძლება, მკაცრი ზომები მოჰყოლოდა. „რთული შესაფასებელია, რამდენად კანონიერი ან უკანონო იყო ეს ქმედებები", – აცხადებს კობა თურმანიძე, თუმცა დღეს ასეთი რამ ნაკლებად მოსალოდნელია.

„პარტიების ხელმძღვანელობაში, მოგვწონს თუ არა, რაციონალური ხალხია. ხედავენ, რომ ამ ტიპის ელექტორატი არსებობს, მათ ყოველთვის ასეთი იდეოლოგია და მოსაზრებები ჰქონდათ და ახლა რატომ დამალონ?!" – აცხადებს კობა თურმანიძე.

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გიგი თევზაძე ვარაუდობს, რომ ამ პარტიების დეკლარირებული პოზიცია რუსეთის გაძლიერებით და კრემლის მიმართ ევროპაში მიღებული არაადეკვატური ზომებით არის განპირობებული.

თუმცა „ლიბერალთან" საუბრისას გიგი თევზაძემ პრორუსული („პროქართული") ჯგუფების მხრიდან პოზიციის ღიად გამოხატვა დადებით მოვლენად შეაფასა, რადგან, მისი აზრით, ეს მათთან საჯაროდ დაპირისპირების საშუალებას იძლევა. „ვერ ექნებათ პოზიცია – მე რუსეთს არ ვუჭერ მხარს, მაგრამ..." – ამბობს თევზაძე. ამიტომ, როგორც იგი აცხადებს, შეიძლება, პოზიტიურიც კი იყოს პარლამენტში მათი შესვლა, თუმცა მნიშვნელოვანია, იქ სხვა რომელი ძალები იქნებიან და ერთმანეთთან როგორი დამოკიდებულება ექნებათ.

„ტრაგედია არ იქნება, თუკი დეკლარირებულად ანტიდასავლური ჯგუფები საპარლამენტო ტრიბუნას მოიპოვებენ. ამომრჩეველი თვითონვე დარწმუნდება, რომ რუსეთისგან ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებს", – ანალოგიური მოსაზრება აქვს კობა თურმანიძეს.

„თამაზ მეჭიაური – ერთიანი საქართველოს" ლიდერი თამაზ მეჭიაური: „პლებისციტის შედეგი, რომელზეც აპელირებენ, როგორც წინა, ასევე დღევანდელი ხელისუფლება, რომ ქართველი ხალხის არჩევანია NATO-ში შესვლა, ჩემი აზრით, არის ეჭვქვეშ დასაყენებელი".

ერთ-ერთ საპარლამენტო გამოსვლაში ფრაქცია „რესპუბლიკელების" თავმჯდომარემ, დავით ბერძენიშვილმა პარლამენტში წარმოდგენილი ოპონენტი პარტიის დახასიათებისას, საფრანგეთის მაგალითი გაიხსენა.

„ლე პენივით ხართ – რამდენ ხმასაც მიიღებთ პირველ ტურში, იმდენივეს მიიღებთ მეორე ტურში. რაც უნდა წარმატებული გქონდეთ შედეგები პირველ ტურში, ფრანგი ულტრამემარჯვენეების შედეგების შესაბამისად, მეორე ტურში – გინდა მამა ლე პენის, გინდა შვილი ლე პენის მსგავსად – პოლიტიკური კეთროვანები ხართ. მეორე ტურში მიიღებთ იმდენივე ხმას, ან დაბალ პროცენტს", – მიმართ მან ოპონენტებს.

მართლაც, 2015 წლის დეკემბერში პირველ ტურში კენჭისყრის შედეგად საფრანგეთის რეგიონულ არჩევნებზე ლე პენის „ეროვნულმა ფრონტმა" პირველი ადგილი დაიკავა (28%), მაგრამ მეორე ტურში პარტიამ 13-ვე რეგიონში წააგო.

საქართველოში „პროქართული" პარტიების (როგორც თავს უწოდებენ) მხარდამჭერთა ზრდის პოტენციალზე საუბრისას კობა თურმანიძე გამოკითხვების შედეგებს იშველიებს და აღნიშნავს, რომ დაახლოებით 10-15%-ს წარმოადგენს ელექტორატი, რომელიც რუსეთის მიმართ სულ ცოტა ნეიტრალურადაა განწყობილი. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, უცნობია, ეს ხალხი პოლიტიკურად რამდენად აქტიურია; მართალია, ისინი რუსეთის მიმართ, გარკვეულწილად, სიმპათიით არიან განწყობილები, მაგრამ ძნელი სათქმელია, წავლენ თუ არა არჩევნებზე და მისცემენ თუ არა ხმას რომელიმე პარტიას.

„პროდასავლური პარტიებისთვის საბედნიეროდ, აღნიშნული პარტიები ერთმანეთსაც უწევენ კონკურენციას და ერთმანეთს ხმებს წაართმევენ", – აღნიშნა კობა თურმანიძემ, თუმცა, მისივე თქმით, გამოკითხვებიდან ჩანს, რომ რუსეთის მომხრე ერთი პარტია მაინც

შეძლებს ბარიერის გადალახვას, მაგრამ რთული სათქმელია, ბარიერს მიღმა რამდენად შორს წავა. ეს ასევე დამოკიდებულია, მეორე ფრონტზე როგორი კონკურენტები ეყოლებათ.

„თუ დეკლარირებულად პროდასავლურმა პარტიებმა ერთმანეთს ხმები წაართვეს, ამ დაქსაქსულობამ შეიძლება, ხელი შეუწყოს რუსეთის მომხრე პარტიების წარმატებას. ამიტომ მნიშვნელოვანია დასავლური პარტიების კონსოლიდაცია, რისი შანსიც მაინცდამაინც არ არის", – აცხადებს თურმანიძე.

გიგი თევზაძის შეფასებით, ამ პარტიების მხარდამჭერთა ზრდა საერთაშორისო პროცესებზეა დამოკიდებული – როგორ ხედავენ ძირითადი აქტორები საქართველოს.

„პრინციპში დიდი მნიშვნელობა არ აქვს, საქართველო როგორ მოიქცევა, არამედ – საქართველო და გარშემო ტერიტორიები რა დატვირთვას შეიძენს მსოფლიოში ძირითად მოთამაშეებს შორის. ნელ-ნელა ცხადი ხდება, რომ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპირო ძალიან მნიშვნელოვანია მსოფლიოს ეკონომიკური განვითარებისთვის, შესაბამისად, შავ ზღვაზე კონკურენცია გაიზრდება და რუსეთმა, რაც არ უნდა იწვალოს, შავ ზღვას ნელ-ნელა კარგავს, მაგალითად, ბულგარეთში აშშ-ის ბაზა გაჩნდა და ა.შ. თუ NATO-ს ძალები შავი ზღვიდან საქართველოს დაიცავენ, რა თქმა უნდა, რუსეთის, როგორც რბილი, ასევე მკაცრი პოლიტიკის გავლენა საქართველოზე შესუსტდება. თუ დასავლეთი არ გაძლიერდება, რუსული გავლენა გაიზრდება და პარლამენტში პარტიები ამის მიხედვით იმოქმედებენ", – აცხადებს გიგი თევზაძე.

მარგინალები მეინსტრიმში

ევროკავშირის წევრ ბევრ ქვეყანაში ულტრამემარჯვენე პარტიები ყველაზე დიდ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენენ, მაგრამ ხმამაღალი განცხადებებით საზოგადოების ყურადღების მიპყრობას

„მრეწველების" ლიდერი გოგი თოფაძე: „ევროკავშირის რეკომენდაციები გასათვალისწინებელია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ევროკავშირს ძალიან უნდა, ჯერ ორი ახალგაზრდა მამაკაცი გამოვიდეს ქორწინების სასახლიდან და მერე მიგვიღოს წევრად. ასე არ არის, რადგან ევროკავშირის წევრობა ჰომოსექსუალიზმისა და ლესბოსელობის წახალისების გარეშეც შეიძლება".

და მგრძნობიარე თემებზე დებატების გამოწვევას ახერხებენ.

ის, რაც დღეს მისაღებ ნორმად გვეჩვენება, 2000-იანი წლების დასაწყისში საყოველთაო დაგმობისა და კრიტიკის საგანი იყო. 2002 წელს (ხმების 16.86%-ის მიღების შედეგად) საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში „ეროვნული ფრონტის" კანდიდატის, ჟან-მარი ლე პენის გასვლა შოკისმომგვრელი გამოდგა. „ეროვნული ფრონტის" წინააღმდეგ ქუჩაში მშვიდობიანი მარშით მილიონზე მეტი ადამიანი გავიდა. ამ აქციაში მოქალაქეები ოჯახებით მონაწილეობდნენ. ლე პენის წარმატებას სხვადასხვა პარტია ერთობლივად აპროტესტებდა, პოლიტიკური აფილაციის მიუხედავად, მათ გვერდით იდგნენ საზოგადოებრივი გაერთიანებები. მეორე ტურში მან არათუ წააგო არჩევნები, არამედ პირველსა და მეორე ტურს შორის თითქმის ვერ შეძლო მხარდამჭერთა დამატებით მობილიზება.

დღეს კი საფრანგეთს აქვს „პრივილეგია", იყოს პირველი ევროპული ქვეყანა (დანიასთან ერთად), სადაც ევროპარლამენტის 2014 წლის არჩევნებში მყარად ევროსკეპტიკურმა, ანტიიმიგრაციულმა, ნაციონალისტურ-პოპულისტურმა პარტიამ გაიმარჯვა. საფრანგეთისთვის ევროპარლამენტში განკუთვნილი 73 მანდატიდან 24 „ეროვნულმა ფრონტმა" მოიპოვა (ხმების 25%-ით პირველი ადგილი დაიკავა).

ახლა „ეროვნული ფრონტის" წინააღმდეგ მასშტაბური, კონსოლიდირებული პროტესტი აღარ არსებობს, ის მიღებული, ანგარიშგასაწევი პოლიტიკური ძალაა.

ავსტრიაში ნაციონალისტური, ანტიიმიგრაციულად განწყობილი „თავისუფლების პარტია" მოწინავე პოლიტიკურ გაერთიანებად არის წარმოდგენილი. მისმა კანდიდატმა, ნორბერტ ჰოფერმა წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ხმების 49.7%-ის მიღება მოახერხა (საბოლოოდ, ავსტრიის უმაღლესმა სასამართლომ საპრეზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დენტო არჩევნების შედეგი გაანულა და განმეორებით არჩევნებს შემოდგომაზე ელოდებიან), პარტიის, რომლის დევიზი ქართულად შეიძლება, ასე ითარგმნებოდეს: „ავსტრია უპირველეს ყოვლისა“, კამპანია ძირითადად, იმიგრანტებისთვის ბენეფიტების შემცირებაზე დააფუძნა.

„გაერთიანებული სამეფოს დამოუკიდებლობის პარტიის“ (UKIP) გამარჯვება – ევროკავშირიდან გასვლის საკითხზე გამართულ რეფერენდუმში – ყველა ევროსკეპტიკური პარტიისთვის სტიმულს წარმოადგენს.

პოლიტიკური ანალიტიკოსი გია აბაშიძე „ლიბერალთან“ აღნიშნავს, რომ ევროპაში ულტრამემარჯვენეებისა და ევროსკეპტიკოსების გაძლიერება 2008 წლიდან გლობალური ფინანსური კრიზისის ფონზე იწყება. ამას დაემატა ის, რომ ევროპაში არის მიგრაციის კრიზისი, ტერორიზმის გაძლიერებული საფრთხე, ეკონომიკური სტაგნაცია და სოციალური პრობლემები. როგორც აბაშიძე ამბობს, ევროპელებმა ადვილი გადაწყვეტილების მიმღები გზის ძიება დაიწყეს, რომელიც მათ ულტრამემარჯვენე პოპულისტებმა ევროსკეპტიკოსებმა შესთავაზეს.

„ეს პარტიები და მათი ლიდერები მომძლავრდნენ. მათ მთავარ ლოზუნგად აქვთ ისიც, რომ იყოს პირდაპირი დემოკრატია, ხალხმა თავად აირჩიოს ხელისუფალი და არა დაქირავებული ჩინოვნიკი. BREXIT და ევროსკეპტიკოსი პარტიები ევროკავშირს აიძულებენ, რომ თვითონ ბრიუსელმა სწრაფად მიიღოს რეფორმების გადაწყვეტილება. ზედმეტმა რეგულაციებმა ამ პარტიების განვითარებას და ევროკავშირის წინააღმდეგ მხარდამჭერთა მობილიზებას ბიძგი მისცა“, – აცხადებს გია აბაშიძე.

როგორც Huffington post წერს, თანამედროვე მემარჯვენე პარტიები, უმთავრესად, პოსტმატერიალისტურ ფენომენს წარმოადგენენ, იდენტობაზე აქცენტირების პოლიტიკას ემყარებიან და ყურადღებას სოციალურ-კულტურულ საკითხებზე ამახვილებენ. ეკონომიკური კრიზისის

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე: „საქართველომ უბლოკო სტატუსი უნდა აირჩიოს. უბლოკო სტატუსი ნიშნავს იმას, რომ უარი უნდა თქვა ისეთ სამხედრო ბლოკში, სამხედრო ალიანსში გაწევრიანებაზე, რომელიც არ მოსწონს რუსეთს, ასევე უარი უნდა თქვა ისეთ სამხედრო ალიანსში გაწევრიანებაზე, რომელიც მოსწონს რუსეთს, ანუ უარი უნდა თქვა NATO-სა და „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციაში“ გაწევრიანებაზე.

დროს ამ ტიპის პარტიებს ამომრჩევლისთვის გამოსავლის შეთავაზების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ. მათთვის ეკონომიკური ხედვა ძლიერ მხარეს არ წარმოადგენს.

მიუხედავად ამისა, დასავლეთ ევროპაში კვლევები აჩვენებს, რომ სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუარესება ულტრამემარჯვენე პარტიათა მხარდამჭერების ზრდაზე დადებითად აისახება, ვინაიდან რიტორიკის დონეზე ისინი ამომრჩევლის მდგომარეობას ეხმაურებიან და ნაციონალიზმსა და შეუწყნარებლობას აღვივებენ.

რაც შეეხება საქართველოს, გიგი თევზაძის შეფასებით, იმის გამო, რომ ქვეყანაში ერთიანი ნაციონალური იდენტობა ჯერ კიდევ არ არსებობს, ეს ჯგუფები ნაციონალურ იდენტობაში თავიანთი ადგილის დაკავებას ცდილობენ.

როგორც კობა თურმანიძე ამბობს, საყოველთაო ტენდენციასავითაა, რომ ულტრამემარჯვენეები ყველგან მოძლიერდნენ. მისი თქმით, თუ ქართულ საზოგადოებაში სამყაროზე ზოგად შეხედულებებსა და უმცირესობების, დემოკრატიული ღირებულებების მიმართ დამოკიდებულებას გავითვალისწინებთ, რა თქმა უნდა, საქართველოში არათუ საფრთხე არსებობს, გასაკვირიც კი არის, რომ ძლიერი ულტრამემარჯვენე მოძრაობა აქამდე არ შეიქმნა.

გიგი თევზაძის თქმით, საქართველოში ამ ძალების მარგინალურ ჯგუფად შეფასება სწორი არ იქნება.

„ადამიანი, რომელიც ამბობს, რომ საბჭოთა კავშირის დაბრუნება სურს, არანაირად არ არის მარგინალური, არამედ ისეთი თემაა, რომელზეც დღეს საქართველოში აქტიურად მსჯელობენ. საზოგადოებრივ ცნობიერებაში მათი მარგინალიზება არ ხდება. არის ხალხი, ვინც ამ პოზიციას იცავს. ესენი არიან პრორუსული ჯგუფები. მარგინალურია ის, რაზეც მასობრივად არ ვმსჯელობთ. მაგრამ, პრორუსი ნამდვილად არ არის მარგინალური“, – გვეუბნება გიგი თევზაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას მოგვიტანს წმინდა კრება

მირიან გამრეკელაშვილი

ნებისმიერი რელიგიის შიგნით, ადრე თუ გვიან, დგება ჟამი, რომ საკუთარი თავი ახლიდან განუცხადოს კაცობრიობას და გარე სამყაროს, თუ მას სურს იყოს უნივერსალური, საჯაროდ მოქმედი, ღია ნებისმიერი ადამიანისათვის. ამგვარი შეკრებების საჭიროებას ხშირად არა მხოლოდ მეტაფიზიკური (საეკლესიო ენაზე დოგმატური), არამედ პრაქტიკული საკითხების მოგვარების საჭიროებაც განაპირობებს ხოლმე. ამ სახის აქტის მომწიფებას, რელიგიური ორგანიზმის სიდიდისა და გეოგრაფიული გავრცელების არეალის მიხედვით, შესაძლოა, საუკუნეებიც კი დასჭირდეს, როგორც ეს მოხდა იმ 14 ეკლესიის შემთხვევაში, რომელიც თავს მართლმადიდებელს უწოდებს, პლანეტის სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალშია მიწიერი სახით წარმოდგენილი, სულიერი, მეტაფიზიკური თვალსაზრისით კი ერთი, წმინდა და სამოციქულოა. კრეტაზე გამართული, მართლმადიდებელი ეკლესიების კრების მოსამზადებელი პერიოდი 1961-2014 წლებს მოიცავს. სწორედ ამ დროის განმავლობაში მიმდინარეობდა საეკლესიო კრებაზე დასამტკიცებელი დოკუმენტების დამუშავება. რუსეთსა და თურქეთს შორის წარმოქმნილი კონფლიქტისა და ახლო აღმოსავლეთში არსებული რთული პოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, შეხვედრის ადგილი სტამბოლიდან კუნძულ კრეტაზე გადაიტანეს, კრების თარიღად კი დასახელდა 2016 წლის 18-27 ივნისი.

რუსეთის ფაქტორი

სამწუხაროდ, კრებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით პოლიტიკურ ნიუანსებს, რომლებიც ამ მნიშვნე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოვან შეკრებას, უფრო სწორად კი, მოსკოვსა და კონსტანტინეპოლს შორის დაპირისპირებას უკავშირდება. მას შემდეგ, რაც ბიზანტიის იმპერია, მისი დედაქალაქი კონსტანტინეპოლი დაეცა (1453) და მოსკოვის სამთავრომ სახელმწიფოს მასშტაბები შეიძინა, მართლმადიდებლობის გეოგრაფიული ცენტრის საკითხთან დაკავშირებით დღემდე მწვავე სახით არსებული ქიშპობა წარმოიქმნა. ჯერ კიდევ გვიან შუა საუკუნეებში რუსეთში სათავე დაედო ე.წ. „კონცეფციას მესამე რომის შესახებ", რომელიც თავდაპირველად ფსკოველმა ბერმა ფილოთეოსმა გაახმაურა (Мона́х Филофе́й, 1465-1542). ამ პოლიტიკური თეორიის მოკლე შინაარსი ასეთია: პირველივ რომი ბარბაროსებმა დააქციეს და მოგვიანებით ჭეშმარიტი რწმენაც დაკარგეს, მეორე რომი – კონსტანტინეპოლიც დაეცა და დადგა დრო, მოსკოვი გახდეს მესამე – ჭეშმარიტი რომი, ანუ – ქრისტიანული ცივილიზაციის ცენტრი და მისი დამცველი. ამ, ერთი შეხედვით, გულუბრყვილო მოსაზრებას სხვადასხვა დროს გეოპოლიტიკური სტრატეგიის განხორციელების მცდელობის კონტექსტშიც იყენებდნენ ხოლმე. ასე განსაჯეთ, ეს იდეა, როგორც პოლიტიკური გავლენის მოპოვების საშუალება, იოსებ სტალინსაც კი მოაწონეს. სწორედ მან გასცა განკარგულებების მთელი წყება მეორე მსოფლიო ომის მსვლელობისას, რომელთა საფუძველზეც უსწრაფეს დროში აღდგა პატრიარქის ინსტიტუტი რუსეთის ეკლესიაში; ცნეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალია და დაიწყო მზადება მართლმადიდებელი ეკლესიების მსოფლიო კრებისათვის, რომელიც მოსკოვში უნდა გამართულიყო 1948 წელს. კრება საბოლოო სახით ვერ შედგა, რადგან მასზე მართლმადიდებელი ეკლესიები სრულად არ იყვნენ წარმოდგენილნი.

საბჭოთა პირობებში დაუკმაყოფილებელი ამბიცია რუსეთში დღემდე ცოცხალია და პუტინის რეჟიმის გაძლიერების პარალელურად უფრო და უფრო აქტუალური ხდება. შემთხვევითი არ იყო პუტინის ვიზიტი ათონის მთაზე, სწორედ რომ კრეტის კრების წინა პერიოდში, სადაც იგი ბერებმა ბიზანტიის იმპერატორისთვის განკუთვნილ ადგილას დააყენეს და, სიმბოლურად, მართლმადიდებლობის დამცველის იმიჯი მოარგეს. თავის მხრივ, ამ ამბიციური იდეის განხორციელებას კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით ცდილობს მოსკოვის საპატრიარქო, რომლის არგუმენტიც ძალიან უბრალოა: ვინაიდან ერთი ქვეყნის ფარგლებში მცხოვრები მართლმადიდებელი მოსახლეობა სწორედ რუსეთშია, მოსკოვის საპატრიარქოს სახელმწიფოს მხარდაჭერა აქვს და არც ფინანსებში მოიკოჭლებს, სწორედ ის უნდა გახდეს მართლმადიდებელი ეკლესიების სვე-ბედის განმგებელი.

რუსეთის ეკლესიის მიერ ქრისტიანობის თავისებური ინტერპრეტაცია და მისი დამოკიდებულება გარესამყაროსადმი, რომელიც შეუთავსებელია ავთენტურ მართლმადიდებლობასთან, იმთავითვე ქმნიდა წინააღმდეგობას კრების იდეასთან, რომელიც, სავარაუდოდ, მხარდაჭერას სწორედ ნამდვილ, ჯანსაღ ქრისტიანულ, გახსნილ, ტოლერანტულ, სოლიდარულ, უანგარო, თავისუფალ და რეალურ პრობლემებთან მებრძოლ, ჰუმანურ და ჰარმონიულ ქრისტიანულ მოძღვრებას დაუჭერს მხარს. კონფლიქტს ასევე ამწვავებს ის, რომ უკრაინაში პარალელურად თანაარსებობს რუსეთის ეკლესიის ეპარქიები, სიმბოლური ავტონომიის უფლებებით და მართლმადიდებელი მრევლის ნაწილი, რომელიც 1991 წელს რუსეთის ეკლესიას გამოეყო და ადგილობრივი, უკრაინის ავტოკეფალური ეკლესია გამოაცხადა. მისი მეთაური პატრიარქი ფილარეტია და ეს ეკლესია თავს ისტორიული კიევის მიტროპოლიის სამართალმემკვიდრედ მიიჩნევს. მართლმადიდებელი ეკლესიის კანონებისა და მისი ეკლესიოლოგიური მოძღვრების საფუძველზე, სრულიად შესაძლებელია, კიევის საპატრიარქოს მიენიჭოს კანონიკური ავტოკეფალური ეკლესიის სტატუსი. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის ეკლესიის ზეწოლის შედეგად განსახილველი თემებიდან ეს საკითხი მოიხსნა, მას ბოლო მომენტში მაინც შეეშინდა, რომ შეიძლებოდა მოულოდნელად მაინც წამოჭრილიყო იგი და ღია პლატფორმაზე თავისი ინტერესის დაცვა ვერ მოეხერხებინა. სწორედ ამიტომ არჩია კრებაზე წაუსვლელობა, თუმცა, როგორც ყოველთვის, ეს გადაწყვეტილებაც თავისებური ცბიერებითა და მოქნილობით განახორციელა. კერძოდ კი, სწორედ კრების წინ თავისი გავლენის ორბიტაზე მყოფი ეკლესიების მოტივაცია სცადა, კრებისათვის ბოიკოტის გამოსაცხადებლად, რასაც მიაღწია კიდეც – კრებას ანტიოქიის, ბულგარეთისა და საქართველოს ეკლესიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს.

2016 წლის 25 მაისს სინოდის სხდომაზე გადაწყდა, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კრებაზე გაემგზავრებოდა. შემუშავდა შენიშვნათა წყება, რომელიც კრებას უნდა გაეთვალისწინებინა რამდენიმე დოკუმენტთან დაკავშირებით. კრებაზე გასამგზავრებელი ეპისკოპოსთა დელეგაციის შემადგენლობაც დადგინდა, თუმცა მას შემდეგ, რაც შიგა საეკლესიო წრეებში ცნობილი გახდა, რომ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია, სავარაუდოდ, კრებაზე არ მიემგზავრებოდა, ბულგარეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ კი უკვე განაცხადა უარი, დაინიშნა სინოდის საგანგებო კრება, რომელიც 10 ივნისს შედგა კიდეც. სინოდის სხდომა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდე ერთი დღით ადრე საქართველოს წმინდა სინოდსა და კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს ცამეტი თეოლოგისგან შემდგარმა ჯგუფმა ღია წერილით მიმართა, არ დაეჭირათ მხარი ოკუპანტი სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი საპატრიარქოს ინიციატივისათვის, კრებაზე გამგზავრებულიყვნენ და იქ განეხილათ თავიანთი მოსაზრებები საჯაროდ, როგორც ეს უკვე დაგეგმილი იყო. კრება მაინც შედგა და ეპისკოპოსებს წინასწარ მიღებული გადაწყვეტილება ამცნეს, რომ საქართველოს ეკლესია არ მიემგზავრება კრებაზე, რადგან მისაღები დოკუმენტების შინაარსი მისთვის მიუღებელია. უნდა აღინიშნოს, რომ სინოდის წევრები ამ გადაწყვეტილების მიმართ ერთსულოვნები არ ყოფილან, მაგრამ უმრავლესობის მხარდაჭერით მიიღეს.

საერთოდ, როდესაც რუსეთის გავლენაზეა საუბარი, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მოსკოვის საპატრიარქოსთვის გამოყოფილ კრემლის აპარტამენტში ვინმე იჯდეს და ტელეფონით ჩვენი სამღვდელოების წარმომადგენლებს აგენტურულ დავალებებს აძლევდეს (თუმცა ხშირად არც უმაგისობა უნდა იყოს, ჩემი მოკრძალებული აზრით). საუბარია გაცილებით უფრო რთული სქემის მქონე, კულტურულ-ცნობიერებით გავლენაზე, რომელიც ბევრი მექანიზმის ამოქმედების შედეგად ხორციელდება. უპირველესად აღსანიშნავია, ალბათ, კონკრეტული ტიპის ინფორმაციის გავრცელების საშუალებით წარმოებული პროპაგანდა. არც რუსეთში მიღებული განათლება ტოვებს უმნიშვნელო კვალს, ქართველი ეპისკოპოსების ცნობიერებაზე. ცალკე საკითხია ფინანსური ინტერესები, საქმიანი თუ დიპლომატიური ვიზიტები, პატრიარქის პირადი სიმპათია ამ ქვეყნის მიმართ და ა. შ. ეს ყველაფერი კი უკვე წლებია, საქართველოს ეკლესიის წიაღში შეუქცევადი სახით მიმდინარეობს. მაგალითად, საქართველოს ეკლესიის საკადრო პოლიტიკის წყალობით, ეპისკოპოსებად, ძირითადად, იკურთხებიან ის კანდიდატები, რომლებსაც განათლება რუსეთში აქვთ მიღებული. იგივე სტრატეგია არსებობს სამღვდელოების კურთხევისასაც – მხოლოდ და მხოლოდ ერთი ტიპის ადამიანების ხელდასხმა ხდება მღვდელმსახურებად. ანალოგიური ვითარებაა საღვთისმეტყველო ლიტერატურასთან დაკავშირებით, რომელიც ბაზირებულია აკადემიური ხარისხის არმქონე, რუსულ პროპაგანდისტულ ინფორმაციაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მართლმადიდებელი ეკლესიებიდან არც ერთი არაა თავისუფალი მძიმე ტრავმატული გამოცდილებისაგან, რომელიც ხშირად აღმოუფხვრელი სტერეოტიპებისა და მტრული განწყობების წარმოქმნას იწვევს. სწორედ ამგვარ შინაგან წინაღობებში გახლართვა უშლის ბევრ ეკლესიას ხელს, მაქსიმალურად მიუახლოვდეს ქრისტიანობის სახარებისეულ იდეალებს, რომელთანაც კრეტის კრებების გადაწყვეტილებები არც ისე ახლოსაა, თუმცა საბოლოო ჯამში მისი მიზანი მაინც უფრო წინსვლაა, ვიდრე ერთ ადგილზე გაყინვა და საკუთარ ნაჭუჭში ჩაკეტვა. ბულგარეთის, საქართველოს, ანტიოქიისა და რუსეთის ეკლესიების პროტესტმა კრების მონაწილე კონსერვატორული ფრთის გაძლიერება გამოიწვია და უფრო პროგრესული მონაწილეების მიმართ შანტაჟის საშუალება მისცა. იმის შიშით, რომ მონაწილეობაზე უარისმთქმელმა ეკლესიებმა კრება არ მონათლონ ტრადიციული გაგების, ჩვეულებების მომსპობად და მას ანტიმართლმადიდებლობა არ დასწამონ, ბევრი გადაწყვეტილება, უალრესად კონსერვატორულად არის ფორმულირებული, მაგალითად, როგორც ეს არის ქორწინების შესახებ არსებულ კრების ტექსტებში.

შერეული ქორწინების საკითხი – საჭირბოროტო ქვა

წესითა და რიგით, როდესაც საქმე ეხება ეკლესიის მიერ ახლიდან თვითგანცხადების აქტს კაცობრიობისათვის გასაგებ ენაზე და ისეთი საკითხების გადაწყვეტას, რომლებიც არ წარმოადგენს დოგმატურ, არამედ ადმინისტრაციულ თემებს, ეკლესია, როგორც წესი, იქცევა შემდეგნაირად: ქმნის აკადემიური თეოლოგიური განათლების მქონე და კომპეტენტურ სასულიერო პირთაგან დაკომპლექტებულ კომისიას, რომელიც უზრუნველყოფს იმ საკითხთა ანალიზსა და დასკვნებს, რომლებიც შემდგომში ეკლესიის თვითმანიფესტაციის ტექსტებში აისახება. ასეთ დროს ეკლესია ხელმძღვანელობს პრინციპით, რომელსაც ყველაზე ლაკონიურად პავლე მოციქულის სიტყვები ასახავს: „ღმერთმა მოგვცა იმისი ძალა, რომ ახალი აღთქმის მსახურნი ვიყოთ; არა ასოსი, არამედ სულისა, ვინაიდან ასო კლავს, ხოლო სული აცოცხლებს. ასო კლავს და სული აცოცხლებს (2 კორ. 3,6.)". სხვა სიტყვებით რომ თქვათ, ძველი ტექსტების ბუკვალურ გამოდევნებას არ უნდა შეეწიროს უფრო მნიშვნელოვანი რამ, მარადიულ ფასეულობებზე ორიენტირებული რწმენისა და სიცოცხლის თანაარსებობა. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია კი ბოლო ოცდაათი წელია, სრულიად საპირისპიროდ იქცევა: ცდილობს კონტექსტიდან ამოგლეჯილი ტექსტების საფუძველზე ამა თუ იმ ტიპის ადამიანების დემონიზებას, დისკრიმინაციასა და დევნას. გამონაკლისი არც ამჯერად ყოფილა.

უპირველესად უნდა აღვნიშნოთ, რომ არანაირი ოფიციალური, მით უმეტეს თეოლოგიური, კომისია არ შექმნილა. პირიქით, ეკლესიამ პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



საერთოდ, როდესაც რუსეთის გავლენაზეა საუბარი, ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს მოსკოვის საპატრიარქოსთვის გამოყოფილ კრემლის აპარტამენტში ვინმე იჯდეს და ტელეფონით ჩვენი სამღვდელოების წარმომადგენლებს აგენტურულ დავალებებს აძლევდეს (თუმცა ხშირად არც უმაგისობა უნდა იყოს, ჩემი მოკრძალებული აზრით). საუბარია გაცილებით უფრო რთული სქემის მქონე, კულტურულ-ცნობიერებით გავლენაზე, რომელიც ბევრი მექანიზმის ამოქმედების შედეგად ხორციელდება.

ცესში არ ჩართო ის თითზე ჩამოსათვლელი, თითო-ოროლა ქართველი თეოლოგი, რომელთაც შესაბამისი განათლება და კომპეტენცია აქვთ. მსოფლიო საპატრიარქოში წარმომადგენლად გაიგზავნა გორისა და ატენის მიტროპოლიტი ანდრია გვაზავა, რომელსაც დახმარებას რამდენიმე სასულიერო პირი უწევდა. რეალურად კი, ამ საკითხებზე ეკლესიის პოზიციას აყალიბებდნენ რელიგიური აგრესიისა და იზოლაციისკენ ძლიერ მიდრეკილი სასულიერო პირები, რომელთაც საზოგადოება ხშირად მართლმადიდებელ მშობელთა კავშირის სახით ხვდება ხოლმე საინფორმაციო სივრცეში. ესენი არიან პირები, რომლებიც არამართლმადიდებლებს ადამიანებადაც კი არ მიიჩნევენ. უფრო მეტიც, მათი შევიწროება, განდევნა, მოწყვლა და მოწყვეტა საღვთო საქმედაც კი მიაჩნიათ. აღსანიშნავია, რომ მათ მიერ პროპაგირებული მოსაზრებების საფუძველზევე, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მრევლის, სამღვდელოების, ეპისკოპოსების უმრავლესობა უკვე ათწლეულებია, კონსტანტინეპოლის პატრიარქ ბართლომეს მწვალებლად და მართლმადიდებლობიდან განდგომილად მიიჩნევს, ვინაიდან იგი კათოლიკე ეკლესიასთან მეგობრულ ურთიერთობას ცდილობს. მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველოს ეკლესიის პოზიცია იმთავითვე იყო კრების მიმართ სრულიად ნეგატიური. მას თავიდანვე სურდა, რომ კრებას ადამიანებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო მეტ ადამიანს შეეხუთება სული იმის გამო, რომ ცხოვრობს ქვეყანაში, სადაც მთელი გარემო შეუქცევადად და აგრესიული მანერით მიდის უკიდურესი ერთფეროვნებისკენ, სადაც არ არსებობს პირადი სივრცის გაგება და პიროვნების არათუ პატივისცემა, არამედ მინიმუმ აღიარებაც კი, სადაც რწმენა საშინელმა აგრესიამ ჩაანაცვლა.

თვის სულიერი სიხარული და შვება კი არ მოეტანა, არამედ პირიქით, მისი გზავნილი რეპრესიული და მათი ყოფის დამამძიმებელი ყოფილიყო. საჯილდაო ქვად კი აირჩიეს საკითხი შერეული ქორწინების შესახებ, ანუ, როდესაც მართლმადიდებელი აღმსარებლობის ადამიანი ქორწინებაში შედის არამართლმადიდებელ ან სულაც არაქრისტიან პირთან, ხოლო ეკლესია მაინც სწერს წყვილს ჯვარს, ადებინებს რა პირობას არამრევლ მეწყვილეს, რომ ამ ქორწინებაში დაბადებული ბავშვები მართლმადიდებლებად მოინათლებიან. ეს საკითხი თავის დროზე მკაცრად განისაზღვრა მსოფლიო კრებებზე, თუმცა შემდეგ, როდესაც ქრისტიანობა უფრო მეტ ქვეყანაში გავრცელდა, ან პირიქით ქრისტიანულ ქვეყნებში სხვა რელიგიის აღმსარებლებმა იმატეს, ადგილობრივმა საეკლესიო კრებებმა, პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, ეს საკითხი, ე.წ. იკონომიის (საეკლესიო გულმოწყალება, როდესაც გათვალისწინებულია კონკრეტული ადამიანების გამოუვალი მდგომარეობა) პრინციპზე დაყრდნობით შეარბილეს. საქართველოში კი მოხდა პირიქით. ვინაიდან საქართველოს მეფეს, დავით IV აღმაშენებელს ბიზანტიასთან დაახლოება სურდა, 1105 წლის რუის-ურბნისის კრებაზე იმ მიზნით, რომ ქართული მართლმადიდებელი, პრობიზანტიური ეკლესია საბოლოოდ გამიჯვნოდა სომხეთის სამოციქულო ეკლესიას, ე.წ. შერეული ქორწინებები აიკრძალა. ამ საკითხმა კრების კონტექსტში ქართველი სამღვდელოებისათვის მოულოდნელად კატეგორიული ხასიათი შეიძინა და მრავალგზის გააპროტესტეს, სულ ბოლოს კი, საეკლესიო კრების მსვლელობისას, 2016 წლის 23 ივნისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ კრებას კიდევ ერთხელ მიმართა, საერთოდ არ განეხილათ ეს საკითხი. მისი თხოვნის მიუხედავად, კრეტაზე გამართულ კრებაზე განსახილველად გავიდა დოკუმენტი სახელწოდებით „ქორწინების საიდუმლო და მისი დამაბრკოლებელი მიზეზები“, თუმცა ნაწილობრივ გაითვალისწინეს საქართველოს ეკლესიის შენიშვნები. საბოლოოდ შერეული ქორწინებების საკითხის დარეგულირება ისევ და ისევ ადგილობრივი ეკლესიების კომპეტენციად დარჩა, თუმცა მიეცათ მოწოდება, მიუდგნენ ამ საკითხს საეკლესიო გულმოწყალების (იკონომიის) გათვალისწინებით, რათა ადამიანები არ დაბრკოლდნენ ხსნის გზაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საბოლოო ჯამში მხოლოდ ქართველი მრევლი მოაკლდება თავისი ეკლესიის კურთხევას, დაიწეროს ჯვარი საყვარელ ადამიანთან, ისე, რომ არ აიძულოს იგი, თავიდან მოინათლოს, თუმცა მრევლის წევრებს შერეული ქორწინებისას კვლავინდებურად შეეძლებათ ჯვრისწერა სხვა მართლმადიდებელ ეკლესიაში, როგორც ეს აქამდეც ხდებოდა.

მაინც რა თქვა კრებამ?

ამ კითხვაზე ყველაზე გულწრფელი პასუხი იქნებოდა, რომ ახალი არც არაფერი. თუმცა, მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს კრება აშკარად არის პროგრესული მოვლენა. ის, რომ მისი დოკუმენტები არ ატარებს პარადიგმულ და უნივერსალურ ხასიათს, გამოწვეულია იმ სავალალო მდგომარეობით, რომელშიც მართლმადიდებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიებს დეცენტრალიზებული თანაარსებობის წესი აყენებს. თითოეულ მათგანს სწორება იმ ქვეყნის სოციო-პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე აქვს, რომელშიც ფიზიკურად უწევს მოღვაწეობა. შესაბამისად, საეკლესიო საკითხებსაც განსხვავებულად ხედავენ. მიუხედავად ამგვარი შინაგანი წინააღმდეგობისა, კრებამ საბოლოო ჯამში დაამტკიცა ორი გზავნილი და ექვსი დოკუმენტი. ტექსტების დიდი ნაწილი შიგა საეკლესიო საკითხებს ეხება. ბევრი საკითხი საკმაოდ ანტიმოდერნულადაც კი არის ფორმულირებული. რთული და ჩახლართული ენა დოკუმენტებს უბრალო მკითხველისათვის ძნელად გასაგებს ხდის, განსაკუთრებით კი – მის თარგმანს. კრების მიერ მიღებულ ორ დოკუმენტში ჩამოთვლილია მართლმადიდებელი ეკლესიის ხედვა იმ საკითხებზე, რომლებიც ყველა მოქალაქისთვის საინტერესოა.

კრებასთან დაკავშირებული კონფლიქტის სავარაუდო შედეგები

თავიდანვე უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენია, დღესდღეობით ყველაზე ძლიერი ინსტიტუციაა, ადამიანთა სოციალიზაციის, მათი ცნობიერებისა თუ კულტურული ფორმაციის მხრივ. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს ეკლესიის ხედვას სამოქალაქო ცნობიერებისათვის აქტუალურ ბევრ საკითხზე. კულტურშემოქმედებითი ფუნქცია, რაც მას, მართლაც, ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში და რომელიც შეიძლება ღიაობის, შემწყნარებლობის, გარესამყაროსთან ჰარმონიაში ყოფნისა და ცოდნისკენ სწრაფვის ნიშნით ხასიათდებოდა, დღეს სრულიად საპირისპირო ხასიათს ატარებს. საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალიერარქები უკვე ათწლეულებია, თავს პოლიტიკურ მოღვაწეებად აღიქვამენ და ეკლესიის სრული შინაგანი პოლიტიზებაც მოახდინეს. ეს მუხტი ხშირად აისახება ხოლმე უშუალოდ პოლიტიკური პროცესის მწვავე მომენტებში ან ეკლესიის მისწრაფებაში, შთანთქოს ქვეყნის საჯარო სივრცე, განათლების სისტემა, ეკონომიკა თუ სხვა სეგმენტი. თუ გადავხედავთ კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, დავინახავთ, რომ ჩვენი ეკლესიები ცნობიერების დონის მიხედვით სრულიად სხვადასხვა სიბრტყეზე იმყოფებიან. აშკარაა ძალიან ღრმა კულტურული სხვაობა და შეუთავსებლობა ქრისტიანობის გაგებათა შორის. მიუხედავად იმისა, რომ კრების დოკუმენტების ნაწილი ან კონსერვატიულია, ან არაფრისმთქმელი, ის მაინც მნიშვნელოვანი მოვლენაა მართლმადიდებლობის, როგორც კონფესიის, ფორმაციის საკითხში, კულტუროლოგიური თვალსაზრისით, რომლის უკანაც ნახევარსაუკუნოვანი დაუღალავი ინტელექტუალური შრომა ძევს. ამ მოვლენისაგან შინაარსობრივი და სტრუქტურული გამიჯვნა აშკარად ნიშნავს უკან გადადგმულ ნაბიჯს და მოასწავებს ეკლესიის თვითიზოლაციისკენ შეუჩერებელ სვლას. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ ამ კონფლიქტში საქართველოს საპატრიარქოს არგუმენტები სრულიად მოკლებულია ჯანსაღ არგუმენტაციას. ქართველ სამღვდელოებას არ გააჩნია საკმარისი თეოლოგიური კომპეტენცია და, ბოლოს, ეს ნაბიჯი რუსულ სააზროვნო ორბიტაზე საბოლოოდ მიჯაჭვას ნიშნავს. თუ კონფლიქტი შეუქცევად ხასიათს მიიღებს, სავარაუდოდ, მივიღებთ ე.წ. სქიზმას, უფრო სწორად – გაფორმებას იმ ვითარებისა, რომელშიც, რეალურად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იმყოფება. სავარაუდოდ, ევქარისტიულ კავშირს გაწყვეტს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან და ერთგვარი გათიშულობის რეჟიმში გადავა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი საქციელი თითქმის ნორმალურად იქცა მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის.

რას მოუტანს ეკლესიის თვითიზოლაცია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას?

რადგან სიტყვა გამიგრძელდა, ლაკონიურად ჩამოვთვლი სავარაუდო პრაქტიკულ შედეგებს: მარხვის პერიოდში დაიწვება უფრო მეტი წიგნი ბათუმსა თუ საქართველოს სხვა ქალაქებში; ჩაიშლება უფრო მეტი როკკონცერტი; უფრო მეტი ადამიანი დაავადდება ფსიქოზით, რომ თანამედროვე ტექნიკა, ელექტრონული პასპორტი და ა. შ. ეშმაკის კოდებითაა სავსე; უფრო მეტი წიგნის ავტორი გახდება ფიზიკური და ფსიქიკური აგრესიის ადრესატი; უფრო მეტი გამოფენა ჩაიშლება, შიშველი გამოსახულებისა თუ სხვა მიზეზის გამო; უფრო მეტი სოსისი შეიყრება ვეგეტარიანელების თავშეყრის ადგილას და უფრო მეტი ბიჭი იქნება საეჭვო წარმონაქმნი, რადგან მას ფერადი შარვალი აცვია; შესაბამისად, იცემება უფრო მეტი საყურიანი მამაკაცი; კიდევ უფრო მეტი ადამიანი დაიჟეჟება, იცემება და დასისხლიანდება ქრისტეს სახელით, იქნება ეს მაისში, სექტემბერსა თუ დეკემბერში; თუ კიდევ უფრო დავკონკრეტდებით, კიდევ უფრო მეტ ადამიანს შეეხუთება სული იმის გამო, რომ ცხოვრობს ქვეყანაში, სადაც მთელი გარემო შეუქცევადად და აგრესიული მანერით მიდის უკიდურესი ერთფეროვნებისკენ, სადაც არ არსებობს პირადი სივრცის გაგება და პიროვნების არათუ პატივისცემა, არამედ მინიმუმ აღიარებაც კი, სადაც რწმენა საშინელმა აგრესიამ ჩაანაცვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ უფრო მეტ ადამიანს შეეხუთება სული იმის გამო, რომ ცხოვრობს ქვეყანაში, სადაც მთელი გარემო შეუქცევადად და აგრესიული მანერით მიდის უკიდურესი ერთფეროვნებისკენ, სადაც არ არსებობს პირადი სივრცის გაგება და პიროვნების არათუ პატივისცემა, არამედ მინიმუმ აღიარებაც კი, სადაც რწმენა საშინელმა აგრესიამ ჩაანაცვლა.

თვის სულიერი სიხარული და შვება კი არ მოეტანა, არამედ პირიქით, მისი გზავნილი რეპრესიული და მათი ყოფის დამამძიმებელი ყოფილიყო. საჯილდაო ქვად კი აირჩიეს საკითხი შერეული ქორწინების შესახებ, ანუ, როდესაც მართლმადიდებელი აღმსარებლობის ადამიანი ქორწინებაში შედის არამართლმადიდებელ ან სულაც არაქრისტიან პირთან, ხოლო ეკლესია მაინც სწერს წყვილს ჯვარს, ადებინებს რა პირობას არამრევლ მეწყვილეს, რომ ამ ქორწინებაში დაბადებული ბავშვები მართლმადიდებლებად მოინათლებიან. ეს საკითხი თავის დროზე მკაცრად განისაზღვრა მსოფლიო კრებებზე, თუმცა შემდეგ, როდესაც ქრისტიანობა უფრო მეტ ქვეყანაში გავრცელდა, ან პირიქით ქრისტიანულ ქვეყნებში სხვა რელიგიის აღმსარებლებმა იმატეს, ადგილობრივმა საეკლესიო კრებებმა, პრაქტიკული საჭიროებიდან გამომდინარე, ეს საკითხი, ე.წ. იკონომიის (საეკლესიო გულმოწყალება, როდესაც გათვალისწინებულია კონკრეტული ადამიანების გამოუვალი მდგომარეობა) პრინციპზე დაყრდნობით შეარბილეს. საქართველოში კი მოხდა პირიქით. ვინაიდან საქართველოს მეფეს, დავით IV აღმაშენებელს ბიზანტიასთან დაახლოება სურდა, 1105 წლის რუის-ურბნისის კრებაზე იმ მიზნით, რომ ქართული მართლმადიდებელი, პრობიზანტიური ეკლესია საბოლოოდ გამიჯვნოდა სომხეთის სამოციქულო ეკლესიას, ე.წ. შერეული ქორწინებები აიკრძალა. ამ საკითხმა კრების კონტექსტში ქართველი სამღვდელოებისათვის მოულოდნელად კატეგორიული ხასიათი შეიძინა და მრავალგზის გააპროტესტეს, სულ ბოლოს კი, საეკლესიო კრების მსვლელობისას, 2016 წლის 23 ივნისს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, ილია მეორემ კრებას კიდევ ერთხელ მიმართა, საერთოდ არ განეხილათ ეს საკითხი. მისი თხოვნის მიუხედავად, კრეტაზე გამართულ კრებაზე განსახილველად გავიდა დოკუმენტი სახელწოდებით „ქორწინების საიდუმლო და მისი დამაბრკოლებელი მიზეზები“, თუმცა ნაწილობრივ გაითვალისწინეს საქართველოს ეკლესიის შენიშვნები. საბოლოოდ შერეული ქორწინებების საკითხის დარეგულირება ისევ და ისევ ადგილობრივი ეკლესიების კომპეტენციად დარჩა, თუმცა მიეცათ მოწოდება, მიუდგნენ ამ საკითხს საეკლესიო გულმოწყალების (იკონომიის) გათვალისწინებით, რათა ადამიანები არ დაბრკოლდნენ ხსნის გზაზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საბოლოო ჯამში მხოლოდ ქართველი მრევლი მოაკლდება თავისი ეკლესიის კურთხევას, დაიწეროს ჯვარი საყვარელ ადამიანთან, ისე, რომ არ აიძულოს იგი, თავიდან მოინათლოს, თუმცა მრევლის წევრებს შერეული ქორწინებისას კვლავინდებურად შეეძლებათ ჯვრისწერა სხვა მართლმადიდებელ ეკლესიაში, როგორც ეს აქამდეც ხდებოდა.

მაინც რა თქვა კრებამ?

ამ კითხვაზე ყველაზე გულწრფელი პასუხი იქნებოდა, რომ ახალი არც არაფერი. თუმცა, მართლმადიდებელი ეკლესიის მდგომარეობის გათვალისწინებით, ეს კრება აშკარად არის პროგრესული მოვლენა. ის, რომ მისი დოკუმენტები არ ატარებს პარადიგმულ და უნივერსალურ ხასიათს, გამოწვეულია იმ სავალალო მდგომარეობით, რომელშიც მართლმადიდებელ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესიებს დეცენტრალიზებული თანაარსებობის წესი აყენებს. თითოეულ მათგანს სწორება იმ ქვეყნის სოციო-პოლიტიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე აქვს, რომელშიც ფიზიკურად უწევს მოღვაწეობა. შესაბამისად, საეკლესიო საკითხებსაც განსხვავებულად ხედავენ. მიუხედავად ამგვარი შინაგანი წინააღმდეგობისა, კრებამ საბოლოო ჯამში დაამტკიცა ორი გზავნილი და ექვსი დოკუმენტი. ტექსტების დიდი ნაწილი შიგა საეკლესიო საკითხებს ეხება. ბევრი საკითხი საკმაოდ ანტიმოდერნულადაც კი არის ფორმულირებული. რთული და ჩახლართული ენა დოკუმენტებს უბრალო მკითხველისათვის ძნელად გასაგებს ხდის, განსაკუთრებით კი – მის თარგმანს. კრების მიერ მიღებულ ორ დოკუმენტში ჩამოთვლილია მართლმადიდებელი ეკლესიის ხედვა იმ საკითხებზე, რომლებიც ყველა მოქალაქისთვის საინტერესოა.

კრებასთან დაკავშირებული კონფლიქტის სავარაუდო შედეგები

თავიდანვე უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ისეთი პატარა ქვეყნისათვის, როგორიც ჩვენია, დღესდღეობით ყველაზე ძლიერი ინსტიტუციაა, ადამიანთა სოციალიზაციის, მათი ცნობიერებისა თუ კულტურული ფორმაციის მხრივ. შესაბამისად, დიდი მნიშვნელობა აქვს ეკლესიის ხედვას სამოქალაქო ცნობიერებისათვის აქტუალურ ბევრ საკითხზე. კულტურშემოქმედებითი ფუნქცია, რაც მას, მართლაც, ჰქონდა საუკუნეების განმავლობაში და რომელიც შეიძლება ღიაობის, შემწყნარებლობის, გარესამყაროსთან ჰარმონიაში ყოფნისა და ცოდნისკენ სწრაფვის ნიშნით ხასიათდებოდა, დღეს სრულიად საპირისპირო ხასიათს ატარებს. საქართვლოს მართლმადიდებელი ეკლესიის მაღალიერარქები უკვე ათწლეულებია, თავს პოლიტიკურ მოღვაწეებად აღიქვამენ და ეკლესიის სრული შინაგანი პოლიტიზებაც მოახდინეს. ეს მუხტი ხშირად აისახება ხოლმე უშუალოდ პოლიტიკური პროცესის მწვავე მომენტებში ან ეკლესიის მისწრაფებაში, შთანთქოს ქვეყნის საჯარო სივრცე, განათლების სისტემა, ეკონომიკა თუ სხვა სეგმენტი. თუ გადავხედავთ კრების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, დავინახავთ, რომ ჩვენი ეკლესიები ცნობიერების დონის მიხედვით სრულიად სხვადასხვა სიბრტყეზე იმყოფებიან. აშკარაა ძალიან ღრმა კულტურული სხვაობა და შეუთავსებლობა ქრისტიანობის გაგებათა შორის. მიუხედავად იმისა, რომ კრების დოკუმენტების ნაწილი ან კონსერვატიულია, ან არაფრისმთქმელი, ის მაინც მნიშვნელოვანი მოვლენაა მართლმადიდებლობის, როგორც კონფესიის, ფორმაციის საკითხში, კულტუროლოგიური თვალსაზრისით, რომლის უკანაც ნახევარსაუკუნოვანი დაუღალავი ინტელექტუალური შრომა ძევს. ამ მოვლენისაგან შინაარსობრივი და სტრუქტურული გამიჯვნა აშკარად ნიშნავს უკან გადადგმულ ნაბიჯს და მოასწავებს ეკლესიის თვითიზოლაციისკენ შეუჩერებელ სვლას. ვითარებას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ ამ კონფლიქტში საქართველოს საპატრიარქოს არგუმენტები სრულიად მოკლებულია ჯანსაღ არგუმენტაციას. ქართველ სამღვდელოებას არ გააჩნია საკმარისი თეოლოგიური კომპეტენცია და, ბოლოს, ეს ნაბიჯი რუსულ სააზროვნო ორბიტაზე საბოლოოდ მიჯაჭვას ნიშნავს. თუ კონფლიქტი შეუქცევად ხასიათს მიიღებს, სავარაუდოდ, მივიღებთ ე.წ. სქიზმას, უფრო სწორად – გაფორმებას იმ ვითარებისა, რომელშიც, რეალურად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია იმყოფება. სავარაუდოდ, ევქარისტიულ კავშირს გაწყვეტს კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსთან და ერთგვარი გათიშულობის რეჟიმში გადავა. იმასაც თუ გავითვალისწინებთ, რომ ამგვარი საქციელი თითქმის ნორმალურად იქცა მართლმადიდებელ ეკლესიებს შორის.

რას მოუტანს ეკლესიის თვითიზოლაცია საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებას?

რადგან სიტყვა გამიგრძელდა, ლაკონიურად ჩამოვთვლი სავარაუდო პრაქტიკულ შედეგებს: მარხვის პერიოდში დაიწვება უფრო მეტი წიგნი ბათუმსა თუ საქართველოს სხვა ქალაქებში; ჩაიშლება უფრო მეტი როკკონცერტი; უფრო მეტი ადამიანი დაავადდება ფსიქოზით, რომ თანამედროვე ტექნიკა, ელექტრონული პასპორტი და ა. შ. ეშმაკის კოდებითაა სავსე; უფრო მეტი წიგნის ავტორი გახდება ფიზიკური და ფსიქიკური აგრესიის ადრესატი; უფრო მეტი გამოფენა ჩაიშლება, შიშველი გამოსახულებისა თუ სხვა მიზეზის გამო; უფრო მეტი სოსისი შეიყრება ვეგეტარიანელების თავშეყრის ადგილას და უფრო მეტი ბიჭი იქნება საეჭვო წარმონაქმნი, რადგან მას ფერადი შარვალი აცვია; შესაბამისად, იცემება უფრო მეტი საყურიანი მამაკაცი; კიდევ უფრო მეტი ადამიანი დაიუეუება, იცემება და დასისხლიანდება ქრისტეს სახელით, იქნება ეს მაისში, სექტემბერსა თუ დეკემბერში; თუ კიდევ უფრო დავკონკრეტდებით, კიდევ უფრო მეტ ადამიანს შეეხუთება სული იმის გამო, რომ ცხოვრობს ქვეყანაში, სადაც მთელი გარემო შეუქცევადად და აგრესიული მანერით მიდის უკიდურესი ერთფეროვნებისკენ, სადაც არ არსებობს პირადი სივრცის გაგება და პიროვნების არათუ პატივისცემა, არამედ მინიმუმ აღიარებაც კი, სადაც რწმენა საშინელმა აგრესიამ ჩაანაცვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტვრით დაფარული ღვთისმშობელი

დათო ფარულავა

ბასტი მგალობლიშვილი

ღვთისმშობელი მარიამი მტვრის სქელი ფენით არის დაფარული. სანამ საკუჭნაოს ბნელ კუთხეში, თაროზე აღმოჩნდებოდა, ხატი ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ივლიტაში კათოლიკურ ეკლესიაში იყო დასვენებული. თუმცა ეს მრავალი წლის წინ იყო. დღეს ხატი ეკლესიის გვერდით, მრევლის სამლოცველოდ ქცეულ სახლში ინახება. კათოლიკეები ამბობენ, რომ ივლიტას ძველი ტაძარი მათ მართლმადიდებელმა ეკლესიამ წაართვა.

ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია ისტორიულად კათოლიკური 6 ეკლესიის დაბრუნებას მოითხოვს, რომლებიც სახელმწიფომ საპატრიარქოს სხვადასხვა დროს გადასცა საკუთრებაში. პრობლემა უკვე დიდი ხანია, კათოლიკე ეკლესიის დღის წესრიგში დგას, თუმცა მის მოსაგვარებლად პოლიტიკურ ნებას არც სახელმწიფო და მით უმეტეს, არც მართლმადიდებელი ეკლესია არ იჩენს. გარდა ამისა, სამცხე-ჯავახეთის მხარეში მცხოვრები კათოლიკე თემი რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციაზე საუბრობს – ინდოქტრინაცია და პროზელიტიზმი სკოლებში, „გადანათვლა", რელიგიური უმცირესობების დასაქმების პრობლემა... კათოლიკეები ცდილობენ, რელიგიურ კუთვნილებაზე ხმამაღლა არ ისაუბრონ და შვილებსაც ამას ურჩევენ. დუმილი გამოსავალი არ არის, თუმცა ასე ნაკლები პრობლემა შეექმნებათ. მათი თქმით, დისკრიმინაციის წყარო ხშირად მართლმადიდებელი სასულიერო პირები არიან, რაც მდგომარეობას ერთი-ორად ამძიმებს.

„სანამ საკუჭნაოს ბნელ კუთხეში თაროზე აღმოჩნდებოდა, ხატი ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ივლიტაში კათოლიკურ ეკლესიაში იყო დასვენებული".
ივლიტა. ივნისი 2016.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როცა ეკლესიაში არ გიშვებენ

ადიგენის რაიონის კათოლიკე სამრევლოს წინამძღვარი, მამა ზურაბ კაკაჩიშვილი ივლიტას ეკლესიაში წირვას მართლმადიდებელი მღვდლების წინააღმდეგობის გამო ვერ აღავლენს. წლების წინ კათოლიკეების აშენებული ეკლესია ერთ-ერთია იმ 6 ეკლესიას შორის, რომელთა დაბრუნებასაც მოითხოვენ.

გორის, ბათუმის, უდის, ქუთაისის, ივლიტისა და საქართველო-თურქეთის საზღვართან მდებარე ბუზმარეთის ეკლესიები – ექვსივე ტაძარში, რომლებიც კათოლიკური ეკლესიისთვის დამახასიათებელი არქიტექტურული ნიშნებით გამოირჩევა, დღეს წირვა-ლოცვას მართლმადიდებელი ეკლესია აღავლენს.

მამა ზურაბის თქმით, კათოლიკე ეკლესიამ 5 ტაძარი 1989-1991 წლებში დაკარგა, მეექვსე – ბუზმარეთის ეკლესია კი – მოგვიანებით.

„ეს იმით იყო გამოწვეული, რომ საქართველოში კათოლიკე მღვდელი იმ პერიოდში სულ ორი იყო. იმის გამო, რომ მათ არ ჰქონდათ საშუალება, კონტროლი ერთდროულად გაეწიათ ეკლესიებზე, ვითარებით ისარგებლეს ჩვენმა მართლმადიდებელმა ძმებმა, რამაც, ვხედავთ, რომ წლების შემდეგ ცუდი შედეგი გამოიღო. აღარ გვაქვს ის დიდი ეკლესიები, რომლებიც ერთ დროს კათოლიკე მრევლმა ააშენა“ – ამბობს მამა ზურაბი.

კათოლიკეები ჰყვებიან, რომ სულიერი წინამძღვრის გარეშე დარჩენილ მრევლთან ივლიტას ეკლესიაში მართლმადიდებელი მღვდელი მივიდა და შესთავაზა, რომ კათოლიკე წინამძღვრის გამოჩენამდე წირვას თავად აღავლენდა. მათი თქმით, მღვდელი კათოლიკურ დღესასწაულებზე მიდიოდა და წლების განმავლობაში ასე მოიპოვა მათი ნდობა.

კათოლიკეები ჰყვებიან, რომ სულიერი წინამძღვრის გარეშე დარჩენილ მრევლთან ივლიტას ეკლესიაში მართლმადიდებელი მღვდელი მივიდა და შესთავაზა, რომ კათოლიკე წინამძღვრის გამოჩენამდე წირვას თავად აღავლენდა. მათი თქმით, მღვდელი კათოლიკურ დღესასწაულებზე მიდიოდა და წლების განმავლობაში ასე მოიპოვა მათი ნდობა.

„გარკვეული დროის შემდეგ მოდის მამაო და მრევლს ეუბნება, ეკლესიას რემონტი სჭირდება, ეს ხატები გავიტანოთო. მრევლმა თავისი ხელით გამოიტანა ხატები. მეორე დღეს კათოლიკური საკურთხეველი, რომლის ქვეშ კათოლიკე მისიონერის საფლავი იყო, მონგრეული დახვდათ. ერთ ღამეში იყო გაშენებული კანკელის ნაწილი. იქ დღემდე მართლმადიდებლური წესით აღევლინება ლოცვა. კათოლიკეებს, სამწუხაროდ, არ გვიშვებენ იქ, რომ „მამაო ჩვენო“ ვილოცო... არ შემიშვებენ“ – ამბობს ზურაბ კაკაჩიშვილი.

კათოლიკე მრევლი ჰყვება, რომ მღვდლები ეკლესიაში შესვლას არ უშლიან, თუმცა წირვის ან ნათლობის საშუალებას არ აძლევენ. „მიცვალებულს თუ ვასვენებთ ეკლესიაში, მღვდელს არ უშვებენ, რომ წესი აუგოს“ – ამბობენ კათოლიკეები.

მართლმადიდებელმა ეკლესიამ, რომელიც სამართლებრივად ეკლესიების მესაკუთრეა, ტაძრებიდან კათოლიკობის კვალის წაშლა დაიწყო. ივლიტას ეკლესიის კიდეებში დატანილი ჯვრები წაშლილია. თუმცა ცვლილება, რომელიც მართლმადიდებელმა ეკლესიამ ისტორიულად კათოლიკე ტაძარზე მიიტანა, ყველაზე მკვეთრად უდის ეკლესიას ეტყობა.

უდის ეკლესია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, თუმცა ამას მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ხელი არ შეუშლია, რომ 2012 წელს გუმბათზე სარესტავრაციო სამუშაოები შესაბამისი ნებართვის გარეშე დაეწყო. როგორც საპატრიარქო აცხადებდა, გუმბათზე სამუშაოების აუცილებლობა წვიმის ჩაჟონვამ წარმოშვა. მოგვიანებით, როგორც „ლიბერალს“ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოში უთხრეს, საპატრიარქომ სამუშაოების წარმოების უფლება მიიღო.

ძეგლთა დაცვის სააგენტო სარესტავრაციო სამუშაოების ნებართვას იმ შემთხვევაში გასცემს, თუკი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს პირვანდელი სახე შეუნარჩუნდება. სააგენტოში ამბობენ, რომ ნებართვა საპატრიარქოს მიერ წარდგენილი პროექტის საფუძველზე გასცეს. მიუხედავად ამისა,1904-1906 წლებში აშენებული უდის ეკლესია დღეს მკვეთრად შეცვლილია და მისი გუმბათი მართლმადიდებელი ეკლესიისას ჰგავს. პროცესში კულტურის სამინისტრო ჩაერთო და გადაწყდა, რომ გუმბათს ეკლექტური ფორმა



ფოტო: დავით ფარულავა

„კათოლიკეებს, სამწუხაროდ ,არ გვიშვებენ. იქ რომ „მამაო ჩვენო" ვილოცო... არ შემიშვებენ" – ამბობს მამა ზურა. ივლიტას ეკლესია, ახალციხის მუნიციპალიტეტი. ივნისი 2016.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა ჰქონოდა, მართლმადიდებლური და კათოლიკური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ელემენტებით.

„ლიბერალი" ეცადა, ამ საკითხზე უდის ეკლესიის ამჟამად მართლმადიდებელ წინამძღვარს გასაუბრებოდა, თუმცა უშედეგოდ. „არ ვიძლევი ინტერვიუებს, ასეთია ჩემი ცხოვრების კრედო" – ამბობს მამა გრიგოლი.

პატრიარქის პრესმდივანი მამა მიქაელ ბოტკოველი ამბობს, რომ კათოლიკეები ძალიან ეცოდება, მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ხსენებისას კი ბოტკოველმა „ლიბერალს" უთხრა, რომ საქართველოში ყველა რელიგიური კონფესია კომფორტულ მდგომარეობაშია.

„როგორ გვეცოდებიან, როგორ გვეცოდებიან... ჩვენთან ასეთ საყვედურებს არასდროს გამოთქვამენ და ძალიან კომფორტული მდგომარეობა აქვს შექმნილი ყველა რელიგიურ კონფესიას საქართველოში. თქვენ რატომ გაწვდიან ასეთ ინფორმაციას?!" – ამბობს ბოტკოველი.

სამცხე-ჯავახეთის მხარეში არსებული ეკლესიების საკითხზე პატრიარქის მდივანმა ახალციხისა და ტაო-კლარჯეთის ეპარქიასთან გადაგვამისამართა, თუმცა მიტროპოლიტი თეოდორე ჭუაძე „ლიბერალის" ზარს თავად არ პასუხობს, მისი წარმომადგენელი კი ამბობს, რომ მიტროპოლიტი ან გასულია, ან არ სცალია. მიუხედავად მრავალი მცდელობისა, მიტროპოლიტმა „ლიბერალთან" საუბრისთვის ვერ მოიცალა.

■ პატრიარქის პრესმდივანი მამა მიქაელ ბოტკოველი ამბობს, რომ კათოლიკეები ძალიან ეცოდება, მათ მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ხსენებისას კი ბოტკოველმა „ლიბერალს" უთხრა, რომ საქართველოში ყველა რელიგიური კონფესია კომფორტულ მდგომარეობაშია.

ბრძოლა ეკლესიების დასაბრუნებლად

ტაძრების დაბრუნებისთვის ბრძოლა კათოლიკე ეკლესიამ 80-იანი წლებიდან დაიწყო. მათ არაერთხელ მიმართეს ხელისუფლების სხვადასხვა შტოს წარმომადგენლებს, თუმცა შედეგი არც ერთ მცდელობას არ მოჰყოლია. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს რესტიტუციის პოლიტიკა სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებების მიმართ მკვეთრად ასიმეტრიულია. დღემდე არავის არ დაუთვლია ის ფულადი და მატერიალური ქონება, რომელსაც სახელმწიფო საპატრიარქოს საბჭოთა დროს მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად გულუხვად გადასცემს. მართალია, სახელმწიფომ მართლმადიდებელი ეკლესიის მსგავსად დაიწყო ოთხი რელიგიური ორგანიზაციისთვის (მუსლიმური, ებრაული, კათოლიკე და სომხური სამოციქულო გაერთიანებები) საბჭოთა პერიოდში მიყენებული ზიანის ანაზღაურების პროცესი, მაგრამ, საპატრიარქოსგან განსხვავებით, რელიგიურ უმცირესობებს სახელმწიფო ნაკლებად სწყალობს – ხშირად მათ უკვე ფაქტობრივ სარგებლობაში არსებულ ტაძრებს გადასცემს, ისიც დროებით სარგებლობაში. ამასთან, რელიგიური უმცირესობებისთვის ახალი საკულტო ნაგებობების მშენებლობისთვის ნებართვის მოპოვებაც პრობლემურია.„ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის" (EMC) წარმომადგენელი ეთო გვრიტიშვილი ამბობს, რომ სახელმწიფოს რესტიტუციის პოლიტიკა არათანმიმდევრული და დისკრიმინაციულია. მისი თქმით, სახელმწიფო საპატრიარქოს მრავალ ისეთ ნაგებობას გადასცემს საკუთრებაში, რომელსაც მართლმადიდებელ ეკლესიასთან არანაირი ისტორიული ან კონფესიური კავშირი არ აქვს და არც კონსტიტუციური შეთანხმებით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების არგუმენტით შეიძლება გამართლდეს.

„სახელმწიფო განსხვავებულად ეპყრობა მართლმადიდებელ ეკლესიასა და სხვა რელიგიურ თემებს და, გარკვეულწილად, მათ იერარქიზაციას ახდენს. სახელმწიფო არაფერს აკეთებს რელიგიურ ორგანიზაციებს შორის საკულტო ნაგებობების თაობაზე არსებული დავის გადასაწყვეტად. სადავო საკულტო ნაგებობების პრობლემა მწვავედ დგას კათოლიკე, მუსლიმი და სომხური თემების წინაშე. ცხადია, ეს პოლიტიკა რელიგიური უმცირესობებისთვის სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ უნდობლობას და მათში მეორეხარისხოვანი მოქალაქეობის განცდას აჩენს " – ამბობს გვრიტიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო: დავით ფაღავანდი

ივლიტას ეკლესიის კიდეებში დატანილი ჯვრები წაშლილია. ახალციხის მუნიციპალიტეტი. ივნისი 2016

„ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის“ (TDI) წარმომადგენელი, თეოლოგი ბექა მინდიაშვილი ამბობს, რომ საპატრიარქოს მიმართ რესტიტუციის პროცესი ხელისუფლებამ 80-იან წლებში დაიწყო. მისი თქმით, იმ პერიოდში საპატრიარქომ მსვლელობები მოაწყო სამცხე-ჯავახეთის მხარეში, სადაც პატრიარქი კათოლიკე თემს ხვდებოდა.

„ამბობდა, ჩვენ ერთნი ვართ, შეგვიძლია ერთად ვილოცოთო, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო მხოლოდ ხრიკი და მოტყუება მოსახლეობისა, – ამბობდნენ, რომ თუ დაუბრუნდებოდა მართლმადიდებელ ეკლესიას ეს ტაძრები, ისინი უფრო მოვლილი იქნებოდა და კათოლიკეებიც შეძლებდნენ ამ ტაძრებში მსახურებას. პირობა ასეთი იყო – გადმოგვეცით ეს ტაძრები და ჩვენ ხელს არ შეგიშლითო“ – ამბობს მინდიაშვილი.

2012 წელს კულტურის იმდროინდელი მინისტრი გურამ ოდიშარია ეკლესიების საპატრიარქოსთვის გადაცემის კანონიერების საკითხის შემსწავლელი კომისიის შექმნაზე საუბრობდა, თუმცა კომისია არ შექმნილა. მიუხედავად იმისა, რომ კათოლიკეების მოთხოვნა ძალაში რჩება, სახელმწიფოს საკითხის მოგვარების კეთილი ნება რეალურად არასდროს გამოუხატავს. საკულტო ნაგებობებთან დაკავშირებული დავის მოსაგვარებლად რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში შექმნილი კომისიები არაეფექტიანია, რაც სხვა რელიგიური უმცირესობების, მაგალითად, მუსლიმი თემის შემთხვევაში არაერთხელ დამტკიცდა. თუმცა, კომისია, როგორც პრობლემის აღიარების ფორმა, კათოლიკეებისთვის ტაძრების გადაცემის საკითხზე სახელმწიფო დონეზე არასდროს შექმნილა. რელიგიის სააგენტოში ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ კათოლიკე თემს მათთვის საკითხის შესასწავლად არასდროს მიუმართავს.

2004 წელს შეიქმნა მართლმადიდებელ-კათოლიკური კომისია, რომელიც სულ ორჯერ შეიკრიბა და საბოლოოდ მუშაობა შედეგის გარეშე შეწყვიტა. ამიერკავკასიის ლათინური წესის კათოლიკეთა სამოცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: დავით ფარაჯანაძე

ნართმეული ეკლესიის გვერდით მდებარე კათოლიკე მრევლის სამლოცველო სოფელ ივლიტაში. ახალციხის მუნიციპალიტეტი. ივნისი 2016.

ქულო ადმინისტრატორი, ეპისკოპოსი ჯუზეპე პაზოტო ამბობს, რომ საპატრიარქოს პოზიციით, სადავო ეკლესიები ყოველთვის მართლმადიდებლური ტაძრები იყო.

„შევთავაზე, სანამ გჭირდებათ ეს ეკლესია, ისარგებლეთ, მაგრამ აღიარეთ, რომ კათოლიკურია-მეთქი. ვუთხარი, როცა აღარ დაგჭირდებათ, დაგვიბრუნეთ-მეთქი, სამართლიანობისთვის“ – ამბობს ჯუზეპე პაზოტო. მისი თქმით, ამ საკითხზე რელიგიის სააგენტოს წარმომადგენლებსაც ესაუბრა, თუმცა დიალოგი აღარ გაგრძელებულა.

საგულისხმოა, რომ კათოლიკე ეკლესიამ ტაძრების დასაბრუნებლად სამართლებრივი გზებით ბრძოლა სცადა, თუმცა პირველი მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. დღეს ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაცია ეკლესიების დასაბრუნებლად სამართლებრივი ბრძოლის გზას აღარ მიმართავს.

2001 წელს კათოლიკე ეკლესიამ ქუთაისის ღვთისმშობლის ხარების ეკლესიის დაბრუნება სასამართლოს გზის სცადა, თუმცა სარჩელი არ დაკმაყოფილდა. საქმემ სამივე ინსტანცია გაიარა და 2014 წელს უზენაესმა სასამართლომ ეკლესიის მესაკუთრედ მართლმადიდებელი ეკლესია დატოვა.

ბექა მინდიაშვილის თქმით, პრობლემას ისიც ართულებს, რომ კათოლიკე ეკლესიის ადმინისტრაცია საქართველოში ლოიალობითა და პატივისცემით ეკიდება ქართულ სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას, რის გამოც მათ უარი თქვეს, ქუთაისის ეკლესიის საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წაეღოთ.

„მოტივად იმას ასახელებდნენ, რომ ვერ დაუპირისპირდებოდნენ ქართულ სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ძმებს. მათგან განსხვავებით, ანალოგიური პოზიცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: დავით ფაღავა

კათოლიკე მრევლი ყვება, რომ მღვდლები ეკლესიაში შესვლას არ უშლიან, თუმცა წირვის ან ნათლობის საშუალებას არ აძლევენ. კათოლიკე მრევლის სამლოცველო. სოფელი ივლიტა. ივნისი 2016.

არ აქვს საპატრიარქოს. მათი დამოკიდებულება მიმტაცებლური და უსინდისოა, როცა ამბობენ, რომ ეს ტაძრები მართლმადიდებლურია" – ამბობს მინდიაშვილი.

მისი განმარტებით, როცა საქმე საკულტო ნაგებობებს ეხება, საპატრიარქო მათში მართლმადიდებელი ეკლესიის ელემენტების ძებნას იწყებს.

„მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციაა, რომ თუ ნაგებობა არ არის მართლმადიდებლური, ის ან აშენებულია მართლმადიდებლური ქვებით, ან აგებულია იმ ადგილზე, სადაც მართლმადიდებლური ეკლესია იყო" – ამბობს მინდიაშვილი.

ამის ნათელი მაგალითია სოფელ მოხეში მდებარე ნაგებობა, რომლის მეჩეთად რეკონსტრუქციასაც მუსლიმი თემი უკვე დიდი ხანია მოითხოვს. საპატრიარქოს პოზიციით, ნაგებობა ეკლესიის ქვებით არის აშენებული, ამიტომაც, მისი მეჩეთად რეკონსტრუქცია მიუღებელია.

კიდევ ერთი დავა, რომელიც კათოლიკე ეკლესიამ სასამართლოში წამოიწყო, ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში ტაძრის მშენებლობის ნებართვის მოპოვებას ეხება. დღეს რუსთავში კათოლიკური ეკლესია არ არის, რის გამოც მრევლი იძულებულია, ნაქირავებ ბინაში აღავლინოს ლოცვა. 2013 წელს ლათინ კათოლიკეთა კავკასიის სამოციქულო ადმინისტრაციამ რუსთავის მერიას მშენებლობის ნებართვის მოთხოვნით რამდენჯერმე მიმართა, თუმცა პასუხი არ მიულია ამის გამო, კათოლიკე თემმა 2014 წელს საქმე სასამართლოში შეიტანა.

ეთო გვრიტიშვილის თქმით, სასამართლომ გადაწყვეტილებაში მიუთითა, რომ რამდენადაც მერიამ პასუხი არ გასცა კათოლიკე ადმინისტრაციას, სამშენებლო სამართალში მოქმედი პრინციპის თანახმად, – „დუმილი თანხმობის ნიშანია", – მშენებლობის ნებართვა გაცემულად ჩაითვალა.

ამის მიუხედავად, მერიამ სამშენებლო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბექა მინდიაშვილის თქმით, პრობლემას ისიც ართულებს, რომ კეთოლიკე ეკლესიის ადმინისტრაცია საქართველოში ლოიალობითა და პატივისცემით ეკიდება ქართულ სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას, რის გამოც მათ უარი თქვეს, ქუთაისის ეკლესიის საქმე ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში წაეღოთ.

სანებართვო მოწმობა მაინც არ გასცა და კათოლიკე თემს რუსთავის პერიფერიაში არსებული მიწის ნაკვეთი შესთავაზა, რაზეც კათოლიკეები არ დასთანხმდნენ.

„უარის მთავარი მიზეზი ადგილობრივი მართლმადიდებელი მრევლის წინააღმდეგობა იყო. 2015 წლის დეკემბერში გაიმართა შეხვედრა, რომელსაც საკრებულოს წევრები და მართლმადიდებელი სასულიერო პირები ესწრებოდნენ. ამბობდნენ, რომ არ დაუშვებდნენ კათოლიკური ეკლესიის მშენებლობას“ – ამბობს ეთო გვრიტიშვილი.

იგი მიიჩნევს, რომ მუნიციპალიტეტის უარი მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ ლოიალობით იყო განპირობებული, ამიტომ, 2015 წლის ნოემბერში EMC- მ დისკრიმინაციის ფაქტის დასადგენად, ასევე მშენებლობის სანებართვო მოწმობის გასაცემად სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

„შესაბამისად, სასამართლო საქმის ორ ნაწილად გაყოფას აპირებდა. ამიტომ, იმის გათვალისწინებით, რომ კათოლიკე ეკლესიის ძირითად ინტერესს საკულტო ნაგებობის აშენება წარმოადგენდა, მოგვიწია, უარი გვეთქვა დისკრიმინაციის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნაზე, რათა პროცესი არ გაჭიანურებულიყო. სასამართლოს ვთხოვეთ, დისკრიმინაციის შესახებ არგუმენტები გადაწყვეტილებაში აესახა, რომელიც, ჯერჯერობით, არ ჩაგვბარებია“ – ამბობს გვრიტიშვილი.

მისი განმარტებით, დისკრიმინაციას ადასტურებს ერთ-ერთი მოწმის ჩვენებაც, რომლის თანახმადაც, რუსთავის მერი აღნიშნულ საკითხზე რჩევის მისაღებად საქართველოს პატრიარქს ეწვია.

აღსანიშნავია, რომ პროცესში ჩართული იყო რელიგიის სააგენტოც, რომელმაც მშენებლობის ნებართვაზე დადებითი რეკომენდაცია გასცა, თუმცა რუსთავის მერიას არც ეს რეკომენდაცია გაუთვალისწინებია.

როგორც ეთო გვრიტიშვილი ამბობს, კათოლიკე მრევლი სოციალურ კონფლიქტებს ერიდება.

„სამართლებრივი გზით ბრძოლის დაწყებაზე კათოლიკეები, ჯერჯერობით, უარს აცხადებენ, რადგან ფიქრობენ, რომ მართლმადიდებელი მეზობლებისგან წინააღმდეგობას შეხვდებიან. მნიშვნელოვანია, რომ პროცესების მშვიდობიანად წარმართვისთვის სახელმწიფომ თავისი პოზიტიური მოვალეობა შეასრულოს“ – ამბობს გვრიტიშვილი.

„ლიბერალთან“ საუბრისას გვრიტიშვილი განმარტავს, რომ სახელმწიფო ცდილობს, მართლმადიდებელი ეკლესიისთვის პრივილეგიების მინიჭებით, მისი ლოიალობა სათავისოდ გამოიყენოს, თუნდაც მოახლოებულ არჩევნებში.

„გადანათვლა“

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია სხვა კონფესიის წარმომადგენელთან მართლმადიდებლის ქორწინებას არ აღიარებს. წმინდა სინოდმა სულ ახლახან გააუქმა ის საგამონაკლისო წესი, რომლითაც მართლმადიდებელს არამართლმადიდებელზე ქორწინება იმ პირობით მაინც შეეძლო, თუკი ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები მართლმადიდებელ ეკლესიაში მოინათლებოდნენ და აღიზრდებოდნენ.

სამცხე-ჯავახეთის მხარეში მცხოვრები კათოლიკეები მართლმადიდებელი ეკლესიის ამ პოზიციის გამო უკვე დიდი ხანია, სირთულეებს აწყდებიან. „გადანათვლა“ – ასე უწოდებენ ისინი მართლმადიდებელი მღვდლების მიერ წამოყენებულ მოთხოვნას, რომელიც კათოლიკეებისთვის დამამცირებელია.

რა თქმა უნდა, ქორწინება არ არის ერთადერთი მიზეზი, რომელიც „გადანათვლას“ უდევს საფუძვლად. ეთნორელიგიური ნაციონალიზმი, რომელიც ქართველს ხშირად მხოლოდ მართლმადიდებელ ქრისტიანად განიხილავს, არც თუ იშვიათი არგუმენტია, რომელსაც ადგილობრივი მართლმადიდებლები კათოლიკობის წინააღმდეგ იყენებენ. ამასთან, მართლმადიდებელი ეკლესია ცდილობს, განსხვავებული მრწამსის საზოგადოებაში დისკრედიტაციით სხვადასხვა უმცირესობა თავის მრწამსზე „მოაქციოს“. როგორც კათოლიკეები ჰყვებიან, უმრავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლესობაში ყოფნა დღეს პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნას ნიშნავს, რაც სოციალური კონფორმიზმის ერთ-ერთი განმაპირობებელი ხდება.

კათოლიკეები სამცხე-ჯავახეთის მხარეში დილემის წინაშე ხშირად დგებიან – ხელახლა მოინათლონ, ან ჯვრისწერაზე თქვან უარი. ახალციხის მცხოვრები თაკო ფეიქრიშვილი ჰყვება, რომ ვითარება განსაკუთრებით ბოლო წლებში დამძიმდა.

„მართლმადიდებელზე ქორწინებისთვის აუცილებელი გახდა, რომ კათოლიკე გადაინათლოს – არადა, სხვანაირად ჯვრისწერა ვერ შედგება. არ მაქვს პრობლემა, თუ ჯვარს მართლმადიდებელი მღვდელი დამწერს, მაგრამ არ მინდა მეორე ნათლობა იმიტომ რომ უკვე მონათლული ვარ წყლითაც და მირონიც მაქვს ნაცხები. არ მესმის, რა საჭიროა მეორედ მონათვლა“ – ამბობ თაკო ფეიქრიშვილი.

მისი თქმით, 2007-2008 წლებში ახალგაზრდების „გადანათვლა“ მასშტაბურად ხდებოდა, თუმცა „გადანათლულები“ წლების შემდეგ მართლმადიდებელ ეკლესიაშიც ვერ პოულობენ სიმშვიდეს და საერთოდ ეკლესიის გარეთ რჩებიან. სურვილის შემთხვევაში, კათოლიკე ეკლესია მათ უკან მიიღებს, თუმცა თავად ველარ ბედავენ იმ ტაძარში დაბრუნებას, რომელზეც ერთხელ უარი თქვეს.

ფეიქრიშვილის თქმით, თუკი ოდესმე არჩევანის გაკეთება მოუწევს, კათოლიკურ რწმენას არ უარყოფს. „მომიწევს, ადამიანი დავტოვო. მე კათოლიკედ დავრჩები და მოუწევს, ამას შეეგუოს“ – ამბობს თაკო ფეიქრიშვილი.

შუშანა მათუშვილი მართლმადიდებელ რძალს კათოლიკურად „გადანათვლას“ არ სთხოვს. პირიქით, მოუწოდებს კიდეც, მართლმადიდებლურ ტაძარში წავიდეს და ილოცოს. დღეს შვილიშვილები ადარდებს, რომლებიც საზოგადოებისგან რელიგიური ნიშნით იდევნებიან.

„შვილისთვის არ დამიძალებია, ჩემი შვილიშვილები კათოლიკეებად მოენათლა. ძალიან ვნერვიულობ, ხომ დაოჯახდებიან? როცა ბავშვები ექსკურსიაზე მიჰყავთ, მღვდელი ეუბნება, პირჯვრის გადაწერა გეშლებაო. შეურაცხმყოფელი ტონით ეუბნებიან, რომ კათოლიკეა. სარწმუნოება ხომ ერთი გვაქვს? მეც მწამს ღვთისმშობელი, იესო. ბავშვები სტრესში არიან. მინდა, მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს ერთმანეთის დანახვა გვიხაროდეს“ – ამბობს მათუშვილი.

სოფელ უდის მცხოვრები ლალი კაკოშვილი ყვება, რომ მართლმადიდებელი მღვდლები ზოგჯერ სიკვდილის პირას მყოფ ადამიანებსაც ნათლავენ.

„მომაკვდავები გადანათლეს ივლიტაში. აგონიაში იყო ადამიანი, შეკითხვაზე პასუხის გაცემაც არ შეეძლო. კაცს სული ამოსდის და ეკითხებიან, გინდა მართლმადიდებლურად მოინათლოო? როგორ შეიძლება, აზროვნება მოსთხოვო კაცს, რომელიც წუთში სულს ლევს?!“ – ამბობს ლალი კაკოშვილი.

ლათინ კათოლიკეთა სამოციქულო ადმინისტრაციის კანცელარიის გამგე, მამა აკაკი ჭელიძე ამბობს, რომ „გადანათვლა“ კათოლიკეებზე ძალადობის ერთ-ერთი უკიდურესი ფორმაა.

„ეს არის ძალადობის ერთ-ერთ ყველაზე საზიზღარი ფორმა თუნდაც იმ მოხუცზე, რომელიც მთელი ცხოვრება კათოლიკე იყო“ – ამბობს მამა აკაკი.

მისი თქმით, პროზელიტიზმის ყველაზე უარესი ფორმა მართლმადიდებლობის ქართულ იდენტობასთან დაკავშირებაა.

„თუ ხარ ქართველი, უნდა იყო მართლმადიდებელი... – ამ ნიშნით დევნა ერთ-ერთ ყველაზე სასტიკი მეთოდია და მის წინაშე უძლურად ვგრძნობთ თავს კათოლიკეები. ეს ტაძრებზე უფრო მტკივნეული თემაა, რომელსაც ვერ ვეწინააღმდეგებით“ – ამბობს აკაკი ჭელიძე.

ბავშვები რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის პირისპირ

არლის საჯარო სკოლის პედაგოგი მაკა ფეიქრიშვილი ჰყვება, რომ ადგილობრივ სკოლებში განსხვავებული აღმსარებლობის ბავშვები ხშირად ხდებიან ბულინგის მსხვერპლნი. იგი ამბობს, რომ რელიგიური

ქართული მართლმადიდებელი ეკლესია სხვა კონფესიის წარმომადგენელთან მართლმადიდებლის ქორწინებას არ აღიარებს. წმინდა სინოდმა სულ ახლახან გააუქმა ის საგამონაკლისო წესი, რომლითაც მართლმადიდებელს არამართლმადიდებელზე ქორწინება იმ პირობით მაინც შეეძლო, თუკი ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვები მართლმადიდებელ ეკლესიაში მოინათლებოდნენ და აღიზრდებოდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



1904-1906 წლებში აშენებული უდის ეკლესია დღეს მკვეთრად შეცვლილია და მისი გუბმათი მართლმადიდებლური ეკლესიისას ჰგავს. ღვთისმშობლის სახელობის კათოლიკური ეკლესია. სოფელი უდე. ივნისი 2016.

ნიშნით დისკრიმინაცია მის შვილსაც განუცდია, თუმცა ასეთ ფაქტებზე მასწავლებლები სათანადოდ არ რეაგირებენ.

„ჩემი შვილი ორი წლის იყო, რომ მოვნათლე. მეოთხე კლასში მეგობრებს მოუყვა თავისი ნათლობის შესახებ, ფოტოებიც ანახა. ბავშვებს რეაქცია არ ჰქონიათ, თუმცა, როცა ამის შესახებ მშობლებმა გაიგეს, ჩემი შვილის სიტყვიერი ჩაგვრაც მაშინ დაიწყო. ნუ დადიხარ მაგ ეკლესიაში, არ არის შენი ნათლობა ლამაზიო, მეგობარი ეუბნებოდა“ – ამბობს ფეიქრიშვილი.

ამის შესახებ პედაგოგს შეატყობინა, მაგრამ მასწავლებლისგან ამას რეაგირება არ მოჰყოლია.

„რომელ საუკუნეში ხართ ბავშვი კათოლიკურად რომ მონათლეთო, მითხრა მასწავლებელმა როცა ვითარების დარეგულირება ვთხოვე. ასეთი პრობლემები ხშირად გვხვდება“ – ამბობს ფეიქრიშვილი.

მისი განმარტებით, კათოლიკე ბავშვები ცდილობენ, თავიანთ რელიგიურ დღესასწაულებზე ხმამაღლა არ ისაუბრონ. ასე ნაკლები პრობლემა შეექმნებათ.

ფეიქრიშვილი ამბობს, რომ ადგილობრივ სკოლებში ინდოქტრინაცია და პროზელიტიზმიც სერიოზული პრობლემაა. უდის მეორე საჯარო სკოლაში ჯერ კიდევ 2015 წელს რელიგიის ისტორიას მართლმადიდებელი სასულიერო პირი ასწავლიდა, თუმცა ეს მხოლოდ მართლმადიდებლური სწავლების თავს მოხვევა იყო. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამ ფაქტს კატეგორიულად უარყოფს და ამბობს, რომ რელიგიის ისტორია სკოლებში 2008 წლიდან აღარ ისწავლება.

„2008 წლის შემდეგ არც ერთ სკოლაში არ ისწავლება რელიგიის ისტორია, არჩევით საგნადაც კი. მით უმეტეს, არ ასწავლის სასულიერო პირი. 2008 წლამდე შესაძლოა, რაღაც იყო. სახალხო დამცველის ანგარიშში ეს აუცილებლად მოხვდებოდა. მონიტორინგი ყოველდღიურად წარმოებს სკოლებში. არც ერთ შემთხვევაში ეს არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: დავით ფარაჯიანი

დაიმალებოდა," – ამბობენ განათლების სამინისტროში.

კათოლიკე თემის რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ ომბუდსმენის 2015 წლის ანგარიშში ინფორმაცია არ გვხვდება. კათოლიკეები მიიჩნევენ, რომ ომბუდსმენის ადგილობრივი წარმომადგენელი პრობლემებს ნათლად ვერ ხედავს და ვერც შესაბამის რეაგირებას ახდენს.

სახალხო დამცველის აპარატში „ლიბერალს" უთხრეს, რომ კათოლიკე თემის რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის შესახებ მიმართვა არ მიუღიათ.

კათოლიკე ბავშვის მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ბოლო ფაქტი, რომელზეც ომბუდსმენმა ყურადღება გაამახვილა, 2006 წელს მოხდა. სახალხო დამცველს ვალეს პირველი საშუალო სკოლის კათოლიკე მოსწავლეებმა მიმართეს, რომლებიც ამბობდნენ, რომ ისტორიის, გეოგრაფიისა და ქართული ენის მასწავლებლები უარყოფით დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ კათოლიკე მოსწავლეების აღმსარებლობის მიმართ.

„ერთ-ერთი მშობელი ამბობდა, რომ მის მესამეკლასელ შვილს, რელიგიისა და კულტურის მასწავლებელმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა იმის გამო, რომ ბავშვი არამართლმადიდებლური წესით ისახავდა პირჯვარს. კერძოდ, ისე ძლიერად აუწია ყური, რომ კანის მთლიანობა დაერღვა" – ვკითხულობთ განცხადებაში.

მაშინ პედაგოგებს განემარტათ, რომ მოსწავლეების წინაშე საკუთარი სარწმუნოებრივი პოზიციის გამოხატვა დაუშვებელია, თუმცა, როგორც ჩანს, პრობლემა პრობლემად რჩება. კათოლიკეებს მუდმივად აგრძნობინებენ, რომ „სხვები" არიან. ეს იმ სოფლებშიც კი ხდება, სადაც კათოლიკეები მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენენ. კათოლიკეები ხვდებიან, რომ დამტვერილი ღვთისმშობლის ივლიტას ეკლესიაში დასაბრუნებლად გრძელი და არც თუ იოლი გზის გავლა მოუწევთ.

EMC

მასალა მომზადდა „ლიბერალისა" და „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის" (EMC) ერთობლივი მუშაობით, პროექტის „ტოლერანტობის, რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა საქართველოში" ფარგლებში, რომელიც მხარდაჭერილია ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. მასალაში წარმოდგენილი შეფასებები და პოზიცია შეიძლება არ წარმოადგენდეს ნიდერლანდების სამეფოს პოზიციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხი დამადგით, გულზე დამადგით... ისურვე დავით?!

თეი კანაშვილი

ჯორჯაძის ქუჩის მხრიდან ქაშვეთის ეკლესიის ეზოში ძველი ცენტრალური ჭიშკრით შესულები ტაძრისკენ მიმავალ ბილიკზე მაღაზიას დაინახავთ. თუ ხატების, ჯვრების, სანთლების, ნაკურთხი წყლის, ნათლობისთვის საჭირო ან სხვა რაიმე საეკლესიო ატრიბუტიკის შეძენა გსურთ, ამ მაღაზიაში ყველაფერს მიაგნებთ. უბრალოდ, გამოსვლისას უნდა იფრთხილოთ, ფეხი ამ ეკლესიის ამშენებლის საფლავის ქვას რომ არ წამოკრათ. მაღაზიის კარში მოქცეული თეთრი მარმარილო წარწერით „მადლიერი შთამომავლებისგან“ დავით სარაჯიშვილს ეძღვნება. ქვის ქვეშ ქართველი მეცენატი და მისი მეუღლე ასვენია, უკან – მაღაზიის დახლები. მაღაზიაში მომუშავე ქალბატონს თუ ჰკითხავთ, ეს როგორ მოხდა, გაგიბრაზდებათ. ვერც იმას დაადგენთ, რატომაა ეკლესიის ეზოში საფლავის გარშემო მანქანები გაჩერებული ისე, რომ თეთრი მარმარილოს ქვის შემჩნევა, სადაც სარაჯიშვილისა და მისი მეუღლის სახელები წერია, შეუძლებელია.

დავით სარაჯიშვილი ამ ეზოში 1995 წელს დაკრძალეს, თუმცა ის ქაშვეთის ეკლესიას სიცოცხლეშივე დაუკავშირდა.

საარქივო მასალების მიხედვით, პარლამენტის შენობის ადგილას, 1871-1897 წლებში მაშინდელ ღუნიბის მოედანზე მეფის რუსეთმა სამხედრო სობორო ააშენა „ნიშნად რუსული ძლევამოსილი არმიის გამარჯვებისა კავკასიაზედ“. მრევლი იყო არა უბრალო მოსახლეობა, არამედ ჯარი. 26 წელიწადი მიმდინარეობდა სობოროს მშენებლობა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ქართველები მიიჩნევდნენ, რომ ეს იყო „რუსული თათი კავკასიის ცენტრში“. გადაწყდა, მის საპირწონედ და რუსული იმპერიული ძალების გასანეიტრალებლად დაენგრიათ იმჟამინდელი ქაშვეთის ეკლესია, რომელიც კონსტრუქციის მხრივ არც ისე სახარბიელო მდგომარეობაში იყო და მის ნაცვლად აეშენებინათ ახალი. სარაჯიშვილმა წამოაყენა ინიციატივა, რომ ახალი ეკლესია სამთავისის პროტოტიპი ყოფილიყო და ამისთვის საჭირო ფინანსებიც გაიღო. სამხრეთის ფასადის შესასვლელის 2 მოჭედილ კარზე დღესაც დაგხვდებათ ინიციალები „დ“ და „ე“, რაც დავით სარაჯიშვილსა და მის მეუღლეს, ეკატერინე ფორაქიშვილს აღნიშნავს. რუსული სობორო კი XX საუკუნის 30-იან წლებში ლავრენტი ბერიამ დაანგრია.

მე-19 საუკუნის მეცენატებისგან დავით სარაჯიშვილს ბევრი ნიშან-თვისება გამოარჩევდა და მათგან ეკლესიების მშენებლობაში ღვაწლი მხოლოდ მცირე დეტალია. თუმცა არ შეიძლება, არ აღინიშნოს ის სამსახური, რაც მან სვეტიცხოვლის, იკორთის, სამთავროსა და მარტყოფის მონასტრების, თბილისის სამების, მამადავითის, კალაუბნის წმინდა გიორგის ეკლესიისა და კიდევ ბევრი სხვა ტაძრის რესტავრაციისა და შენარჩუნებისთვის გასწია.

თუმცა საქმიანობა, რომლითაც ის ყველას ახსოვს, კონიაკის წარმოებაა. დავით სარაჯიშვილმა რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე პირველმა დაიწყო ღვინისა და სპირტის ფრანგული წესით დამზადება. მისი საწარმოებიდან პირველი 1888 წელს თბილისში გაიხსნა და მას მოჰყვა ქარხნები ყიზლარში, ერევანში, კიშინიოვის სიახლოვეს, ბაქოში. ცნობილი სომხური კონიაკი დღესაც დავით სარაჯიშვილის მიერ დაარსებულ ქარხანაში მზადდება. ქარხნების მუშებისთვის ის ქირაობდა მასწავლებლებს და სპეციალურად მათთვის გახსნილ ბიბლიოთეკებში წერა-კითხვას ასწავლიდა. ყველა მუშა თავისსავე ფონდში ჰყავდა დაზღვეული და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ხარჯს უფარავდა. მუშების ჯგუფურ ფოტოებს ქალაქში საფოსტო ბარათების სახით არიგებდა. თუ მისი გამოზრდილი რომელიმე თანამშრომელი გადაწყვეტდა, ცალკე წარმოების გახსნას, ფინანსურად უჭერდა მას მხარს. რომ აღარაფერი ვთქვათ სტიპენდიებზე, რითაც იმ დროისათვის მეტ-ნაკლებად ცნობილ ადამიანებს განათლების მიღებაში ეხმარებოდა. მათ შორის იყვნენ ზაქარია ფალიაშვილი, დიმიტრი არაყიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ია კარგარეთელი, ვანო სარაჯიშვილი, გიგო გაბაშვილი, აკაკი შანიძე, გერონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო: ლევან ხარხელიძე

დავით სარაჯიშვილისა და ეკატერინე ფორაქიშვილის საფლავი ქაშუეთის ეკლესიის ეზოში, თბილისი, ივნისი 2016

დაკრძალვის წლები:
1911 - დიდუბის პანთეონი
1939 - ვაკის სასაფლაო
1995 - ქაშვეთის ეკლესიის ეზო

ტი ქიქოძე, თედო სახოკია და სხვა მრავალი.

უცნაური არ არის, რომ 1911 წელს მისი გარდაცვალება ქალაქმა გამორჩეულად იგლოვა. მისი და ილია ჭავჭავაძის დაკრძალვა ერთმანეთს ჰგავდა, ალბათ, იმიტომაც, რომ სცენარის ავტორი ორივე შემთხვევაში ვალერიან გუნია იყო. მის პატივსაცემად დამზადებული სამგლოვიარო 33 ვერცხლის გვირგვინიდან 28 ექვთიმე თაყაიშვილმა განძის სახით გაიტანა და შემდეგ დააბრუნა საქართველოში. სარაჯიშვილის ქვის დამზადება ილიას საფლავის ქვის ავტორს, იაკობ ნიკოლაძეს დაუკვეთეს, რაც შემდეგ, მეუღლის თხოვნით, სამომავლოდ გადაიდო – „მე ჩემს დათიკოს ვერ დავადგამ ამ სიმძიმის ქვას. მე რომ მოვკვდები, ორივეს ერთი ქვა დაგვადეთ, რომ ეს სიმძიმე თანაბრად გადავინაწილოთო“.

თუმცა მოვლენები სხვაგვარად განვითარდა. 1911 წელს დავით სარაჯიშვილი დიდუბის პანთეონში დაკრძალეს, 1939 წელს კი კომუნისტების მოთხოვნით შექმნილმა კომისიამ დიდუბის პანთეონში უცხო საფლავთა სია შეადგინა (მათი, ვისაც შეხება არ ჰქონდა ლიტერატურასთან, მეცნიერებასთან, საზოგადო მოღვაწეობასთან). სიაში მოხვდნენ დავით სარაჯიშვილი და ეკატერინე ფორაქიშვილიც. ჭირისუფალს, რომელთაც ნეშტის ამოსათხრელი ფულიც კი არ ჰქონდათ, გადასვენებისთვის 10 დღის ვადა მისცეს. მათ საფლავი გახსნეს, დაკრძალვისას ჩატანებული ბრილიანტისთვლიანი ოქროს ბეჭედი ამოიღეს და გადასვენების ხარჯი ამით დაფარეს. იმ დროს ბერიასგან „მექარხნედ“ წოდებული დავით სარაჯიშვილი მეუღლესთან ერთად ვაკის სასაფლაოზე, ხევში დაკრძალეს. 1995 წელს ის კიდევ ერთხელ გადაასვენეს, ამჯერად – ქაშვეთის ეკლესიის ეზოში. სწორედ აქედან იწყება საფლავისა და მაღაზიის საზიარო კედლის ისტორია.

„ტფილისის ჰამქრის“ წარმომადგენელი, ურბანისტი ცირა ელისაშვილი ამბობს, რომ რუსთაველის ქუჩის მხარეს საფლავის თავთან არსებული სივრცე გადასვენების დროს დაკავებული არ ყოფილა, ანუ იქ მაღაზია არ არსებობდა, „მარტივად შესამჩნევია, რომ ის ნახევარწრე, თაღი და სვეტები საფლავის დეტალებია“.

ელისაშვილი ამ ე.წ. საფლავი-მაღაზიის ერთობას იმდენად დამამცირებლად მიიჩნევს, რომ ამ ფონზე ქვაზე მინაწერი „მადლიერი შთამომავლებისგან“, ირონიულად აღიქმება. ურბანისტის უკმაყოფილებას საფლავის წინ არსებული ერთგვარი საპარკინგე სივრცეც იწვევს, რომლით სარგებლობაც მხოლოდ სასულიერო პირებისთვისაა ნებადართული და სადაც ავტომანქანები მუდმივად დგას.

1995 წელს დავითისა და მისი მეუღლის ვაკის სასაფლაოდან ქაშვეთის ეზოში გადასვენება კომპანია „სარაჯიშვილის“ მფლობელის გუჯა ბუბუტეიშვილის ინიციატივითა და დაფინანსებით მოხდა. პროცესში საქართველოს საპატრიარქო და მაშინდელი პრეზიდენტი, ედუარდ შევარდნაძეც იყვნენ ჩართულები.

კომპანია „სარაჯიშვილის“ მესვეურებსვე ეკუთვნით წერილი, რომელიც ქაშვეთის ეზოში საფლავზე მაღაზიის მიშენებით შეწუხებულებმა 2004 წელს საპატრიარქოს მისწერეს.

საპატრიარქოსგან პასუხად მიღებულ ოფიციალურ წერილში ვკითხულობთ:

„ამონაწერი საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმიდან:

საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის სამეცნიერო საბჭომ განიხილა საკითხი ქაშვეთის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოში არსებული დავით სარაჯიშვილის საფლავთან შექმნილი ვითარების შესახებ.

გამოითქვა მოსაზრება, რომ აღნიშნული ეკლესიის ეზოში საეკლესიო მაღაზიის წინ საფლავის არსებობა ამ სიახლოვით მიუღებელია. სასურველია ცხედრის გადასვენება დიდუბის საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადო მოღვაწეთა პანთეონში. საკითხი საჭიროებს განმეორებით განხილვას".

წერილი დათარიღებულია 2004 წლის 10 ნოემბრით. ხელს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის მაშინდელი მდივანი ნინო გველესიანი აწერს.

ნინო გველესიანის ადგილს ახლა თამარ კვანტალიანი იკავებს. საპატრიარქოს ამჟამინდელი პოზიციით დაინტერესებულებს ის იმ კრიტერიუმებს განგვიმარტავს, რითაც მსგავს შემთხვევებში ეკლესია ხელმძღვანელობს.

კვანტალიანის თქმით, ეკლესიის ეზოში ან მონასტრის ტერიტორიაზე ნებისმიერი სამშენებლო პროექტი საპატრიარქოს შესაბამის საბჭოსთან თანხმდება. ყველა ასპექტის გათვალისწინებით დგინდება ასაშენებელი ობიექტის ადგილი, ზომა, გარეგნული იერი.

„შესაძლოა, იქ ახლოს იყოს პატივსაცემი ადამიანის საფლავი, მაგრამ მაღაზიისთვის სხვა შესაფერისი ადგილი ამ ტერიტორიაზე არ მოიძებნოს. ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, უკეთესი ვითარება არ იყო მაღაზიის ჩადგმისთვის და მაღაზია რომ სჭირდება ტაძარს, ეს ფაქტია. ამას წინამძღვარი წყვეტს. ის ამბობს, რომ სჭირდება ეზოში მაღაზია და ვერავინ ეტყვის, იცით რა, მაღაზია არ გექნებათ. სხვა ფაქტორებს არ აქვს მნიშვნელობა. მაღაზია ტაძრისთვის არის აუცილებლობა და საფლავი შეიძლება იყოს ერთ ადგილას, შეიძლება იყოს სხვა ადგილას. ჩვენი სამსახური ვერ ეტყვის ტაძრის წინამძღვარს, რომ მაღაზია არ გინდა, იმიტომ რომ იქ არის საფლავი, რადგან, რეალურად, ტაძარს მაღაზია სჭირდება", – განმარტავს საპატრიარქოს ხუროთმოძღვრების ხელოვნებისა და რესტავრაციის ცენტრის ხელმძღვანელი.

„მე არც ერთი წერილი არ მაქვს ნანახი, მაგრამ ერთის შინაარსიც ვიცი, მეორისაც და ისიც ვიცი, რომ მამაზეციერი ვერ აიღებს მაგ მაღაზიას", – მკვლევარი გოგი სარაჯიშვილი დავით სარაჯიშვილის შთამომავლად გვეცნობა. ქართველი მეცენატის ქაშვეთის ეზოში გადასვენების ფაქტი მის უკმაყოფილებას მაღაზიის გამოჩენამდეც იწვევდა. დავით სარაჯიშვილის მოგვარე საფლავისთვის ერთადერთ შესაფერის ადგილად დიდუბის პანთეონს მიიჩნევს და განმარტავს კიდეც, რატომ.

„დავით სარაჯიშვილის ნატვრა იყო, დიდუბის პანთეონში დაეკრძალათ. ამისათვის 4200 რუბლი აქვს გადახდილი. მე ამის დამადასტურებელი დოკუმენტები დღესაც მაქვს. მისი სურვილის აღსრულება იქნებოდა, 1995 წელს იქ რომ დაებრუნებინათ. მაშინ მერიაში ნიკო ლეკიშვილი იყო, რომელსაც მე პირადად დავურეკე და ვთხოვე, არ მოეწერა ხელი ქაშვეთის ეზოში გადმოსვენებაზე. პასუხად მივიღე, რომ „შენ უკვე დაიგვიანე, რაშები შეკაზმულიაო". ვაკის სასაფლაოზე, სადაც ის 1939 წელს გადაასვენეს, დავითი უხეირო ადგილას იყო დაკრძალული, თითქმის ხევში. მე სულ მქონდა იმედი, რომ მას ძველ ადგილას დავაბრუნებდით და ის ადგილი დიდი ხნის განმავლობაში შევინახე. მაგრამ არც დამიჯერეს, არც მკითხეს. უკვე დაწყებული ჰქონდათ პროცესი კონიაკის ქარხანაში. მე დაკრძალვასაც არ დავსწრებივარ", – გოგი სარაჯიშვილი ამბობს, რომ მაღაზიის მშენებლობის პროცესს თავადაც შეესწრო, თუმცა საპატრიარქოსთვის არ მიუმართავს, შესაბამისად, არც ის იცის, რა განვითარება მოჰყვა 2004 წლის მიმოწერას.

ქალაქში არსებულ ხელოვნების ძეგლებსა და პანთეონებზე ზრუნვა კულტურის საქალაქო სამსახურის ერთ-ერთი სამუშაო მიმართულებაა. თბილისის მერიის ამ სამსახურში ამბობენ, რომ 2004 წლის შემდეგ დავით სარაჯიშვილის გადასვენებაზე განცხადება მათთან არ შესულა და მისი დიდუბის პანთეონში გადასვენების საკითხი არასდროს განუხილავთ.

საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება. თბილისში სულ სამი პანთეონია – მთაწმინდის, დიდუბისა და სომეხ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა. კულტურის საქალაქო სამსახურის ინფორმაციით, დიდუბისა და მთაწმინდის პანთეონები საკრებულოს გადაწყვეტილებით დახურულია, რადგან არც ერთ მათგანში ადგილები აღარ არის. ამ მიზეზით, მერია ახლო მომავალში მახათას მთაზე ახალი პანთეონის გახსნისათვისაც ემზადება. გამოდის, კომპანია „სარაჯიშვილის" მესვეურებს საპატრიარქოს რეკომენდაცია რომც გაეთვალისწინებინათ, დიდუბის პანთეონში დავით სარაჯიშვილის ნეშტის დაბრუნება, სულ მცირე, გაუჭირდებოდათ.

რაც შეეხება 4200 რუბლად ნაყიდ ადგილს, რომლის დამადასტურებელ დოკუმენტსაც გოგი სარაჯიშვილი ფლობს, მერიაში ამბობენ, რომ მას შემდეგ, რაც პანთეონი მუნიციპალური გახდა, ნებისმიერ მსგავს საბუთს ძალა დაეკარგა.

ამას ადასტურებს დიდუბის პანთეონის დირექტორი ბადრი ქუთათელაძეც. როგორც ის განმარტავს, პანთეონის ტერიტორიაზე მიწის შესყიდვის არავითარი დოკუმენტი არ მოქმედებს და არც დავით სარაჯიშვილის საფლავის ადგილი ინახება. მისი განმარტებით, პანთეონებში ადგილი შესაძლებელია შეენახოთ მხოლოდ იქ უკვე დაკრძალული საზოგადო მოღვაწეების ოჯახის წევრებს, მიუხედავად იმისა, აქვთ მათ რაიმე დამსახურება, თუ არა. ადგილის შენახვის სხვა მეთოდი არ არსებობს.

ურბანისტი ცირა ელისაშვილი კიდევ ერთ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას, რამაც, მისი თქმით, ეს „დაუსრულებელი ისტორია" 1995 წელს კიდევ უფრო გაართულა. მაშინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადასვენების შესახებ გადაწყვეტილება რამდენიმე ადამიანმა მიიღო და შეასრულა კიდეც. მოქალაქეებისთვის ამის შესახებ აზრი არავის უკითხავს. როგორც ელისაშვილი ამბობს, თუკი სარაჯიშვილის გადასვენების საკითხს კვლავ განიხილავენ, „აღარ უნდა დაივიწყონ, რომ საზოგადო მოღვაწესთან გვაქვს საქმე და ეს ისევ ისე დახურულად აღარ უნდა მოხდეს, როგორც 1995 წელს“.

ქაშვეთის ეზოდან სარაჯიშვილის გადასვენების კატეგორიული წინააღმდეგია კომპანია „სარაჯიშვილის“ აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ბუბუტეიშვილი. ის მიიჩნევს, რომ 1995 წელს მათ საუკეთესო ადგილი შეარჩიეს – ქაშვეთის ეზო. ძირითადი მოტივაცია ამ ტაძარზე სარაჯიშვილის ამაგის გარდა ის იყო, რომ ეკლესიის ეზოში გამვლელებს გაეხსენებინათ და სანთელი დაენთოთ მისთვის. საფლავის უკან თაღი კი, სადაც ახლა მაღაზიაა განთავსებული, სწორედ ამისთვის იყო გამიზნული.

„ჩვენი ამოცანა არის ის, რომ ამ კაცის სახელს მოვუფრთხილდეთ. მის დაწყებულ საქმეს კონიაკის წარმოების კუთხით ვაგრძელებთ და იმ ხრამიდან პატივისცემის ნიშნად გადმოვასვენეთ. გული მწყდება, ხელს რომ ისევ ჩვენსკენ იშვერენ, ბუბუტეიშვილმა რატომ არ დაკრძალა სარაჯიშვილი დიდუბის პანთეონში და რატომ დაკრძალა ქაშვეთის ეზოშიო. რატომ უნდა გადაასვენონ დიდუბის პანთეონში, ვილაც ტუტუც მღვდელს ფულის კეთებაში ხელი რომ არ შეეშალოს? ეკლესიას შესასვლელშიც ხომ აქვთ მაღაზია? საპატრიარქო მიიჩნევს, რომ სარაჯიშვილის საფლავი იმ ეზოში არ უნდა იყოს?“

ამ კითხვებზე პასუხი ზურაბ ბუბუტეიშვილს არ აქვს, მაგრამ 2004 წელს საპატრიარქოსგან მიღებული წერილით იმედგაცრუებული მათთან საფლავი-მაღაზიაზე დავის გაგრძელების აზრს ველარ ხედავს. მეტიც, მისი თქმით, როცა მეორე მხარეს საპატრიარქოა, ვერაფერს გააწყობ: „ჩვენ ამ დაპირისპირებებით კიდევ უფრო დავაზიანებთ და საფლავშიც არ დავაყენებთ ამ კაცს. თუ საპატრიარქო მაღაზიის გაუქმების გადაწყვეტილებას მიიღებს, ჩვენ მზად ვართ, კვლავ გავიღოთ ხარჯი და კეთილმოვაწყოთ ეს საფლავი“.

აშკარაა, რომ ვითარება ჩიხშია. საპატრიარქო რეკომენდაციას იძლევა, რომლის შესრულებაზეც პასუხისმგებლობას არავინ იღებს, უპირატესობას საფლავსა და მაღაზიას შორის კი ამ უკანასკნელს ანიჭებს. ხელოვნებათმცოდნე ხათუნა ხაბულიანი ამ ისტორიაში ღირებულებების პრობლემას ხედავს, რომელიც, მისი თქმით, გარკვეული არ აქვს არც საპატრიარქოს და არც საზოგადოებას.

■ არავინ იცის, შეიცვლება თუ არა კიდევ ერთხელ დავით სარაჯიშვილის საფლავის მდებარეობა, თუმცა ფაქტია, რომ დღეისათვის არც გადასვენების და არც მაღაზიის აღების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, მეცენატის საფლავზე კი იშვიათად თუ ანთებენ სანთელს „მადლიერი შთამომავლები“ – საფლავის ქვა მაღაზიასა და ავტოსადგომს შორისაა ჩაკარგული.

„რას ანიჭებს საპატრიარქო პრიორიტეტს, რა არის მათთვის მნიშვნელოვანი, კომერციული საქმიანობა თუ სხვა ტიპის ღირებულებები. მათი მხრიდან ჩანს სერიოზული თვითნებობა და მოუწესრიგებელი მენეჯმენტის პრობლემაც. ალბათ, მერიას უნდა შეეძლოს გარკვეული მექანიზმების ამოქმედება და საპატრიარქო ერთპიროვნულად არ უნდა იღებდეს ასეთ გადაწყვეტილებებს“.

იმ პირობებში, როცა მეორე მხარეს საპატრიარქო დგას, საზოგადოების ბერკეტად, ხაბულიანის თქმით, მხოლოდ სამოქალაქო სივრცის მოთხოვნა რჩება. ხელოვნებათმცოდნე განმარტავს, რომ ასეთ დროს აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზე, რომ ჩვენ სეკულარული სახელმწიფო ვართ, სამოქალაქო საზოგადოება კი ახლა სწავლობს თავის უფლებებს და იმას, რომ შეიძლება გადაწყვეტილებების მიღებაში მათაც ჰქონდეთ როლი.

„ქალაქში განვითარებულ მოვლენებსა და ცვლილებებთან დაკავშირებით, რაც საზოგადოებრივ სივრცეს ეხება, საზოგადოება, ძირითადად, ინფორმირებული არ არის და ამბებს მოქალაქეები პოსტფაქტუმ იგებენ. თითქოს უგულებელყოფენ საზოგადოების უფლებას, მონაწილეობდეს ამ პროცესებში. არადა, ასეთ შემთხვევაში, როცა ვითარება ჩიხში შედის და კედლის სახით საპატრიარქოს აწყდება, ერთადერთი გავლენის მომხდენი, ფორმალურად მაინც, შეიძლება პატრიარქი იყოს. ამ ვითარებიდან გამოსავალი, კონკრეტულად, შეიძლება პატრიარქის ჩარევა იყოს. პატრიარქს კი ისევ საზოგადოებამ უნდა მიაწოდოს თავისი პოზიცია და თხოვნა“.

არავინ იცის, შეიცვლება თუ არა კიდევ ერთხელ დავით სარაჯიშვილის საფლავის მდებარეობა, თუმცა ფაქტია, რომ დღეისათვის, არც გადასვენების და არც მაღაზიის აღების საკითხი დღის წესრიგში არ დგას, მეცენატის საფლავზე კი იშვიათად თუ ანთებენ სანთელს „მადლიერი შთამომავლები“ – საფლავის ქვა მაღაზიასა და ავტოსადგომს შორისაა ჩაკარგული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდას "საჯუთარი ოთახი" და აღქაჯებზე ნადირობა

„ქალმა უნდა იცოდეს საზღვარი. კაცზე მეტი მოეთხოვება!“; „დედა არ უნდა დადიოდეს ღამის კლუბში!“; „მეცოდება ის კაცი. ღმერთმა გააძლიეროს!“; „ქალებო, ნუ აიშვით! ილოცეთ, ქვეყანას მომავალი გაუზარდეთ. ამას კლუბებში სიარულით ვერ მიაღწევთ. ეს საცოდავი კაცი ციხეში ჩაჯდება და ვინ დარჩება მოგებული?!“; „ცოლს რომ არ გაემწარებინა, ხომ არ ჩაიდენდა?!“; „ასეთი ქალებისთვის ერთი რეცეპტი არსებობს: არ იტლიკინოთ, არ იბოზოთ და არავინ მოგკლავთ!“; „ის მიიღო, რაც დაიმსახურა!!!“; „გააჩნია, რატომ კლავს კაცი ცოლს. ასეთ კახპებს კლავენ და ღირსებიც არიან!“.

VS

„მაგ უზნეო ქალს 160 ფოტო უდევს ფეისბუქზე და არც ერთი – ქმარ-შვილის! სადაა ოჯახი?!"; „დედა ჯერ შვილის ფოტოებს უნდა დებდეს!“; „ამძუვნებული ნიმფომანკა ძუკნა!"; „ტუპაია პიზდას ყ ვიტამინი მოაკლდა!“; „საზიზღარი არსება! როგორ აჭყეტს თვალებს! ნაირ-ნაირ პოზაში გადაუღია ფოტოები. სახეზე ეტყობა, რაცაა!"; „ეს მკვლელობაზეც მოაწერდა ხელს. გათხოვილი ქალი და დედა თუ ისე აიშვებს, რო სხვა კაცს მისცეს...“; „მხოლოდ თავისი გაჩაჩხული ფეხები გამოუფენია ფეისბუქზე. ერთი ფოტოც კი არ უდევს ქმრის!“; „მოსაკლავი ყოფილა. მე რო პოლიციელი ვყოფილიყავი, ვცემდი კი არა, დედას არ მ****ვდი?!“; „ასეთი ცოცხლად უნდა დაწვა. ციხე შვებაა ამისთვის!“.



მაგდა პაპიძის პროცესი საქალაქო სასამართლოში. თბილისი, ივნისი 2016

გიორგი ძნელაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეთ კომენტარებს იპოვით ინტერნეტში სხვადასხვა მკვლელობების შესახებ. განსხვავება ისაა, რომ პირველ შემთხვევაში მკვლელობაში ბრალდებული კაცია, მეორეში კი – ქალი. ეს სექსისტური ფრაზები ნათელს ჰფენს ქართულ გენდერულ რეალობას. რატომ უნდა დებდეს დედა ჯ ე რ ქმარ-შვილის ფოტოებს? რატომ არ უნდა ჰქონოდა ბრალდებულს საკუთარი „თამამი" სურათები სოციალურ ქსელში? იმიტომ, რომ პატრიარქალური აზროვნების თანახმად, დედობა და ცოლობა ყოველთვის ნიშნავს ოჯახისათვის თავის შეწირვას, ჩრდილში დგომას, უკანა პლანზე გადასვლას, თავის ზვარაკად მიტანასა და საკუთარი მეორეხარისხოვნების აღიარებას. ქალს მხოლოდ იმიტომ აქვს არსებობის უფლება, რომ მის საშვილოსნოს ახალი სიცოცხლის ჩასახვის უნარი შესწევს. თუკი მის ვაგინას არ უშვია, უწმინდურია; თუ დედაა, რაღა საჭიროა სხვა სტატუსი? მხოლოდ ქმარ-შვილის ფოტოები უნდა გამოფინოს და იძახოს: „ჩემი ორი ცალი", „ჩემი ტკბილი ოჯახიიი". ნამდვილმა ქალმა არ იცის, რას ნიშნავს სიტყვა „მე". ფეისბუქის საერთო ანგარიშიც უნდა ჰქონდეს, მაგალითად: დეა-რამაზი, ან მაგდა-დათო... არა, პირიქით აჯობებს: რამაზი-დეა, დათო-მაგდა... ჯერ კაცი და მერე – ქალი. ეს უკანასკნელი ერთი საფეხურით დაბლა უნდა იდგეს. ნეკნია მაინც. დანამატი. მონა-მსახური.

ჰერმენევტიკული წიაღსვლა არ სჭირდება იმის გააზრებას, რომ საზოგადოება სხვადასხვაგვარად რეაგირებს ქალისა და კაცის განსჯა-გასამართლებისას. სქესი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია; სწორედ ის განსაზღვრავს ხალხის ემპათია-თანაგრძნობის „ხარისხსაც" და ძაგება-გაქილიკება-გაკილვის სიმძაფრე-სიმწვავესაც. ქმრის მკვლელი ცოცხლად უნდა დავწვათ და ავკუნოთ, ცოლის მკვლელზე კი ვთქვათ: „საწყალი კაცი, რა დღეში ჩააგდო ბოზმა ქალმა!". ეს ზნემაღალი ხალხი არასოდეს გამოიჩენს ასეთ შემწყნარებლობას დამნაშავე ქალისადმი. მხოლოდ მაშინ აღმოხდებათ აღტაცებანარევი შეძახილები, როცა ქალის თავ-კისრად შერაცხული კაცი საკადრისად დასჯის „უწესო" ცოლს, ადგილს მიუჩენს „აღვირახსნილს" და „მუხლებში გადაამტვრევს", რადგან სიკვდილის ღირსია ქალი, რომელიც გაბედავს განქორწინებას, ოჯახური ბორკილებისაგან თავის დახსნას, ან ღალატს (ამგვარი საქციელი „უმტკივნეულოდ" მიეტევება კაცს). ბრალდებულ ქალს წამებით უნდა ამოვხადოთ სული; აი, ცოლის მკვლელს კი თავზე ხელი გადავუსვათ, შევიბრალოთ და ვინატროთ, ღმერთმა დალოცოს და განსაცდელი გადაატანინოს. იგი რომანტიკულ-ჰეროიკული საბურვლით უნდა შევმოსოთ, უიმედო სიყვარულით დატანჯულ რაინდად, ქალისაგან განაწამებ, სიგიჟის ზღვრამდე მისულ გმირად შევრაცხოთ. ერი აღტყინებით გაიძახის: „დაანებეთ თავი მაგ კაცს! თავისი გაჭირვება ეყოფა! ისედაც შავ დღეშია!". აი, ბრალდებულ ქალს კი არასოდეს „ჰყოფნის" არც თავისი გაჭირვება, არც შავი და არც ნარინჯისფერი დღე. საჯაროდ უნდა გამოვაჭენოთ, მისი ფოტოები ვაფრიალოთ, ჩაქოლვა, ჩამოხრჩობა და მიწაში დალპობა ვუსურვოთ. „იქნებ, როგორ გაამწარა ცოლმა?! კაცს რო ყელში ამოუყვან და გადაეკეტებაააა"... მხოლოდ კაცს შეიძლება „გადაეკეტოს" და ყელში ამოუვიდეს; აი, ქალს – არა; ყველაფერი ფრიადზე მოეთხოვება; უხმოდ უნდა მოითმინოს ძალადობაც, დამცირებაც, ტოტალური კონტროლიც. არც ქმრისაგან მოკლულ ქალს არ ჰყოფნის თავისი გაჭირვება. ისედაც მიწა აყრია და ცივ სამარეში განისვენებს, მაგრამ მორალისტმა საზოგადოებამ ხუთჯერ მეტი მიწა უნდა მიაყაროს და გაარკვიოს, რატომ დაშორდა ქმარს, ქორწილის ღამეს ქალიშვილი ჩაჰბარდა ,,პატრონს", თუ არა, პორნოფილმი ხომ არ ჩაურთავს ოდესღაც, ან საყვარელთან ხომ არ ერთობოდა. 30 ლარის მიღების სურვილით გახელებული, ტინგიცა საიტების „ჟურნალისტები" შეესივნენ დაპატიმრებული ქალის დის ფეისბუქს: „მაგდამ თქვა, სხვა კაცი შემიყვარდაო. შენი დაა ბოზი, მე კი არა!" ფსიქოანალიზის რამდენიმე ,,ღომს" წიაღსვლებიც არ დაეზარა და თვითკმაყოფილი, მწიფე ლეღვის იერით გვამცნო: „მკვლელი ქალის სხვადასხვა პოზებში გადაღებული ფოტოები მიუთითებს მისი პიროვნების უარყოფით მხარეებზე!". ფსიქიკის ამ „ქურუმებს" აზრად არ მოუვათ, მკვლელი კაცი მსგავსი „საზომით" შეაფასონ და მისი პირადი გვერდი გადააქოთონ. როცა ქალთა მკვლელობები გაჩაღდა, დაბეჯითებით გვიმეორებდნენ, რომ „ზედაპირულად არ უნდა გვემსჯელა", მიზეზებს ჩავღრმავებოდით და დამნაშავეთა ფსიქოლოგიური მდგომარეობა გაგვეთვალისწინებინა. მაგდა პაპიძის დაპატიმრებისას კი არავის უხსენებია მისი ამგვარი საქციელის მიზეზი და არც მისი ფსიქიკის ბნელ ლაბირინთებში გზის გაკვლევა მოუთხოვია ვინმეს ესოდენ დიდი მგზნებარებით. მიზეზი? მაგდა ქალია.

ცოლის მკვლელის სახე საგულდაგულოდ უნდა დავმალოთ; აი, ქმრის მკვლელს კი გამადიდებელი შუშით, ან სულაც, ჭოგრიტით ვუმზიროთ, პირდაპირ ეთერში გამოვაჭენოთ მისი „სექსუალური" სურათები, ფეხის ზომა, წელის გარშემოწერილობა, მაკიაჟის ყაიდა, საცვლების ფერი და თეთრეულის საყვარელი ბრენდის სახელწოდება. მეტი სიზუსტისა და პიკანტურობისათვის, გადატანილი აბორტების ზუსტი რიცხვიც დავასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოთ. აი, თუ საყვარელთან სექსის დეტალებსა და ორგაზმის მიღწევის მეთოდ-ხრიკებსაც გამოვამზეურებთ, მთლად კარგი და გადასარევი. მოკლული კაცი (მისი თვისებებისა და ზნე-ხასიათის მიუხედავად) საყოველთაო სიბრალულს იმსახურებს, მაგრამ როცა ქმარი კლავს ცოლს, მსხვერპლის „უზნეობით" ამართლებენ დამნაშავეს და თანაუგრძნობენ მოძალადეს, რომელსაც თურმე, მძიმე დღე და ცუდი სიმთვრალე ჰქონია, ან კიდევ, „ბოზ ცოლს გაუმწარებია". „შუაზე გავგლეჯდი ამ ნაბოზარს!"; „რად უნდა სასამართლო? დაწვით ცოცხლად." – ამას ამბობს იმ კატეგორიის ხალხი, რომელიც გაჰყვირის: „თუ ღალატობდა, უნდა მოეკლა"; „თუ გაშორდა, უარესის ღირსი ყოფილა" და ა.შ. მიზეზი? მაგდა ქალია. არასოდეს გვინახავს, უმწიკვლო ხალხს ასეთი სიძულვილის ნიაღვარი დაენთხიოს ცოლის მკვლელისათვის. თუნდაც, განზრახ მოეკლა ქალს ქმარი. ეს გარემოება უფლებას აძლევს საზოგადოებას, დამნაშავის ჩაქოლვა მოითხოვოს? მოძალადე ქმრებმა განზრახ მოკლეს 34 ქალი 2014 წელს, მაგრამ ზეზნეობრივმა ერმა ისეთი არგუმენტები გამოტანჯა მოძალადეების გასამართლებლად, ირანს შეშურდებოდა. ბრალდებულმა აღნიშნა, რომ სცემეს, თუმცა, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ პატიმარ კაცზე ძალადობამ გამოიწვია ერთ მუშტად შეკრული ერის გავეშება და პროტესტი; ბრალდებული ქალის ცემა, ღირსების შებღალვა კი გამართლებული ყოფილა მისი „უზნეობით". „ძალადობა ცუდია, მაგრამ..." ეს ფაშისტური „მაგრამ" დაივიწყებს ადამიანის ღირსების ხელშეუხებლობას და მწარე მიზოგინიით გვეტყვის: „ის ქალი ბოზი იყო!"; „საცემი კი არა, მოსაკლავი ყოფილა!". როცა საზოგადოება სრულიად სამართლიანად აღუდგა წინ პატიმრებზე ძალადობას, არავინ დაინტერესებულა მათი პიროვნული თვისებებით, არც მორალით და არც ქცევით, მაგრამ სამაგიეროდ, უმრავლესობამ ქვა და ტალახი დაუშინა ბრალდებულ ქალს, რომელმაც ძალადობა ამხილა; ხელებდაკაპიწებულნი, გამალებით შეუდგნენ მის თეთრეულში ქექვას; ზნეობის, ხასიათისა და ფეისბუქის ფოტოების შესწავლას: „მეტის ღირსია"; „ზნედაცემული ძუკნა!". კაცებზე ძალადობის გაპროტესტებისას არავის მოუშველიებია მსგავსი ფრაზები. მიზეზი? მაგდა ქალია.

სექსისტური აზროვნება გასცდა უბნის ბირჟას და სასამართლო სხდომის დარბაზში დაივანა; ეროვნულ-კულტურულმა ქალთმოძულეობამ საჯარო სივრცეში გადაინაცვლა. მაგდას „სამსჯავრომ" ფარდა აჰხადა სახელმწიფოებრივ-სისტემურ სექსიზმსა და შესისხლხორცებულ პატრიარქატს. მასმედიამაც და სასამართლომაც დაამტკიცა, რომ ფალოცენტრული, მახინჯი ორმაგი სტანდარტებით ხელმძღვანელობს: არც ერთს და არც მეორეს არ აინტერესებს ცოლის მკვლელის ქორწინებამდელი, ან შემდგომი ინტიმური ცხოვრება; კაციშვილი არ გვიფრიალებს თვალწინ მის საიდუმლოსა და საყვარლების ნუსხას; ძეხორციელს აზრად არ მოუვა, გაარკვიოს, „უკანონო" კავშირი ხომ არ ჰქონია ბრალდებულს, ან აბორტის გაკეთება ხომ არ სთხოვა მეგობარ ქალს, ან „ეშმაკებზე" ხომ არ უყურებდა ვიდეოებს. საპირისპირო დამოკიდებულებას ვხედავთ, როცა ბრალდებული ქალია: მის საყვარლებს ლუპით აკვირდებიან მორალისტი საზოგადოების სამსჯავროზე; ყველა იქექება მის წარსულსა და საცვლებში და იძიებს, ქალიშვილი იყო, თუ არა ქორწილის ღამეს, „სატანისტურ" ვიდეოებს ხომ არ უყურებდა და ვის ემესიჯებოდა სკაიპში. როცა 38 ქალის სიცოცხლე ემსხვერპლა მოძალადე ქმრების სისასტიკეს, რომელიმე მედიასაშუალებამ, ან სასამართლომ გაარჩია ბრალდებულთა ქორწინებამდელი კავშირების საკითხი და დაითვალა მათი საყვარლების, ან განცდილი ორგაზმების რაოდენობა? რატომ აკვირდებიან ასეთი მგზნებარებით დამნაშავე ქალის საქალწულე აპკს, როცა არავის ანაღვლებს, მკვლელი კაცი ვაჟიშ-

■ ჰერმენევტიკული წიაღსვლა არ სჭირდება იმის გააზრებას, რომ საზოგადოება სხვადასხვაგვარად რეაგირებს ქალისა და კაცის განსჯა-გასამართლებისას. სქესი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია; სწორედ ის განსაზღვრავს ხალხის ემპათია-თანაგრძნობის „ხარისხსაც" და ძაგება-გაქილიკება-გაკილვის სიმძაფრე-სიმწვავესაც.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი ჩაჰბარდა ცოლს, თუ არა, ან უკანონო შვილი ხომ არ ჰყოლია? პასუხი მარტივია: მაგდა ქალია. მორალისტები გვარწმუნებენ, რომ „საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინება მოუხდა მედიასაც და სასამართლოსაც“. ამ ინტერესის დაკმაყოფილება სრულიად შესაძლებელი იყო იმის დაზუსტების გარეშე, რამდენჯერ მოიშორა ბრალდებულმა არასასურველი ნაყოფი; ვისთან რა პოზაში ჰქონდა სექსი ქორწინებამდე, ან შემდგომ; უნდოდა, თუ ეჭვმიტანილი ქალის დემონიზებისა და მისდამი სიძულვილის გაღვივების ყველაზე იოლი გზა. კაცის ცხოვრება რომც განიხილონ სასამართლოზე, ეს ფაქტორი მაინც ვერ მოახდენს გავლენას საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაზე, რადგან ჩვენს მიზოგინიურ რეალობაში „უკანონო“ სექსი სრულიად ჩვეულებრივი მოვლენაა კაცისთვის. ქორწინებამდელი ურთიერთობები, რომანი და სასიყვარულო კავშირი არასოდეს გახდება ბრალდებული კაცის ალბათ, ბავშვობაში კენჭი ესროლა ბაყაყს და მსხალი წაართვა მეზობელ გოგონას. ესეც დაწვრილებით გვაუწყონ, რათა უკეთ გამოვუტანოთ განაჩენი, უმოწყალოდ და დაუნდობლად. „მაგდას საყვარელი ჰყოლია – პაპიძის მეზობლების სკანდალური დეტალები“; „ქორწილამდე რამდენიმე კვირით ადრე პაპიძეს სხვა მამაკაცთან ჰქონდა ურთიერთობა“; „ქმარს რომ ღალატობდი, მაშინ სად იყავი?!“; „ოთარ ბერძენიშვილმა დაადასტურა, რომ მაგდა პაპიძესთან



ეს 300 ლარი ცხადზე უცხადესი ნიშანია იმ ერთი ბენო თავისუფლებისა და იოტისოდენა ეკონომიკური დამოუკიდებლობისა, რომლის მოპოვებასაც ესწრაფვოდა ქმრისაგან დატერორებული, აკრძალვების მარწუხებში მომწყვდეული, ჩაგვრისა და ძალადობის მსხვერპლი ქალი; ქალი, შვილის გაჩენას რომ აიძულებდნენ, აბორტის გაკეთებისა და სვირინგების დახატვის გამო სცემდნენ, წამდაუწუმ ახსენებდნენ საკუთარ „მოვალეობებს“ და არ აცლიდნენ ვირჯინია ვულფისაგან დატოვებული ფემინისტური ანდერძის კითხვას.

არა კიდევ ერთი ბავშვის გაჩენა და „ეშმაკებზე“ უყურებდა ვიდეოებს, თუ მამა გაბრიელის შესახებ. „საზოგადოებრივი ინტერესი“ კი სხვის საცვლებში ქექვაა, უცნობის საძინებელში სანთლის დამჭერი, ინტიმური აქტის მოჭვრიტინ-მომზირალი ერის ავადმყოფური ცნობისმოყვარეობა. ეს ანტიქალური ისტერიკა ემსახურება ერთადერთ მიზანს: ზნედაცემული, ამორალური ქალის იმიჯი შეუქმნას მაგდას (ეს ძალზე იოლია პატრიარქალურ სინამდვილეში); საყვარლების სიის ფრიალი უმარტივესი სექსისტური ტაქტიკაა, წინააღმდეგ მიმართული ფსიქოლოგიური წნეხისა და ზიზღის მიზეზი. არც მედიას, არც სასამართლოს არასოდეს უცდია ცოლის მკვლელი კაცების ურჩხულებად წარმოჩენა და მათი ოსტრაკიზმის პროცესის წამოწყება. თუ თანასწორობასა და სამართლიანობაზე ვსაუბრობთ, ქალიც ისე უნდა განისაჯოს, როგორც კაცი, ამგვარი მარაზმის გარეშე: „აბორტი გაიკეთა, ეშმაკებზე უყურა ვიდეოს, საყვარელთან ორგაზმი განიცადა, სკაიპში ემესიჯებოდა ბიჭებს, პორნო ჩართო, ქორწილის ღამეს ქალწული არ ყოფილა!“ და ა.შ. არაერთხელ ჰქონდა ინტიმური ურთიერთობა – პროკურორი“... რომელი ბრალდებული კაცის წარსულის „პიკანტური“ ეპიზოდები განუხილავთ ასე საჯაროდ? არც ერთის. მხოლოდ იმას არკვევდნენ, საყვარელი ხომ არ ჰყავდა ქმრისაგან წამებით მოკლულ ქალს. მნიშვნელობა არა აქვს, ქალი მსხვერპლია, თუ მკვლელი. ორივე შემთხვევაში უნდა ვიქექოთ მის პირად ცხოვრებაში. როგორც მოკლული, ასევე მკვლელი კაცების ინტიმური ცხოვრების დეტალები არ იწვევს სოციუმის ასეთ არაჯანსაღ ინტერესს. კაცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბუნებრივია, სექსი ექნებოდა. რა სალაპარაკო ეგაა?! დანაშაულთა გაშუქების ამ მახინჯ ორმაგ სტანდარტს საფუძვლად უდევს პატრიარქალური აზროვნება, რომლის თანახმადაც, სექსი (ქორწინებამდეც და შემდგომაც) კაცის ბუნებრივ მოთხოვნილებად მიიჩნევა, ქალისთვის კი სირცხვილად და გახრწნილებად. ცოლის მკვლელს არავინ განიკითხავს და არც დაამუნათებს საყვარლის ყოლის გამო; ამის საპირისპიროდ, მთელი ერი, პრესა და სასამართლო დაირაზმა ბრალდებული ქალისთვის ჩიქრის მოსაცხებად და ორგაზმ-ანორგაზმიის საკითხის გასარკვევად. სამივემ შეუწყო ხელი მაგდა პაპიძეზე ფსიქოლოგიურ-მორალური ძალადობისა და ტერორის გაჩაღებას. „ერთადერთი, ვისთანაც მინატრია ჩახუტება საკანში ყოფნის დროს, შენ იყავი“-მიმართა მაგდამ მეგობარს. ამას რეპლიკა მოჰყვა დარბაზში მჯდომი დედამთილისგან: „შენს საყვარელთან ჩახუტება არ გინატრია?!“ მაშ ასე: პურიც აქაა და სანახაობაც. საყვარლებში მოშლიგინე კაცების ბრბო სამარცხვინო ბოძზე აკრავს მაგდა პაპიძეს და ბოზს უწოდებს ქმრის ღალატის გამო. საყვარელი ჰყავდა? ოცნების სახრავი ძვალი მიუგდეს ქალთმოძულეებს.

„მაგდა პაპიძე ვიდეოებს უყურებდა ეშმაკების შესახებ.“; „მაგდა იყო ერთ-ერთი რელიგიური სექტის წევრი და სწორედ მას შესწირა მსხვერპლად ქმარ-შვილი“. უუუუუუ! მოვიდა ბუა, სატანა, დემონი, ეშმაკი, ლუციფერი, კიკიმორა, ვოლანდი, მეფისტოფელი... სასამართლო სოფლის ორლობედ იქცა, სალემის პროცესი გააჩაღა და ინკვიზიციური სულისკვეთებით გამოაცხადა ალქაჯებსა და კუდიანებზე ნადირობა. ბრალდებული ჟღალთმიანი რომ ყოფილიყო, მოგიზგიზე კოცონზე დაწვავდნენ ზნეობის სარანგები. მედიას ისე ხიბლავს მაგდა პაპიძის გრძნეულად და ბულგაკოვის მარგარიტად წარმოჩენა (მათი სახელებიც „საეჭვოდ“ ჰგავს ერთმანეთს), ისე შევიდა ეშხში, ერი დაგეშა. პარანოიით ტვინდაბნელებული ბრბო აფრიალებდა „ეშმაკების შესახებ“ ნანახ ვიდეოებს. იქნებ, მაგდა სისხლის აბაზანას იღებდა ღამღამობით, ცოცხზე გადამჯდარი დაფრინავდა, აზაზელოს მალამოს ისვამდა, ბავშვების სისხლით საზრდოობდა, ლუციფერზე იყო ჯვარდაწერილი, ლილითივით, გველი შემოეხვია ტანზე, ვოლანდს ემესიჯებოდა ხოლმე სკაიპში და სინამდვილეში, გრეთელენი ერქვა; ანტიქრისტესაგან იყო ორსულად და აბორტებს იკეთებდა; სატანის მეჯლისზე დედიშობილა იდგა ჭინკების წინაშე და მეჩვიდმეტე საუკუნეში კოცონზე დაწვეს სალემის პროცესზე, მაგრამ ფერფლიდან აღსდგა სასწაულებრივად. ბოლოს, მაგდა ცოცხს მოაჯდება და გაფრინდება... მედია და სასამართლო წარმოგიდგენთ: „ჩრუზიან ᏩᏂᏂᏂᏂ შტორყ, ანუ ალქაჯებზე ნადირობა ივერიულ-სალემურად“.

„ერთ-ერთ სურათზე ვირჯინია ვულფის წიგნს კითხულობს.ყველა ვარიანტში ფსიქოპატკაა!“-წერს ფსიქოანალიზის „მხეცი“, ვინმე მარი და „დიაგნოზს“ უსვამს ბრალდებულს. ავტომიზოგინიით შეპყრობილი ეს თინეიჯერი, რომელსაც ვულფის სახელი სმენია, ფემინისტური კლასიკის სიყვარულის გამო ასამართლებს მაგდას. რატომ უნდა ეწაფებოდეს ოჯახის დედა და გათხოვილი ქალი ფემინისტი ვირჯინია ვულფის წიგნებს?! მხოლოდ „სამზარეულოს წიგნი“, „რეცეპტების კრებული“, და „მზითვის წიგნი“ უნდა ეწყოს მის მაგიდაზე! ვირჯინია ვულფი, თავის უკვდავ ფემინისტურ ესეში, „საკუთარი ოთახი“, ქალებს მოუწოდებდა, არ დაჰმორჩილებოდნენ მოძალადე ქმრებს, თავად გაეკაფათ გზა, მოეპოვებინათ ეკონომიკური ემანსიპაცია და თავი ერჩინათ, რათა ფინანსურად დამოკიდებულნი არ ყოფილიყვნენ დესპოტ კაცებზე. მწერლის აზრით, ქალს უნდა გააჩნდეს საკუთარი ოთახი და კარზე მორგებული მყარი საკეტი, რათა განმარტოვდეს, წერა დაიწყოს და ინტელექტუალური განვითარების გზას დაადგეს; წინააღმდეგ შემთხვევაში, ვერასოდეს დაამსხვრევს ოჯახური მონობის ბორკილებს. როგორც მაგდას საქმის გასაჯაროებული მასალებიდან გაირკვა, „ოდესღაც მაგდა უჯერებდა ქმარს, იყო მორჩილი და თვინიერი ცოლი“. აი, მერე კი „აიშვა“; არად აგდებდა ქმრის სიტყვას, მუშაობდა და 300 ლარის გამო სამსახურში ათევდა ღამეს. ამ დეტალს ზიზღით აფრიალებს ქალთმოძულეთა დუჟმორეული ბრბო: „ღამღამობით მარტო როგორ ტოვებდა ბავშვს ფულის გულისთვის?!“. თურმე, მოძალადე და მესაკუთრე ქმარიც უნდა აეტანა და ეკონომიკური მონობაც. „მაგდას მუშაობის გამო ოჯახი ენგრეოდათ!“ გამოსავალი? განქორწინება, რასაც ითხოვდა ბრალდებული, მაგრამ ეწინააღმდეგებოდა მისი მეუღლე.

ეს 300 ლარი ცხადზე უცხადესი ნიშანია იმ ერთი ბეწო თავისუფლებისა და იოტისოდენა ეკონომიკური დამოუკიდებლობისა, რომლის მოპოვებასაც ესწრაფვოდა ქმრისაგან დატერორებული, აკრძალვების მარწუხებში მომწყვდეული, ჩაგვრისა და ძალადობის მსხვერპლი ქალი; ქალი, შვილის გაჩენას რომ აიძულებდნენ, აბორტის გაკეთებისა და სვირინგების დახატვის გამო სცემდნენ, წამდაუწუმ ახსენებდნენ საკუთარ „მოვალეობებს“ და არ აცლიდნენ ვირჯინია ვულფისაგან დატოვებული ფემინისტური ანდერძის კითხვას.

აი, ესაა ის საკუთარი ოთახი, რომელიც საუბედუროდ, არასოდეს ჰქონია მაგდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქალა, ჰომელის ქმრის მუშტებზე მატია

აისალ მამედოვა (რესპონდენტის თხოვნით სახელი და გვარი შეცვლილია) მარნეულში დაიბადა მამა ეთნიკურად აზერბაიჯანელია, დედა კი – სომეხი. როგორც თვითონ ჰყვება, მამამ დაბადებამდე მიატოვა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია, ბედნიერი ბავშვობა ჰქონოდა. ტაიკვანდოში საქართველოს ჩემპიონი ორჯერ გახდა. არის შავი ქამრისა და პირველი დანის მფლობელიც. აისალმა მოზარდობაში აღმოაჩინა, რომ თავისივე სქესის წარმომადგენლები მოსწონდა, თუმცა 18 წლის ასაკში მამაკაცზე იქორწინა. როგორი იყო თვითგამორკვევის პროცესი და გზა მარნეულში ქორწინებიდან დედაქალაქში დამოუკიდებლად ცხოვრებამდე. აისალმა თავისი ისტორია და გამოცდილება „ლიბერალს“ გაუზიარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ დაიწყო, თქვენი, როგორც ლესბოსელის, თვითგამორკვევის პროცესი? როდის მიხვდით, რომ თქვენივე სქესის წარმომადგენლები მოგწონდათ?

პირველად ქალის მიმართ სიყვარული რომ ვიგრძენი, დაახლოებით 15 წლის ვიყავი, ოღონდ ეს პლატონური სიყვარული იყო. ხომ ხვდებით, როდესაც ჩაკეტილ სივრცეში იზრდები... მაშინ ვერ ვხვდებოდი, რატომ მიზიდავდა ის ქალი. იქნებოდა ჩემზე 10 წლით უფროსი. უბრალოდ, მეზობელთან ჩამოდიოდა სტუმრად და მისი იქ ყოფნის დროს, ასე ვთქვათ, ვცხოვრობდი მეზობელთან, იმ ქალის გამო. გავიდა 3-4 კვირა. ის ქალი წავიდა და დამეწყო დეპრესია, როგორც იციან ამ ასაკში ბავშვებმა – დეპრესია, ჩაკეტილობა, თუმცა ეს ბარიერი გადავლახე. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რა მჭირდა, უბრალოდ, ძალიან მინდოდა ამ ქალის დანახვა, სურნელიც კი დღემდე მახსოვს. მერე ის გრძნობა სადღაც ღრმად ჩავკეტე, გადავერთე სპორტზე, სკოლაზე. ძალიან დატვირთული გრაფიკი მქონდა. სახლში ღამის 11 საათზე ვბრუნდებოდი. მივდიოდი სახლში და ვიძინებდი. ეს იყო ჩემი ცხოვრება. არავითარი ბიჭები, არავითარი გოგონები. ეს ხდებოდა მარნეულში, ძალიან პატარა ქალაქში, სადაც დღემდე არ იცის ხალხმა, რას ნიშნავს ლესბოსელი. გეი იციან, მაგრამ ლესბოსელი მათთვის უცხოა.

თუმცა 18 წლის ასაკში მამაკაცზე იქორწინეთ

რაც ბავშვობიდან მინდოდა, ეს იყო ნორმალური ოჯახი. რაკი უმამოდ ვიყავი გაზრდილი, სულ იმაზე ვოცნებობდი, რომ მყოლოდა ოჯახი, ჩემს ბავშვს მამა ჰყოლოდა და ეს იყო ძალიან ღრმად გამჯდარი ჩემში. შემდეგ დავქორწინდი მასზე. ქორწინებამდე ყველაფერი ლამაზია. ვერ ვიტყოდი, რომ „გამათხოვეს". ჩემს ყოფილ მეუღლეს ბავშვობიდან ვიცნობდი, ერთად გავიზარდეთ, მეზობლები ვიყავით. 17 წლის რომ გავხდი, სიყვარული ამიხსნა. მერე მთელი წელი დამდევდა. სიმართლე გითხრათ, არ მიყვარდა. კაცი არასდროს არ მყვარებია, უბრალოდ, დედაჩემისა და ოჯახის ზეგავლენა იყო ჩემზე – „კარგი ბიჭია, არ სვამს, მუშაობს, შენ უკვე უნდა გათხოვდე, ოჯახი შექმნა". ხომ იცით, პატარა ქალაქში როგორ უყურებენ ამ საკითხს, მარნეულში 13 წლის ასაკში უკვე თხოვდებიან და 18 წლის დაუოჯახებელი ქალი „ჩარჩენილად" ითვლებოდა. ერთწლიანი მცდელობის შემდეგ თავისას მიაღწია და დავქორწინდით. არა იმიტომ, რომ მე ვგიჟდებოდი და მიყვარდა, არამედ იმიტომ, რომ ოჯახი მინდოდა. ეს უფრო ექსპერიმენტი იყო, იქნებ რაიმე გამომივიდეს – მეთქი. მეგონა, რომ ფრიგიდული ვიყავი და არაფრის სურვილი არ მქონდა. ვფქრობდი, გავთხოვდები და იქნებ რამე შეიცვალოს-მეთქი. მერე ბავშვი შეგვეძინა.

როგორ წარმოგიდგენია ოჯახის შექმნა ქალთან საქართველოში?

მე შემიძლია, მაგრამ ქართველი ლესბოსელების 80% ამისთვის მზად არ არის. ვერ წარმოუდგენიათ – „როგორ უნდა ვიცხოვროთ? როგორ ვუთხრა მშობლებს? ნათესავებს? რას იტყვიან ჩვენი შვილები?". მე სამ ბავშვს ვზრდი. ერთი ჩემი ათი წლის შვილია, ორი კი ნათესავი. ისინიც ჩემი შვილებივით არიან. მათ არ იციან, რომ ლესბოსელი ვარ, მაგრამ ამისთვის თითოეულს ვამზადებ ფსიქოლოგიურად. რამე რომ მოხდეს და გაიგონ, მათთვის შოკისმომგვრელი რომ არ აღმოჩნდეს. თუ ბავშვს გაზრდი, როგორც საჭიროა, თუ ასწავლი ადამიანურ ღირებულებებს და ინფორმაციას სწორად მიაწვდი, მაშინ ამას ჩვეულებრივად მიიღებს. ყველაფერს ეტაპობრივი მომზადება სჭირდება.

როგორ დარწმუნდით, რომ ლესბოსელი ხართ და ქორწინებამ ვერაფერი შეცვალა?

არანაირი ინფორმაცია არ მქონდა დაახლოებით 24 წლამდე (ახლა 31 წლის ვარ), მაგრამ შემდეგ ინტერნეტი გამოჩნდა ჩემს ცხოვრებაში და, რა თქმა უნდა, ინფორმაციაც. დავრეგისტრირდი გაცნობის ჩატში. რამდენიმე გოგონამ მომწერა. ვსაუბრობდით ლესბოსელობაზე. ამაზე საუბარი მომეწონა, ოღონდ, მხოლოდ თეორიულად, რადგან მაშინ ამ ყველაფრის რეალობაში გადასატანად მზად არ ვიყავი, თან ოჯახი მქონდა და ვფიქრობდი, როგორ შეიძლება დაოჯახებულმა ქალმა ამაზე იფიქროს-მეთქი. ვირტუალური საუბრები ერთ წელს გრძელდებოდა. უამრავი ლესბოსელი გავიცანი, ბევრთან დავმეგობრდი. პირველად ამ ჩატში გავიცანი ქალი, რომელთანაც სექსუალური კავშირი მქონდა. იმ პერიოდში უკვე ბავშვი მყავდა. ამ გამოცდილების შემდეგ მივხვდი, რომ კაცები არ მიზიდავს.

როგორი იყო თერთმეტწლიანი თანაცხოვრება?

მთელი თერთმეტი წელი ვაკუუმში ვცხოვრობდი – სამსახური – სახლი – სამსახური, შემდეგ რაც ბავშვი სკოლაში წავიდა, სახლი – სკოლა – სამსახური. დედაჩემის სახლში გადასვლის უფლებაც კი არ მქონდა. თუ სადმე წასვლა მინდოდა, ბავშვი და დედამთილი თან უნდა წამეყვანა. თბილისში ბევრი ნათესავი მყავს, მაგრამ იმ თერთმეტი წლის განმავლობაში ყველას ჩამოვშორდი. განვითარებაში მიშლიდა ხელს, ეს ჩარჩოები კი ჩემზე ფსიქიკურად ცუდად მოქმედებდა. მას თავისი სამყარო ჰქონდა შექმნილი, სადაც კომფორტულად გრძნობდა თავს და მეტის მიღწევა არ სჭირდებოდა, მე კი სწავლა მინდოდა, ახლის გაგება, თუნდაც უნივერსიტეტში განათლების მიღება. მისი აზრით კი, მე სახლში უნდა ვმჯდარიყავი და ოჯახისთვის მიმეხედა. ეს ძალიან მტანჯავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგიჭირდათ, თუ არა საკუთარი სექსუალობის მიღება?

რაც გავიგე, რომ ლესბოსელი ვარ, საერთოდ არ გამიჭირდა ჩემი თავის მიღება. ერთადერთი, რაც მაწუხებდა, იყო ის, რომ ტყუილში ვცხოვრობდი და ჩემს ქმარს სიმართლეს ვერ ვეუბნებოდი. როდესაც ამ ყველაფრისგან დავიღალე, ჩემს ქმარს ყველაფერი ვუთხარი. ველოდებოდი ძალიან დიდ აგრესიას, მაგრამ მუხლებში ჩამივარდა და ტირილი დაიწყო, ძალიან გამიკვირდა ეს რეაქცია, რადგან აგრესიული ადამიანი იყო, მანამდე ცემაც უცდია. შემდეგ დაიწყო ძალადობა. ჩემზე რომ ხელი ერთხელ ასწია, ვაპატიე. ასე გაგრძელდა მეორედ, მესამედ, სანამ ცემაში გონება არ დავკარგე, არ გაჩერდა. მისი ძმაკაცი რომ არ ყოფილიყო ჩვენთან, მომკლავდა. ეს იყო ბოლო შემთხვევა, რაც ველარ მოვითმინე, ვერ ვაპატიე და ამის გამო დავშორდი.

პოლიციისთვის არ მიგიმართავთ?

როდესაც ჩემზე ძალადობდა, პოლიციისთვის არ მიმიმართავს, რადგან მეშინოდა, რომ უარესად მოიქცეოდა. არც იმის იმედი მქონდა, რომ პოლიცია დამიცავდა, რადგან მარნეულში ოჯახში ძალადობის შემთხვევები ხშირია, პოლიციელები კი, როგორც მოდიან, ისე მიდიან. მაგალითად, ქმარმა ცოლს სცემა, თუ ცოლი განცხადებას დაწერს ძალადობის ფაქტთან დაკავშირებით, შემდეგ ის იძულებული ხდება, განცხადება უკან გამოითხოვოს და როდესაც პოლიცია ასეთ ფაქტებს ხედავს, თვითონაც ზედაპირულად უყურებს მსგავს შემთხვევებს. პოლიციაში მოგვიანებით მივედი, რომ აღარ შემხებოდა არც ფიზიკურად, არც სიტყვიერად, ერთი მცდელობაც და წავიდოდა ციხეში. პოლიცია მაშინ ძალიან დამეხმარა.

მშობელმა ან მეგობრებმა როგორ მიიღეს თქვენი ქამინგაუთი?

დედაჩემმა ეს დღემდე არ იცის, თუმცა ხვდება და იმიტომ კი არ ვუმალავ, რომ მისი რეაქციის მეშინია, ზუსტად ვიცი, რომ მიმიღებს, უბრალოდ, ვუფრთხილდები, ემოციური ადამიანია და არ მინდა, ეს მის ჯანმრთელობაზე ცუდად აისახოს. ამიტომ მას არ ვუმხელ. მყავდა მეგობრები, რომელთა მხარდაჭერასაც ყოველთვის ვგრძნობდი, სანამ ქმარს გავშორდებოდი, დაშორების შემდეგ კი დაიწყო დაჩაგვრა ყველას მხრიდან. ჩემთვის ძალიან ახლო მეგობრებმა ზურგი შემაქციეს იმის გამო, რომ დავშორდი და რომ ლესბოსელი ვარ – ქალმა მარნეულში როგორ გაბედე და ქმარი მიატოვეო. ქმარი რომ მუშტებს მიქნევდა და ძალადობდა, ამაზე ასეთი პასუხი ჰქონდათ: „მერე რა, ყველა ოჯახში ხდება“. მათთვის ძალადობა უფრო ბუნებრივი იყო, ვიდრე განქორწინება, ან ლესბოსელობა. წარსულიდან თითქმის აღარავინ დამრჩა. ბავშვობის მხოლოდ ერთმა მეგობარმა დამიჭირა მხარი და დღემდე ვმეგობრობთ. დანარჩენების აზრით, უმჯობესია, ქალი იყოს მსხვერპლი, ვიდრე ადგეს და წავიდეს და ააწყოს თავისი ცხოვრება.

ერთ დღეს საბოლოოდ გადაწყვიტეთ სახლიდან წასვლა...

იურისტი ნინო ბოლქვაძე ძალიან დამეხმარა, ფსიქოლოგიურად მამზადებდა და ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ქალი არ უნდა ითმენდეს ოჯახურ ძალადობას და შენი უფლებები უნდა დაიცვაო. ერთ დღესაც სამსახურიდან დაბრუნებულმა ავიღე პატარა ზურგჩანთა, გადასახადები გადავიხადე, სახლისთვის პროდუქტები ვიყიდე, ჯიბეში 25 ლარზე მეტი აღარ მქონდა, აღარც ტელეფონი, რადგან ქმარმა გამიტეხა, და წამოვედი მარნეულიდან. ერთადერთი, რაზეც გული მწყდებოდა, ბავშვის სახლში დატოვება იყო. იმ მომენტში ბავშვს ვერ წამოვიყვანდი, რადგან თავადაც არ ვიცოდი, სად უნდა წავსულიყავი. შემდეგ გადავწყვიტე, სახლიდან ყველაზე შორს, ბათუმში წავსულიყავი, ჩემს მეგობართან. რომ მივედი, ხურდებიღა მქონდა დარჩენილი. იქ ერთი კვირა გავატარე. ამ ხნის განმავლობაში კი ჩემი ქმარი კარდაკარ დადიოდა, დიდი ისტორიებით. ყველასთან მლანძღავდა. სამეგობროს, სანათესაოს, სამეზობლოს – ყველას ყველაფერი მოუყვა. ჰქონდა ფარული ვიდეოჩანაწერი, რომელზეც ასახული იყო უბრალოდ ჩახუტება. ის კი ამ ვიდეოს ყველას ანახებდა. ვისაც აჩვენა, არავინ არ დაიჯერა. ჩემს უფროსსაც აჩვენა ეს ჩანაწერი, მან კი მითხრა, რომ ეს მხოლოდ ჩემი პირადი საქმეა და მთავარია, რომ სამსახურს თავს კარგად ვართმევ. როდესაც ბათუმიდან მარნეულში დავბრუნდი, ნინო ბოლქვაძეც თან წამყვა. ჩემმა ყოფილმა ქმარმა ბავშვი იმ დღესვე მომიყვანა დედაჩემის სახლში. შემდეგ ორი წელი დედაჩემთან ვცხოვრობდი მარნეულში, თან ვმუშაობდი.

წელიწად-ნახევარია, რაც თბილისში გადმოხვედით, როგორ გადალახეთ ფინანსური პრობლემები?

არ გადამილახავს, დღემდე მიჭირს. როდესაც ქორწინებაში ვიყავი, მაშინ ბევრი სესხი ავიღე ჩემს სახელზე, რადგან სტაბილური ხელფასი მქონდა. ოჯახისთვის ბევრი რამ შევიძინე და მე ვიხდიდი ამ ყველაფერს. ქმარს რომ დავშორდი, სესხი ამ დრომდე გამომყვა. ძალიან ბევრს ვშრომობ. თბილისში რაც გადმოვედი, ახალი სამსახური ვიშოვე. პარალელურად მასაჟისტი და ტაქსის მძღოლი ვარ. როდესაც დაქორწინებული ვიყავი, ოჯახში შემოსავლის ძირითადი წყარო ჩემი ხელფასი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ქმარი არსად არ მიშვებდა, სამსახურში თავისუფლად დავდიოდი. დედაშენთან არა, მაგრამ სამსახურში უნდა იაროო. გარდა ამისა საოჯახო საქმეები, შვილის მოვლა, ბოსტანი, ყველაფერს მე ვაკეთებდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ქალს, ეთნიკური და სექსუალური უმცირესობის წარმომადგენელს, გიგრძვნიათ თუ არა რაიმე სახის დისკრიმინაცია საჯარო სივრცეში?

მე როგორც ქალი, არ ვიჩაგრებოდი, რადგან თავად არ ვაძლევდი არავის ამის საშუალებას. დაჩაგვრის მცდელობები იყო. ჩემი გაუპატიურებაც კი სცადეს, როდესაც 12-13 წლის ვიყავი, თუმცა თავის დაცვა მოვახერხე. მარნეული ისეთი ქალაქია, რომ ძირითადად ეთნიკურად არაქართველებით არის დასახლებული. იქ მთელი ცხოვრება გავატარე და ეთნიკური ნიშნით ჩემ მიმართ არ ყოფილა აგრესია. წელიწად-ნახევარია, თბილისში ვცხოვრობ და არანაირი ზეწოლა აქ არ მიგრძვნია. ჩემმა ცხოვრებამ ძალიან ბევრი რამ მასწავლა და გამაძლიერა. ნამდვილი ჩაგვრა ჩემი ქმრისა და დედამთილისგან ვიგრძენი, როდესაც დავოჯახდი.

ლესბოსელებთან დაკავშირებით ყველაზე ხშირად რა სახის სტერეოტიპს ხედავთ საზოგადოებაში?

ფიქრობენ, რომ ლესბოსელს არ ეყოლება შვილი, სძულს მამაკაცები. სოფლებსა და პატარა ქალაქებში უფრო მეტი სტერეოტიპი არსებობს ლგბტ ადამიანებზე, ვიდრე თბილისში, რადგან იქ ნაკლები ინფორმაცია აქვთ, არ არის ინტერნეტი. მარნეულშიც რომ ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი იყოს, უფრო მეტს ეცოდინებდა, რას ნიშნავს ჰომოსექსუალობა. ისინი ფიქრობენ, რომ გეი, ბისექსუალი, ლესბოსელი ერთი „ნაგავია“ და ეს ადამიანები სადმე უნდა გადაასახლო და გაანადგურო. თუ ქალს ქალი შეუყვარდა და არ მოსწონს კაცები, ამას ბავშვობის ტრავმას და ძალადობას უკავშირებენ. ამბობენ, რომ ჰომოსექსუალები ავადმყოფები ვართ და უნდა ვიმკურნალოთ.

თქვენი გამოცდილებიდან გამომდინარე, რას მოუწოდებდი იმ ადამიანებს, რომლებიც ჩვენს პოლიტიკურ დღის წესრიგს ქმნიან? მათი გარკვეული ნაწილი ჰომოფობიური გამოსვლებით გამოირჩევა

ზურგს ნუ შეაქცევენ იმ მოქალაქეებს, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. როდესაც ყველამ

■ გავიდა 3-4 კვირა. ის ქალი წავიდა და დამეწყო დეპრესია, როგორც იციან ამ ასაკში ბავშვებმა – დეპრესია, ჩაკეტილობა, თუმცა ეს ბარიერი გადავლახე. მაშინ ვერ ვხვდებოდი, რა მჭირდა, უბრალოდ, ძალიან მინდოდა ამ ქალის დანახვა, სურნელიც კი დღემდე მახსოვს. მერე ის გრძნობა სადღაც ღრმად ჩავკეტე, გადავერთე სპორტზე, სკოლაზე.

ზურგი შემაქცია, ძალიან გამიჭირდა. ჩემთვის ისიც საკმარისი იქნებოდა, რომ ვინმეს მოესმინა. რასაც ირგვლივ ვხედავ, მთავარი პრობლემა უყურადღებობა და გულგრილობაა როგორც სახელმწიფოს, ასევე მოქალაქეების მხრიდან. ხელისუფლების დიდი ნაწილი ფიქრობს მხოლოდ თავის თავზე, როგორ იპოვოს ის წყარო, საიდანაც მეტ მოგებას ნახავს. ამის გამო ლგბტ ადამიანებს კი არ იცავენ, არამედ ჩაგრავენ. ისინი იმ მხარეს იჭერენ, სადაც უმრავლესობა დგას, იმიტომ რომ უმრავლესობაში ხედავენ ძალას.

რას ურჩევდი იმ ქალებს, რომლებიც ლესბოსელები არიან და შესაძლოა – ისეთ მდგომარეობაში, როგორშიც თქვენ იყავით წლების წინ?

თუ შენ ხარ ლესბოსელი და არ ხარ თავისუფალი, თუნდაც ოჯახში, თუ თავს გრძნობ დაჩაგრულად, მე ვფიქრობ, რომ ოჯახში ამის თქმის არ უნდა გეშინოდეთ, რადგან არის ძალები, გაცილებით უფრო ძლიერი, ვიდრე ქმრის მუშტებია.

ჩემს თავზე გამოვცადე, როდესაც პოლიციაში წავედი და გვერდით დამიდგა უამრავი ადამიანი. სიმართლე უნდა თქვან იმიტომ, რომ სანამ ამას არ გააკეთებს, იქნება დაჩაგრული, დაუზიანდება ფსიქიკა. ძალიან ბევრი ადამიანი თავს იკლავს ამის გამო, რადგან გამოსავალს ვერ პოულობს. თუ მშობელს უთხარი და მან არ მიგიღო, ე.ი. მშობლის ბრალია და არა შენი. თუ ვერ მიგიღო ე.ი. არც არის საჭირო. თუ ჩემი შვილი ოდესმე გაიგებს, რომ ლესბოსელი ვარ და იტყვის, რომ ასეთი დედა არ მჭირდებაო, ავდგები და ვიტყვი, რომ ასეთი შვილი არც მე მჭირდება. ასევე ხდება მშობლებში. დედაჩემს მაშინ ვეტყვი, როცა ამის დრო მოვა. ზუსტად ვიცი, რომ გამიგებს. ტყუილს, ფსიქოლოგიურ ზეწოლას და ამ ყველაფერს მირჩევნია, ისევ მარტომ გავიტანო ჩემი ცხოვრება და ვიყო ისეთი, როგორიც ვარ, ვიდრე სიცრუეში ვიცხოვრო იმისათვის, რომ გავახარო მეზობელი, მამა, დედა, შვილი... ყველა იყოს ბედნიერი და მე ვიყო დაჩაგრული.

ესაუბრა ბასტი მგალობლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამაგალითო ბრძოლა

ნინო ნატროშვილი

ფოტო: გაბრიელ ქალდა ორგანიზაციის

აველეს კოლეჯის მოსწავლეები ქართველ მორაგბეებთან შეხვედრაზე. სამოა. 7 ივნისი 2016 წელი.

14 წლის ტამასიპანი თანატოლ ბიჭებთან ერთად ჩვეულებისამებრ კოლეჯში მიდის, თუმცა დღეს გაკვეთილების ნაცვლად შეხვედრაზე მიეჩქარება. სამოა-საქართველოს თამაშამდე 3 დღეა დარჩენილი, მაგრამ ქართველმა მორაგბეებმა დრო მაინც გამონახეს და აველეს კოლეჯს სტუმრობენ. ტამასიპანიც აქ სწავლობს. შეხვედრა ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლასა და მის მნიშვნელობას ეძღვნება. ისევე, როგორც ბევრ სამოელ ბიჭს, რაგბი ტამასიპანისაც ძალიან უყვარს და არც ძალადობაზე საუბარი ეუცხოება: აველეში ასეთი შემთხვევები ხშირად ხდება.

ახალგაზრდების შეკრების შემდეგ კოლეჯის დირექტორი სტუმრებს წარადგენს – ნაკრების წევრებს: სანდრო თოდუას, მერაბ კვირიკაშვილს, ლაშა ხმალაძესა და ვეტერან ბორჯღალოსანს, საქართველოს რაგბის კავშირის სოციალური პროექტების მენეჯერსა და სპორტისა და ახალგაზრდობის საკითხებში გაეროს ქალთა ორგანიზაციის სპეციალისტს ნონო ანდღულაძეს.

ნონო საუბარს რაგბით იწყებს. ამბობს, რომ ის არა მარტო სპორტი, არამედ ცხოვრების წესია და ბევრ ღირებულს ასწავლის. თან ბიჭებს რაგბის იმ „დაუწერელ კანონებს“ აცნობს, რომლებიც ურთიერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თგატანას, ერთმანეთის შეცდომების გამოსწორებას, ძალადობის დაუშვებლობასა და თანასწორობას გულისხმობს. „იგებ თუ აგებ, მნიშვნელობა არ აქვს, თავმდაბლობის შენარჩუნება და მეტოქის პატივისცემა ნებისმიერ დროს აუცილებელია", – ყვება ნონო ანდღულაძე.

აველეში ქართველი მორაგბეები გაეროს ქალთა ორგანიზაციის ადგილობრივმა წარმომადგენლობამ მიიწვია. კოლეჯი შემთხვევით არ შეურჩევიათ: აქ ძალადობის ფაქტები საკმაოდ ხშირია. ბორჯღალოსნები კი უკვე 6 წელია, გაეროს გენერალური მდივნის, ბან კი მუნის კამპანიაში – „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ" მონაწილეობენ. საქართველოს რაგბის კავშირისა და გაეროს ქალთა ორგანიზაციის თანამშრომლობის ფარგლებში, მორაგბეებს ამ კამპანიის მხარდაჭერისთვის არაერთი მატჩი მიუძღვნიათ. წლებია, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ახალგაზრდებს ხვდებიან და ქალთა მიმართ ძალადობის დაუშვებლობაზე ესაუბრებიან. დღესაც ერთ-ერთი ასეთი შეხვედრაა, ოღონდ, არა საქართველოში.

ოჯახში ძალადობა სამოაში საკმაოდ მწვავე პრობლემაა. გაეროს ქალთა ორგანიზაციის ინფორმაციით, სხვადასხვა ტიპის ძალადობა სამოელი ქალების 46%-ს ცხოვრებაში ერთხელ მაინც გამოუცდია, თანაც, უმრავლეს შემთხვევაში (96%), – ქმრის მხრიდან. სამოაში ყველაზე გავრცელებული ფორმა ფიზიკური ძალადობაა (38%). ქალთა 24% ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი ორსულობის პერიოდში სწორედ ბავშვის მამის მხრიდან გამხდარა. ქალების 97% პოლიციას არ ატყობინებს და ამბობს, რომ ეს მხოლოდ ოჯახის პირადი საქმეა.

რაგბი სამოაში, ისევე როგორც საქართველოში, ძალიან უყვართ. ის ამ ქვეყანაში ნომერ პირველი სპორტია, მორაგბეებს კი უდიდეს პატივს სცემენ. ბორჯღალოსნები ამბობენ, რომ მათი ავტორიტეტის გამოყენება ახალი თაობებისთვის სწორი ღირებულებების ჩამოსაყალიბებლად, ძალადობისგან თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი გარემოს შესაქმნელად საქართველოსა თუ სამოაში ძალიან მნიშვნელოვანია. ახლა სწორედ ქალთა მიმართ ძალადობის საწინააღმდეგო კამპანიაში ჩართულობის ამბებს ჰყვებიან. საუბრობენ როლზე, რომლის შესრულებაც ამ პრობლემასთან ბრძოლაში სპორტს შეუძლია. მერე კი ყველანი ერთად უყურებენ ვიდეორგოლებს, რომლებიც მორაგბეებმა ძალადობის წინააღმდეგ გადაიღეს.

„გვწამს, რომ ნებისმიერი ძალადობა, განსაკუთრებით კი ქალთა და გოგონათა მიმართ, მიუღებელია. მას გამართლება არ აქვს. ძალადობასთან ბრძოლა ყოველთვის ჩვენი მოვალეობა იქნება. იმედი გვაქვს, ამ ბრძოლაში მალე თქვენც შემოგვიერთდებით", – ამბობს ნონო ანდღულაძე.

სხვათა შორის, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში ქართული რაგბის ჩართულობა სამაგალითო უკვე სპორტის სხვა სახეობებისთვისაც გახდა. მაგალითად, გაეროს ქალთა ორგანიზაციასთან თანამშრომლობა წელს ესპანურმა საფეხბურთო კლუბმა „ვალენსიამაც"

აველეში ქართველი მორაგბეები გაეროს ქალთა ორგანიზაციის ადგილობრივმა წარმომადგენლობამ მიიწვია. კოლეჯი შემთხვევით არ შეურჩევიათ: აქ ძალადობის ფაქტები საკმაოდ ხშირია. ბორჯღალოსნები კი უკვე 6 წელია, გაეროს გენერალური მდივნის, ბან კი მუნის კამპანიაში „გავერთიანდეთ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ" მონაწილეობენ.



ფოტო: ალოდა გალიჯანა

ტამასიპანი მალიეტოა სამოელი და ქართველი მორაგბეების თამაშზე. სამოა. 11 ივნისი 2016 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო თასის შესარჩევი მატჩი, რომელიც 25 ივნისს გაიმართა და ნარინჯისფერ – ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის – დღეს დაემთხვა, სპორტსმენებმა სწორედ ამ კამპანიას მიუძღვნეს. თან შესაბამისი ვიდეორგოლიც გადაიღეს. ქართველი მორაგბეები კი სამშობლოში დაბრუნდნენ. წინ კიდევ ერთი შეხვედრა აქვთ: სამაგალითო ბრძოლაზე მათ ამჯერად სამეგრელოში ტამასიპანის ქართველ თანატოლებს უნდა უამბონ.

ქართველი მორაგბეები სოლიდარობის მოძრაობას გენდერული [illegible] ბისთვის HeForShe მხარდაჭერას უცხადებენ. თბილისი. 23 ნოემბერი 2014 წელი.

ფოტო: [illegible]

დაიწყო და ნონო ანდღულაძემ თავისი გამოცდილება ესპანელ სპორტსმენებსაც გაუზიარა. „სამწუხაროდ, საქართველოსა თუ მსოფლიოში ძალადობა საკმაოდ ხშირია. ეს გვაძლევს მოტივაციას, არ ვიყოთ უბრალოდ დამკვირვებლები და მეტი გავაკეთოთ ძალადობის წინააღმდეგ. ბუნებრივია, სასიხარულოა, რომ ჩვენი ჩართულობა ამ კამპანიაში საქართველოს ფარგლებს გასცდა და იქცა მაგალითად, რომელსაც სხვებიც მიმართავენ“, – ამბობს ნონო ანდღულაძე.

შეხვედრა მთავრდება. მოსწავლეები მორაგბეებს იქაურ სიმბოლოს – ყვითელ ყვავილებს აბნევენ და სამახსოვროდ ფოტოებს იღებენ. სტუმრების წასვლის შემდეგ ტამასიპანიც სახლში, დედასთან, ალოფასთან ბრუნდება. ალოფა შეხვედრით ინტერესდება და კითხულობს: „როგორი იყო, საინტერესო თუ მოსაწყენი?“ „ბომბა“, – ერთი სიტყვით პასუხობს ტამასიპანი. მერე კი დედასა და 17 წლის ძმას, ლოიდს შთაბეჭდილებებს უზიარებს: „ძალიან მაგარია, როცა მორაგბე გიყვება, თუ როგორ შეგიძლია გოგოებზე ძალადობის შეჩერება, რომ თურმე ეს ბიჭებსაც გვეხება“, – ამბობს ის.

ლოიდმა აველეში გამართული შეხვედრა საღამოს ტელევიზიით ნახა. „კოლეჯში არ ვიყავი, მაგრამ იმის მიხედვით, რაც ვნახე, მივხვდი, რომ ეს კარგი შესაძლებლობა იყო. მოსწავლეებმა მოუსმინეს წარმატებულ ადამიანებს, რომლებიც ქალთა მიმართ ძალადობასა და იმ უარყოფით შედეგზე საუბრობდნენ, რაც მას საზოგადოებისთვის მოაქვს. ვფიქრობ, ეს შეხვედრა ჩვენთვის ცვლილებების მომტანი იქნება“, – ჰყვება ლოიდი.

ტამასიპანი 3 დღის შემდეგ უკვე თამაშზე მიიჩქარის. სახეზე საქართველოს დროშას იხატავს. არა იმიტომ, რომ სამოას მოგება არ სურს, უბრალოდ, ქართველი მორაგბეებისთვის მხარდაჭერის გამოხატვა უნდა.

ბორჯღალოსნების მაგალითი კი რამდენიმე დღეში სამოასა და ტონგას მორაგბეთა ეროვნულმა ნაკრებებმა გაიზიარეს: მსოფლიო თასის შესარჩევი მატჩი, რომელიც 25 ივნისს გაიმართა და ნარინჯისფერ – ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის – დღეს დაემთხვა, სპორტსმენებმა სწორედ ამ კამპანიას მიუძღვნეს. თან შესაბამისი ვიდეორგოლიც გადაიღეს. ქართველი მორაგბეები კი სამშობლოში დაბრუნდნენ. წინ კიდევ ერთი შეხვედრა აქვთ: სამაგალითო ბრძოლაზე მათ ამჯერად სამეგრელოში ტამასიპანის ქართველ თანატოლებს უნდა უამბონ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოგონები შულავერიდან

მარნეულის რაიონის სოფელ შულავერში, აჭარელი ეკომიგრანტებით, აზერბაიჯანელებითა და სომხებით დასახლებულ ტერიტორიაზე უკვე ერთი წელია, სკოლა „ჰობი სტუდია“ გაიხსნა. მსურველები აქ ქარგვას, კერვას, თექასა და ბისერებზე მუშაობას სწავლობენ, თუმცა იდეის ავტორს, მარინა წიქარიშვილს სკოლის დაარსებისას მხოლოდ ეს მიზანი არ ჰქონია. მოსახლეობის ეთნიკური სიჭრელის გათვალისწინებით, მას სურდა, სკოლა მოსწავლეების რეინტეგრაციისთვისაც გამოეყენებინა, მათთვის ქართული ესწავლებინა და საქართველოს შესახებ მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა.

ქეთევან ღვედაშვილი

„ჰობი სტუდიის“ გოგონების საერთო შემოქმედება. სოფ. შულავერი, ივნისი 2016

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტოები: ლევან ხარბედია

მან რამდენიმე ოჯახით დასახლებული საცხოვრებელი ფართიდან სკოლისთვის სამუშაო ადგილი კუთვნილი ოთახებიდან გამოყო და სულ რაღაც ერთი წლის შემდეგ დასახულ მიზანსაც მიაღწია – ბავშვები, რომლებმაც სკოლაში მისვლისას მხოლოდ ერთი, არაქართული ენა იცოდნენ, ახლა უკვე რამდენიმე ენაზე საუბრობენ და ხელსაქმესაც დამოუკიდებლად აკეთებენ. მარინა წიქარიშვილი ამბობს, რომ მათ ამის ძალიან დიდი სურვილი ჰქონდათ.

„დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ ამეხსნა, როგორ ესაუბრათ სწორად. ვეუბნებოდი, რომ გამოფენებზე დავდივართ და გამართული ქართულით საუბარია საჭირო. ამას კარგად იაზრებენ და სურვილიც ძალიან დიდი აქვთ. მთავარი ისაა, რომ ქართველებთან კომუნიკაცია უნდათ და გამოფენაზე გასვლით ამის საშუალება ეძლევათ“, – ამბობს მარინა წიქარიშვილი.

სირთულეს ქმნიდა ისიც, რომ აზერბაიჯანელ მოსახლეობაში, სადაც ნაადრევი ქორწინება ნორმადაა ქცეული, გოგონების ძირითად მიზანს სწორედ ეს წარმოადგენდა. მათთვის ინტერესების შეცვლა რთული, მაგრამ შესაძლებელი აღმოჩნდა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ტრადიციების გამო ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები საკმაოდ ჩაკეტილ გარემოში იზრდებიან – მათთვის ბევრი რამ აკრძალულია, ბევრიც – ხელმიუწვდომელი. თუმცა გამოფენებზე სიარულით, ახალი ნაცნობების შეძენითა და აქამდე უცნობი სამყაროს გაცნობით მათ ბევრი რამ გადააფასეს და სხვა ინტერესებიც გაუჩნდათ. მარინა წიქარიშვილი ამბობს, რომ მისი მოსწავლეები გათხოვების ნაცვლად ახლა კოლეჯში ან უმაღლეს სასწავლებელში სწავლასა და საკუთარ საქმეზე ფიქრობენ.

„აქ სულ სხვანაირები მოვიდნენ და ახლა სულ სხვა გოგონებს ხედავთ. გემოვნებაც დაეხვეწათ. აქამდე ჩაკეტილ სოციუმში უწევდათ ყოფნა, ახლა კი გამოფენებზე გაცნობილ ადამიანებთან აქტიურად კონტაქტობენ“, – აღნიშნავს მარინა წიქარიშვილი.

15 წლის ალინა ხაჩატურიანი „ჰობი სტუდიაში“ 2015 წლის ივლისიდან სწავლობს. ქართულ სკოლაში სწავლის გამო, ენის ბარიერი არ ჰქონია, თუმცა რუსული არ იცოდა და ბავშვებთან კომუნიკაციით, ქსოვას, ქარგვას, თექაზე მუშაობასა და ბისერების გამოყენებასთან ერთად, ესეც ისწავლა. ალინას ხელსაქმე უკვე დამოუკიდებლად შეუძლია. მიუხედავად იმისა, რომ ხელსაქმეც და „ჰობი სტუდიაც“ ძალიან მოსწონს, სამომავლოდ სულ სხვა გეგმები აქვს – სკოლის წარჩინებულ მოსწავლეს იურიდიულ ფაკულტეტზე ჩაბარება და ადვოკატობა სურს.

მარინა წიქარიშვილის კიდევ ერთ მოსწავლეს, 11 წლის ანა აკოფიანს ქართულად გამართულად საუბარი უჭირს. ის წითელი სოფლის სომხურ სკოლაში სწავლობს და „ჰობი სტუდიაში“ მოსვლამდე მხოლოდ სომხურად საუბრობდა. აქ მოხვედრის შემდეგ კი ხელსაქმესთან ერთად ქართული და რუსული ენებიც ისწავლა. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან სასწავლო პროცესი მისთვის ცოტა დამღლელი იყო, სიზარმაცეს სძლია და ყველაფერი აითვისა. სურს, რომ „ჰობი სტუდიაში“ მანამდე დარჩეს, ვიდრე ამის შესაძლებლობა იქნება.

მარინა წიქარიშვილმა სკოლა „დანაშაულის პრევენციის ცენტრისა“ და „ქალი და ბიზნესის“ ფინანსური მხარდაჭერით დააარსა და პირველი მოსწავლეები 2015 წლის ივნისში მიიღო. მოსწავლეების მოზიდვა მარტივი საქმე არ აღმოჩნდა. მარინა წიქარიშვილი წლების განმავლობაში მარნეულში მეან-გინეკოლოგად მუშაობდა და ბევრი გოგონა სწო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედ მისი დახმარებით მოევლინა ამ ქვეყანას. ამბობს, რომ იცოდა, ვის რა შესაძლებლობა ჰქონდა და ამის მიხედვით დაუკავშირდა მათ ოჯახებს. თუმცა ყოველთვიური გადასახადის, 50 ლარის გამო, სწავლის დაწყება ყველა მსურველმა ვერ შეძლო. წიქარიშვილის თქმით, ამჟამად სკოლაში მხოლოდ ახლო მეზობლები სწავლობენ, ტრანსპორტირება რომ არ სჭირდებათ და შაბათ-კვირას გაკვეთილებზე სიარული უპრობლემოდ შეუძლიათ.

სწორედ ამის გამო სურს მარინა წიქარიშვილს სპონსორის მოძებნა და სწავლის საფასურის გაუქმება, რათა სკოლაში სიარული იმ გოგონებმაც შეძლონ, რომლებსაც ხელსაქმის ნიჭი აქვთ. ამ მიზნით მან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა და რეინტეგრაციის სამინისტროებს მიმართა, თუმცა შედეგად მხოლოდ ის მიიღო, რომ მარნეულის გამგებელი ექსკურსიების ფინანსურ უზრუნველყოფას დაჰპირდა.

„რეინტეგრაციის სამინისტროდან გამომყვა ერთი ქალბატონი. მივედით მარნეულის გამგებელთან და დაიწყეს საუბარი, რა უნდა გაკეთებულიყო რეინტეგრაციისთვის. ჩემი სკოლა კი სწორედ ამაზე იყო მორგებული. ვუთხარი, რომ, რაზეც ისინი საუბრობდნენ, ასეთი სკოლა უკვე არსებობს იქ და გოგონებს ხელსაქმესთან ერთად ქართულ ენასაც ვასწავლი, ისტორიულ ძეგლებზე ვუყვები და სხვადასხვა ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს ერთმანეთთან კომუნიკაციის საშუალებას ვაძლევ“.

თავდაპირველად სკოლაში სწავლა 12-მა გოგონამ დაიწყო, თუმცა მათგან მხოლოდ ექვსმა გააგრძელა. მონდომების, ნიჭისა და ნებისყოფის არქონის გამო, მათი ნაწილი „ჰობი სტუდიას“ გამოეთიშა. დაბრკოლებას ზოგჯერ მშობლებიც ქმნიან. თუკი მათი ნაწილი ყველაფერზე თანახმაა, ოღონდ მათმა შვილმა ხელსაქმე ისწავლოს, ნაწილს სასწავლო პროცესის მალე დასრულება სურს.

მარინა წიქარიშვილი თავისი პროფესიით თბილისსა და ლაგოდეხში კიდევ ორ ადგილზეა დასაქმებული. ამის გამო, მუდმივად გზაშია. მარნეულში პარასკევს საღამოს ჩადის, შაბათ-კვირას გაკვეთილებს ატარებს და თბილისში ორშაბათს დილით ადრე ბრუნდება, რომ სამსახურში არ დააგვიანოს.

რაზე იმუშავებენ მომავალი რამდენიმე გაკვეთილის განმავლობაში, ამას ერთად წყვეტენ, თითოეული მათგანის იდეებსაც ერთად ამუშავებენ და საერთო ვერსიაზე თანხმდებიან. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთს მძივებითა და საჭირო მასალითაც ეხმარებიან. სასწავლო წელი მალე დასრულდება და მსურველები სტუდიაში დამხმარეებად გადაინაცვლებენ, სადაც შეკვეთებზე იმუშავებენ და შესაძლოა, მცირედი შემოსავალიც მიიღონ, თუმცა მარინა წიქარიშვილი ამბობს, რომ ამისთვის ჯერ მათ მიმართ ცნობადობა უნდა გაზარდონ და მუდმივი მომხმარებელი იპოვონ.

განვლილი ერთი წლის შეფასებისას ამბობს, რომ ამის გაკეთება ღირდა. თუნდაც იმიტომ, რომ უკვე სხვა კულტურა შემოვიდა აქ 6 ბავშვი გაიზარდა და მისი წასვლის შემთხვევაში, ცოდნის სხვებისთვის გადაცემას ეს გოგონები შეძლებენ. გარდა ამისა, სკოლის გახსნას მისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან ქალთა სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გამოსულსა და სამსახურის გარეშე დარჩენილს ღრმა დეპრესიიდან გამოსვლაში სწორედ ეს დაეხმარა.

გოგონების მასწავლებელს მიღწეული შედეგი აღარ აკმაყოფილებს და უფრო მეტის გაკეთება სურს. უნდა, რომ სპონსორის დახმარებით სტუდიის ზედა სართულზე მდებარე ფართი შეიძინოს და სტილისტისა და კულინარიის კურსებისთვის ოთახები მოაწყოს. ამასთანავე მარინა წიქარიშვილს სურს, „ჰობი სტუდიის“ მსგავსი სკოლები სხვებმაც გახსნან და მსურველებს დახმარებას ჰპირდება.

მისი კიდევ ერთი იდეა მარნეულში მცხოვრები ბიჭებისთვის რაიმე ხელობის, თუნდაც ხეზე მუშაობის სწავლებაა, რისთვისაც მასწავლებლებს თბილისიდან მიიწვევდა. თუმცა იმასაც ამბობს, რომ, ტრადიციებისა და სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, იქაური ბიჭებიდან ამის სურვილი მხოლოდ ერთი-ორს თუ ექნება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰობოს დავამახსოვოთ აზარტი

აზარტომანია დაავადებაა. ვალი, ლომბარდში ჩადებული სახლი, მანქანა, ნივთები, თამაშში დაკარგული წლები, სუიციდი – ეს აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების ყოველდღიურობაა. მიუხედავად ამისა, ხელისუფლებას სათამაშო ბიზნესის რეგულირებაზე ამ დრომდე არ უფიქრია. ქვეყანაში ასევე არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულ ადამიანებს ფსიქოსოციალურ დახმარებას შესთავაზებს.

ნათია ამირანაშვილი

გიგი 12 წლის იყო, აზარტული თამაშები რომ დაიწყო. ფეხბურთი უყვარდა. მეგობრებისგან გაიგო, რომ შეეძლო ტოტალიზატორში თანხა დაედო და უფრო მეტი მოეგო. დაინტერესდა, დაიწყო 1 ლარით, შემდეგ თანხა ნელ-ნელა გაზარდა – 2 ლარი, 5 ლარი. უთხრეს, რომ ასე უფრო მარტივად მოიგებდა. შეჰყვა თამაშს და ბოლოს მიხვდა, რომ ამასობაში ძალიან ბევრი წელი გასულა. მიხვდა მაშინ, როდესაც უამრავი ვალის, მეგობრებთან და მშობლებთან გაფუჭებული ურთიერთობის შემდეგ თვითმკვლელობა სცადა.

„18 წლის ვიყავი, ონლაინტოტალიზატორები და ონლაინკაზინოები რომ შემოვიდა. ამან უფრო გამიმარტივა საქმე. ახლა უკვე სახლიდან გაუსვლელად შემეძლო დამედო ფსონი. შემდეგ შემოვიდა რულეტკა, პოკერი და გადავედი ამაზე. ონლაინკაზინოები ბევრად „გიიოლებს" საქმეს და ტოტალიზატორისგან განსხვავებით ბევრად დამლუპველია. ტოტალიზატორში თანხას დებ და ელოდები. სულ პროცესში არ ხარ. უყურებ ფეხბურთს და ა.შ. ონლაინკაზინოში კი მომენტალურად იგებ და აგებ. თანხაც მომენტალურად გერიცხება. რულეტკის ბორბალზე თავიდან სათამაშოდ 3 თუ 4 ლარით დავჯექი და უცებ 20 ლარი მოვიგე. ამან უფრო გამათამამა. ვიფიქრე, სად ფეხბურთის ყურება და შედეგის ლოდინი, რულეტკაზე უცებ მოვიგებდი თანხას. უცებ კი მოვიგე, მაგრამ შემდეგ უცებვე წავაგე, დამჭირდა ნივთების დალომბარდება, ვიფიქრე, რომ მარტივად ვიგებ და გამიმართლებდა", – ამბობს გიგი.

როგორც ის ამბობს, ფული თუ აღარ გაქვს, კაზინოებთან იქვე არის ლომბარდები, ონლაინთამაშებისთვის არსებობს ონლაინსესხი. თანხას მომენტალურად გირიცხავენ ანგარიშზე, რაც, ფაქტობრივად, წაგებულია.

„კაზინოებში არც გასასვლელი ჩანს. ჩაბნელებული ოთახია, ყავა და გამაგრილებელი სასმელები უფასოა. ურჩევნიათ, თუ რამე დაგჭირდა, იქვე მოგიტანონ, ვიდრე გარეთ გახვიდე. როდესაც „ფიშკებს" ყიდულობ, უფრო მარტივად დებ ფსონს, იმიტომ რომ ფული არ გიჭირავს ხელში, 100-ლარიანი კი შეიძლება ვერ გაიმეტო", – ამბობს გოგა, რომელიც ფსიქოსოციალურ ცენტრ „კამარაში" გიგისთან ერთად დადის.

როდესაც გიგი მიხვდა, რომ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულია, 25 წლის იყო. სულ კომპიუტერთან იჯდა, სხვა არანაირი ინტერესი არ ჰქონდა – კლუბში წასვლა, მეგობრებთან გართო-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფოტო: ლევან ხარაძისაგან

აზარტის ქსელი. „კამარის“ ბენეფიციარების ნამუშევარი

ბა, თუნდაც ახალი ტანსაცმლის ყიდვა. რაც ფული ჰქონდა, 50 თეთრიც კი ანგარიშზე შეჰქონდა. ასე გადიოდა მისი ყოველი დღე.

„რეალურად, ფული სხვა ყველაფერში გენანება. როდესაც იქ შეგაქვს და თუნდაც აგებ, უკვე აღარ გენანება. დამოკიდებულება აქვს ასეთი, გითრევს, ფაქტობრივად, გეუბნება, რომ უნდა შემოიტანო ფული, თითქოს ჰიპნოზს გიკეთებს და შენც შეგაქვს. მაგ დროს შეგიძლია, რომ ფეხით გაიარო დიდი მანძილი და ავტობუსის ფულიც კი იქ შეიტანო. არც მოგება აღარ არის საინტერესო და არც წაგება, ნელ-ნელა თანაბრდება ეს შეგრძნებები, როცა თამაშის პროცესში ხარ, აღარაფერი აღარ გაინტერესებს. რეალობიდან ხარ გასული. ამ დამოკიდებულებას საბოლოოდ მოჰყვა ამდენი ვალი, მეგობრებთან გაფუჭებული ურთიერთობა, მშობლებთან დაძაბული ურთიერთობა და ბევრი წლის ძილში დაკარგვა. ძილს დავარქმევ ამას“, – ამბობს გიგი.

გიგის თქმით, მასზე აზარტული თამაშების რეკლამა ძალიან მოქმედებდა. რამდენჯერმე უფიქრია კიდეც, რომ სხვა რამე გაეკეთებინა „მაგრამ ისეთი შემოთავაზებები ჰქონდათ... სხვადასხვა ვებგვერდზე რომ შედიხარ, მთელ ეკრანზე ვარდება ონლაინკაზინოს რეკლამა, ისეთი შემოთავაზება აქვთ, რომ ინტერესდები. ინტერესდები და შემდეგ, რა თქმა უნდა, თამაშობ“.

სუიციდის მცდელობის შემდეგ იფიქრა, რომ მის ცხოვრებას აზრი აღარ ჰქონდა. შემდეგ კი ფსიქოსოციალურ ცენტრ „კამარის“ შესახებ გაიგო. დედამ ურჩია, ეცადა. ფსიქოლოგებს სკეპტიკურად უყურებდა, მაგრამ რაღაცნაირად დაიყოლიეს.

„ვცადოთ, შენი რა მიდისო და მივედი. ისე მესაუბრნენ, იმედი გამიჩნდა. ძალიან ეფექტიანი გამოდგა ეს მეთოდი. მე თვითონაც არ მჯეროდა, პირველი საუბრისთანავე იმედი რომ ჩამესახა. მერე კიდევ მივედი ცენტრში. ნელ-ნელა დავინახე, რომ იქ ხალხს სხვადასხვა პრობლემა აქვს, მათ შორის – ჩემნაირიც. შევხედე, ხალხი მუშაობს, რაღაცაც ქმნიან, შრომობენ. ვიფიქრე, რომ მეც ჩემი აზარტულობა ამ მხრივ უნდა მიმემართა. ნელ-ნელა შევყევი მკურნალობას, თერაპიას. მეც ვერ გავიგე, ისე ჩავერთე ამაში. ნელ-ნელა მოვუკელი თამაშს. შემდეგ უკვე თერაპიამ, წერამ, სიმღერამ, იოგას ვარჯიშმა თამაშის სურვილი დაძლია და საბოლოოდ გააქრო. ახლა საერთოდ გახედვა აღარ მინდა იქით“, – ამბობს გიგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფსიქოსოციალური რეაბილიტაცია

ნინო კომახიძე ფსიქოსოციალურ ცენტრ „კამარის" ფსიქოლოგია. ცენტრში, სადაც სხვადასხვა დამოკიდებულებას მკურნალობენ, ამბობენ, რომ ბოლო პერიოდში აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების მიმართვიანობამ იმატა.

ფსიქოლოგის თქმით, განსხვავებით ნარკოტიკზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულებისგან, გემბლინგის (აზარტომანიის) მკურნალობა გაცილებით რთული სამართავია, რადგან ამ შემთხვევაში ადამიანს ფიზიკური დამოკიდებულება ნივთიერების მიმართ არ აქვს, ის მხოლოდ ფსიქოლოგიურადაა მიჯაჭული.

„ძალიან ბევრმა არ იცის, რომ გემბლინგი დაავადებაა, მას უყურებენ, როგორც მავნე ჩვევას. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ოჯახის წევრებს, თავად ამ ადამიანებს ჰქონდეთ სწორი ინფორმაცია, რასთან აქვთ საქმე. თავიდან შეიძლება ეს იწყებოდეს, როგორც უბრალოდ გართობა და განტვირთვა, მაგრამ საბოლოოდ შეიძლება მიგვიყვანოს ძალიან სერიოზულ დაავადებასთან", – ამბობს კომახიძე.

როგორია ამ დაავადების ტიპოლოგია – ფსიქოლოგი, „კამარის" ხელმძღვანელი ნათია ფანჯიკიძე ამბობს, რომ ლუდომანიის, იმავე აზარტულ თამაშზე დამოკიდებულების შემთხვევაში, არანაირი ნივთიერება, რომელსაც შეიძლება ტვინში ცვლილების გამოწვევა დაბრალდეს, არ არსებობს. დამოკიდებულების პათოლოგია, იქნება ეს ნივთიერებაზე დამოკიდებულება, თამაშზე, თუ სხვა, გამოწვეულია ტვინის ემოციური ცენტრის – ლიმბური სისტემის ცვლილებით. ცვლილებას იწვევს ინტენსიური მონაცვლეობითი განცდა, რაც თამაშის, მოგებისა და წაგების პროცესს ახლავს. შედეგად, ისეთივე დაზიანება ხდება, როგორც წამალდამოკიდებულების დროს. უმეტეს შემთხვევაში, პათოლოგიური მიჯაჭვულობა, დამოკიდებულება კავშირშია სხვა სულიერ პრობლემასთან, რაც მეტად განაწყობს ფსიქიკას, იოლად გახდეს დამოკიდებული აკვიატებულ ქცევაზე და საბოლოოდ ტვინის ლიმბურ სისტემაში მოხდეს სერიოზული ფუნქციური და სტრუქტურული ცვლილებები.

მისი თქმით, გარდა უამრავი მსუბუქი თუ მძიმე სულიერი პრობლემისა, სოციალური ფონი, უიმედობა, გაჭირვება დიდი ბიძგია, მეტი ადამიანი მოექცეს დაავადების რისკის ქვეშ. ამავე დროს არასრულწლოვნებს მეტი რისკის ქვეშ აყენებს უკონტროლო ონლაინშესაძლებლობა, რადგან მოზარდობისას ფსიქიკა ფორმირების პროცესშია და იოლად ზიანდება.

კომახიძის თქმით, როგორც ყველა სხვა დამოკიდებულებას, აზარტომანიასაც სჭირდება მედიკამენტოზური დახმარება. თუმცა განსხვავებით ნარკოდამოკიდებულებისგან, აზარტომანიის მკურნალობისას წამყვანი ფსიქოლოგიური თერაპიაა. რაც შეეხება ფსიქოთერაპიის მეთოდებს, „ეს მეთოდი გულისხმობს ინტენსიურ შეტევას ბენეფიციარზე სხვადასხვა ფსიქოლოგიური მეთოდით, როგორიც არის: არტ-თერაპია, ინდივიდუალური თერაპია, კოგნიტური თერაპია, ფსიქოანალიზი, მეთოდრამა, ბიბლიოთერაპია და სხვა. გარდა ფსიქოთერაპიისა, გვყავს ფსიქიატრი და მედიკამენტოზურ დახმარებასაც უზრუნველვყოფთ. უცხოეთში აზარტომანიით დაავადებულ ადამიანებს სტაციონარის პირობებშიც მკურნალობენ, თუმცა ჩვენ სტაციონარი არ გვაქვს", – ამბობს კომახიძე.

მისი თქმით, ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი მეთოდი ჯგუფური თერაპია, როდესაც ადამიანი ხედავს, რომ მხოლოდ მას არ აქვს ასეთი პრობლემა და, რაც მთავარია, ამ პრობლემის დაძლევა შესაძლებელია.

„ჯგუფური თერაპიის დროს გვყავს ხოლმე ის ადამიანები, ვინც უკვე გადალახა ეს პრობლემა და ისინი ხედავენ ამას. არსებობს მითი, რომ ყოფილი მომხმარებელი, ყოფილი მოთამაშე არ არსებობს, თუმცა ნამდვილად არსებობს. რემისია შეიძლება იყოს 20-წლიანი, 30-წლიანი, ცხოვრების ბოლომდე. ჩვენ გვყავს ცენტრში ადამიანები, რომლებიც წლობით აღარ ეკარებიან არაფერს. ეს ფაქტორი მათთვის არის ხოლმე ძალიან დიდი სტიმული, რომ ამ ყველაფრიდან გამოსავალი არსებობს", – ამბობს კომახიძე.

იგი ამბობს, რომ ფსიქოთერაპიის კურსი, საშუალოდ, 6 თვე გრძელდება, თუმცა მკურნალობის ხანგრძლივობა და შედეგი პაციენტის მზადყოფნასა და მოტივაციაზეა დამოკიდებული.

„მკურნალობის დასაწყებად თავდაპირველად მნიშვნელოვანია ადამიანის ნება, რომ მას სურს, თავი დააღწიოს დამოკიდებულებას. საზღვარგარეთ ხდება ხოლმე ტესტირება მოტივაციაზე – ადამიანი სამკურნალოდ რომ მიდის, თუ აღმოჩნდება, რომ მისი მოტივაცია საკმარისი არ არის, საერთოდ არც იღებენ. მოტივაციაზე მუშაობა არის ყველაზე რთული, მაგრამ პაციენტი თუ მივა იქამდე, რომ მას ნამდვილად უნდა მკურნალობა, ეს არის 60-70% გამოჯანმრთელების, შემდეგ ჩვენ, უბრალოდ, ვეხმარებით გადაწყვეტილების ხორცშესხმაში", – ამბობს კომახიძე.

რეგულირება – რა ალტერნატივა არსებობს

ნინო კომახიძე მიიჩნევს, რომ სათამაშო ბიზნესის რეგულირება აუცილებელია. მისი თქმით, სრულად აკრძალვა გამოსავალი ვერ იქნება, მაგრამ ქალაქში თუ საერთოდ აიკრძალება ასეთი დაწესებულებები, ეს ვითარებას უფრო გამოასწორებს და განსაკუთრებით დამწყები მოთამაშეებისთვის იქნება დამატებითი ბარიერი. მისი თქმით, კარგი იქნება, თუ განისაზღვრება მოგება-წაგების ზღვარი და ასევე მკაცრად გაკონტროლდება მოთამაშეთა ასაკი.

„რეკლამა უნდა იყოს აკრძალული. ხომ არავინ აკეთებს ჰეროინის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ლევან ხარებავლიანი

■ გიგის თქმით, მასზე აზარტული თამაშების რეკლამა ძალიან მოქმედებდა. რამდენჯერმე უფიქრია კიდეც, რომ სხვა რამე გაეკეთებინა „მაგრამ ისეთი შემოთავაზებები ჰქონდათ... სხვადასხვა ვებგვერდზე რომ შედიხარ, მთელ ეკრანზე ვარდება ონლაინკაზინოს რეკლამა, ისეთი შემოთავაზება აქვთ, რომ ინტერესდები. ინტერესდები და შემდეგ, რა თქმა უნდა, თამაშობ“.

რეკლამას?! თუ არსებობს პოზიცია, რატომ არ უნდა იყოს ჰეროინის რეკლამა, ზუსტად იგივეა აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით. ყველას კარგად ესმის, როგორი მნიშვნელოვანია გარდატეხის ასაკი, ამ დროს კი ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება რეკლამა, რომ მოდი და აღმოჩნდები ქვეყნიერების ცენტრში. რეკლამები არის სკოლებთან, სასწავლო დაწესებულებებთან. ეს კი განსაკუთრებით ახალგაზრდა თაობას აქეზებს თამაშისკენ. პატარა ასაკში ბევრად უფრო მარტივია, ჩამოგიყალიბდეს დამოკიდებულება, ვიდრე ზრდასრულ ასაკში. იოლი, უშრომელი ფულის ხელში ჩაგდებით იწამლები. ფიქრობ, რომ ძალიან მარტივია ფულის ამ გზით შოვნა. ეს გითრევს და შემდეგ აღმოჩნდება ისე, რომ სახლიდან ნივთები გაგაქვს. აღმოჩნდება, რომ ვალები გაქვს. მერე აღმოჩნდება, რომ სამი დღე ისე გავიდა, კაზინოდან არ გასულხარ. იქ არც საათია, არც განათება. ქმნიან ისეთ გარემოს, რომ გამოსვლა არ მოგინდეს“, – ამბობს კომახიძე და დასძენს, რომ რეგულაციების პარალელურად სკოლებში პრევენციული ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

რაც შეეხება სამკურნალო პროგრამებს, ქვეყანაში არ არსებობს სტატისტიკა, რამდენ ადამიანს სჭირდება დახმარება მკურნალობის მხრივ. არ არსებობს სახელმწიფო პროგრამა, რომელიც გემბლერებს დამოკიდებულების მოხსნაში დაეხმარება.

„სახელმწიფო ამ პრობლემით უნდა დაინტერესდეს. წაახალისოს კერძო სექტორი. მასშტაბი ამ სინდრომის კატასტროფულად დიდია და არაფერი არ კეთდება იმისათვის, რომ შემცირდეს და მასში ახალგაზრდები არ ჩაერთონ“,- ამბობს კომახიძე.

„ადამიანების ჯანმრთელობის აღდგენა ბევრად ძვირი დაგვიჯდება, როდისმე თუ ნორმალური ქვეყანა გავხდებით, ვიდრე კაზინოებიდან შემოსული ფული უშველის ეკონომიკას“, – აღნიშნა ნათია ფანჯიკიძემ.

რას ამბობს კვლევა

მოსახლეობის 6% აზარტული თამაშებითაა დაკავებული, – ასეთია საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, რომელიც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ „აზარტული თამაშები საქართველოში“ კვლევის ფარგლებში ჩაატარა, – 6%-იდან უმრავლესობა კი უპირატესობას ონლაინტოტალიზატორს ანიჭებს.

მოსახლეობის 2%-მა განაცხადა, რომ აზარტული თამაშების გამო, მას ან მისი ოჯახის წევრს მნიშვნელოვანი ფინანსური პრობლემა ჰქონია. კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობის ძალზე დიდი ნაწილი (92%) უარყოფითად არის განწყობილი ამ ინდუსტრიის მიმართ და მიაჩნია, რომ ის საერთოდ უნდა აიკრძალოს (63%) ან შეიზღუდოს (29%).

კვლევის მიხედვით, საქართველოში აზარტული მოთამაშეების რაოდენობისა და მათ მიერ წაგებული თანხის შესახებ სტატისტიკაც არ არსებობს. ორგანიზაციაში აღნიშნავენ, რომ ამ საკითხზე არ არსებობს სახელმწიფოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ წარმოებული კვლევა, რაც აზარტული თამაშებიდან მომდინარე რისკებს შეისწავლიდა და გამოავლენდა პრობლემის სიმძიმეს.

„ონლაინთამაშებში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა რეგისტრაციის მომენტში პირადობის მოწმობის მონაცემების შეყვანა, თუმცა მონაცემების სიზუსტის კონტროლის მექანიზმი ძალიან სუსტია. ჩვენ მიერ ჩატარებული ტესტის შედეგად, აზარტული თამაშების რამდენიმე ვებგვერდზე დარეგისტრირება შესაძლებელია პირადი ნომრის ველში ნებისმიერი თერთმეტნიშნა კომბინაციის შეყვანით, ასევე, რეგისტრაციის მომენტში არ მოითხოვება პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლის ატვირთვა და არ ხდება პერიოდულად მომხმარებლის

„ჩვენ მიერ ჩატარებული ტესტის შედეგად, აზარტული თამაშების რამდენიმე ვებგვერდზე დარეგისტრირება შესაძლებელია პირადი ნომრის ველში ნებისმიერი თერთმეტნიშნა კომბინაციის შეყვანით.“

იდენტიფიცირებისთვის საჭირო მონაცემების გადამოწმება“, – ნათქვამია კვლევაში.

TI-ის რეკომენდაციით, არასრულწლოვანთა აზარტულ თამაშებში ჩართულობის აღსაკვეთად აუცილებელია, აზარტული თამაშების ვებგვერდებზე რეგისტრაციის პროცესი დაიხვეწოს. კერძოდ, უნდა არსებობდეს პირის იდენტიფიკაციის სრულყოფილი მეთოდები. აუცილებელი უნდა იყოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლის ატვირთვა და თითოეული მონაცემის შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში გადამოწმება.

„ლიბერალთან“ საუბრისას კვლევის ხელმძღვანელი, TI-ის თანამშრომელი ლევან ნატროშვილი ამბობს, რომ საჭიროა, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები რეგულარულად აკვირდებოდნენ, სწავლობდნენ ამ კუთხით მიმდინარე მოვლენებს, აფასებდნენ რისკებს და ანალიზის საფუძველზე ხდებოდეს მოსახლეობის სწორი ინფორმირება, სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება.

„ჩვენ კონკრეტული რეკომენდაცია არ მიგვიცია, თუ რა უნდა გაკეთდეს, რადგანაც დიაგნოზი არ არსებობს, რა პრობლემებია ამ მხრივ, რამდენად ღრმაა, სად არის პრობლემა, ეს სანამ არ ეცოდინება სახელმწიფოს, იქ გამოსავალი რთული მოსაძებნია. უპირობოდ აკრძალვაც არ იქნება გამოსავალი, იმიტომ, რომ იატაკქვეშ გადაინაცვლებს ეს პრობლემა. საჭიროა რეგისტრაციის დარეგულირება, წაგების ლიმიტის განსაზღვრა. თუ გავიგებთ, რა და რა მასშტაბის პრობლემები გვაქვს, გამოსავალსაც მოვიფიქრებთ“, – ამბობს ნატროშვილი.

აღსანიშნავია, რომ აზარტული თამაშების ბიზნესის ბრუნვამ 2014 წელს 658 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ამ ბიზნესში ჩართული კომპანიების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილმა გადასახადმა (საშემოსავლო, დღგ, მოგების) და მოსაკრებელმა 177.5 მლნ ლარს მიაღწია, რაც ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების 2.3%-ია.

აღსანიშნავია, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დეპუტატმა კობა დავითაშვილმა აზარტული თამაშების აკრძალვის შესახებ კანონპროექტი მოამზადა. პროექტის მიზანი საინფორმაციო სივრცეში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში რეკლამის აკრძალვა იყო. კანონპროექტის ავტორის თქმით, აღნიშნული რეგულაციები აზარტული თამაშებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებას შეამცირებდა, თუმცა 2013 წელს მერვე მოწვევის პარლამენტმა აღნიშნულ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა.

მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა დავითაშვილის კანონპროექტზე განაცხადა, რომ ინიციატივამ ბევრი ინვესტორი გააჩერა. მისი თქმით, ეს ფრთხილი საკითხია, რომელიც კარგ განხილვას მოითხოვს. „ინვესტორებსა და ბიზნესმენებს ანგარიშის გაწევა სჭირდებათ“.

„შეიძლება კაზინოებისთვის სპეციალური ადგილები ვნახოთ, რომ მოსახლეობას ის სახლებად არ ჰქონდეთ და ახალგაზრდები მაქსიმალურად არ იყვნენ ჩართულნი. ზედმეტი რეკლამაც არ იყოს მასთან დაკავშირებით“, – განაცხადა ივანიშვილმა.

2015 წლის დეკემბერში, როდესაც გიორგი კვირიკაშვილი პრემიერობის კანდიდატი იყო, განაცხადა, რომ ინტერნეტკაზინოები, სათანადო რეგულაციების არარსებობის გამო, ქვეყნის მოსახლეობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს. ამის შესახებ კვირიკაშვილმა პარლამენტის რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე თქვა, სადაც საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს განიხილავდნენ. როგორც მან აღნიშნა, ამ საკითხს საფუძვლიანად შეისწავლიდა.

რაც შეეხება კაზინოებს, როგორც კვირიკაშვილმა აღნიშნა, თუ არის რაიმე ტიპის დამატებითი რეგულაცია საჭირო, მთავრობა ამას შეისწავლის, თუმცა ამ ბიზნესს არაფერი არ უნდა დაემუქროს, რადგან ის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯადო“, გიგის ნამუშევარი

მითხრეს, რომ დამეხატა არარსებული ცხოველი. დავხატე და შემდეგ გამოვაქანდაკე. ეს ჯადო მე ვიყავი. ნამუშევარს გვერდით აქვს რულეტკის ბორბალი, ასევე ობობის ქსელი და საათი. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ყველაფერში გახლართული ვიყავი.

მიუხედავად ამ განცხადებებისა, ამ დრომდე მთავრობის მხრიდან სათამაშო ბიზნესის რეგულირების მხრივ არანაირი ინიციატივა არ ყოფილა.

სახელმწიფო რომ აზარტული თამაშების ჩარჩოებისა და შეზღუდვებისგან თავს იკავებს, ამას დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყელამაძე ამბობს. მისი თქმით, ბიზნესი, რომელიც განვითარებულია და მუშაობს, არ შეიძლება ისე აკრძალო, რომ ალტერნატივა არ შესთავაზო. „ან უნდა გადაუხადო კომპენსაცია და დახურო, ან გამოუყო ადგილები, მისცე საშუალება, სხვაგან განვითარდეს ა.შ.“.

„ამ მიმართულებით კიდევ უფრო მოქნილია კანონმდებლობა. იცით, რომ იმ რეგიონებში სადაც ტურისტული ზონაა, დაბალია გადასახადი, მოსაკრებელი, ქალაქში კი საკმაოდ მაღალია და სწორედ იმიტომ, რომ ამან გარკვეულად შეზღუდოს ბიზნესმენი და დააინტერესოს, ბიზნესი ქალაქიდან გაიტანოს. ერთადერთი რეგულაცია, რაც შეიძლება უპრიანი და სწორი იყოს და, რომელიც შეიძლება გაკეთდეს, ის არის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეეზღუდოს თამაში. ბევრ ქვეყანაშია ასე – ადგილობრივ მოსახლეობას ეზღუდება, არასრულწლოვნებს კი 21 წლამდე ეკრძალებათ თამაში“, – ამბობს ტყემალაძე.

რაც შეეხება ჯანდაცვის სამინისტროს პოზიციას, თუ როგორ განიხილავს ის ლუდომანიას, უწყებაში აცხადებენ, რომ ვინაიდან ლუდომანია, თავისი არსით, წარმოადგენს ადიქციის (დამოკიდებულება) პრობლემას, მისი მკურნალობა მოითხოვს მულტიდისციპლინურ და სისტემურ მიდგომას.

ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიული გეგმის ფარგლებში ფსიქიკური აშლილობების პრევენციულ პროგრამებში აღნიშნული საკითხი აუცილებლად გაშუქდება. ამ მიზნით აუცილებელი იქნება აზარტული თამაშების საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება, რაც საზოგადოებასთან ფართო დიალოგის წარმოებით და მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ და პროფესიულ ჯგუფთან მუდმივი კომუნიკაციითა და საჭირო ინფორმაციის მიწოდების გზით იქნება შესაძლებელი. თუმცა უწყებაში ასევე ამბობენ, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული საკითხი არ განიხილება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიერ წარმოებული კვლევა, რაც აზარტული თამაშებიდან მომდინარე რისკებს შეისწავლიდა და გამოავლენდა პრობლემის სიმძიმეს.

„ონლაინთამაშებში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა რეგისტრაციის მომენტში პირადობის მოწმობის მონაცემების შეყვანა, თუმცა მონაცემების სიზუსტის კონტროლის მექანიზმი ძალიან სუსტია. ჩვენ მიერ ჩატარებული ტესტის შედეგად, აზარტული თამაშების რამდენიმე ვებგვერდზე დარეგისტრირება შესაძლებელია პირადი ნომრის ველში ნებისმიერი თერთმეტნიშნა კომბინაციის შეყვანით, ასევე, რეგისტრაციის მომენტში არ მოითხოვება პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლის ატვირთვა და არ ხდება პერიოდულად მომხმარებლის

„ჩვენ მიერ ჩატარებული ტესტის შედეგად, აზარტული თამაშების რამდენიმე ვებგვერდზე დარეგისტრირება შესაძლებელია პირადი ნომრის ველში ნებისმიერი თერთმეტნიშნა კომბინაციის შეყვანით.“

იდენტიფიცირებისთვის საჭირო მონაცემების გადამოწმება“, – ნათქვამია კვლევაში.

TI-ის რეკომენდაციით, არასრულწლოვანთა აზარტულ თამაშებში ჩართულობის აღსაკვეთად აუცილებელია, აზარტული თამაშების ვებგვერდებზე რეგისტრაციის პროცესი დაიხვეწოს. კერძოდ, უნდა არსებობდეს პირის იდენტიფიკაციის სრულყოფილი მეთოდები. აუცილებელი უნდა იყოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლის ატვირთვა და თითოეული მონაცემის შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებში გადამოწმება.

„ლიბერალთან“ საუბრისას კვლევის ხელმძღვანელი, TI-ის თანამშრომელი ლევან ნატროშვილი ამბობს, რომ საჭიროა, შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურები რეგულარულად აკვირდებოდნენ, სწავლობდნენ ამ კუთხით მიმდინარე მოვლენებს, აფასებდნენ რისკებს და ანალიზის საფუძველზე ხდებოდეს მოსახლეობის სწორი ინფორმირება, სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბება.

„ჩვენ კონკრეტული რეკომენდაცია არ მიგვიცია, თუ რა უნდა გაკეთდეს, რადგანაც დიაგნოზი არ არსებობს, რა პრობლემებია ამ მხრივ, რამდენად ღრმაა, სად არის პრობლემა, ეს სანამ არ ეცოდინება სახელმწიფოს, იქ გამოსავალი რთული მოსაძებნია. უპირობოდ აკრძალვაც არ იქნება გამოსავალი, იმიტომ, რომ იატაკქვეშ გადაინაცვლებს ეს პრობლემა. საჭიროა რეგისტრაციის დარეგულირება, წაგების ლიმიტის განსაზღვრა. თუ გავიგებთ, რა და რა მასშტაბის პრობლემები გვაქვს, გამოსავალსაც მოვიფიქრებთ“, – ამბობს ნატროშვილი.

აღსანიშნავია, რომ აზარტული თამაშების ბიზნესის ბრუნვამ 2014 წელს 658 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ამ ბიზნესში ჩართული კომპანიების მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდილმა გადასახადმა (საშემოსავლო, დღგ, მოგების) და მოსაკრებელმა 177.5 მლნ ლარს მიაღწია, რაც ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების 2.3%-ია.

აღსანიშნავია, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ დეპუტატმა კობა დავითაშვილმა აზარტული თამაშების აკრძალვის შესახებ კანონპროექტი მოამზადა. პროექტის მიზანი საინფორმაციო სივრცეში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში რეკლამის აკრძალვა იყო. კანონპროექტის ავტორის თქმით, აღნიშნული რეგულაციები აზარტული თამაშებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებას შეამცირებდა, თუმცა 2013 წელს მერვე მოწვევის პარლამენტმა აღნიშნულ კანონპროექტს მხარი არ დაუჭირა.

მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა დავითაშვილის კანონპროექტზე განაცხადა, რომ ინიციატივამ ბევრი ინვესტორი გააჩერა. მისი თქმით, ეს ფრთხილი საკითხია, რომელიც კარგ განხილვას მოითხოვს. „ინვესტორებსა და ბიზნესმენებს ანგარიშის გაწევა სჭირდებათ“.

„შეიძლება კაზინოებისთვის სპეციალური ადგილები ვნახოთ, რომ მოსახლეობას ის სახლებად არ ჰქონდეთ და ახალგაზრდები მაქსიმალურად არ იყვნენ ჩართულნი. ზედმეტი რეკლამაც არ იყოს მასთან დაკავშირებით", – განაცხადა ივანიშვილმა.

2015 წლის დეკემბერში, როდესაც გიორგი კვირიკაშვილი პრემიერობის კანდიდატი იყო, განაცხადა, რომ ინტერნეტკაზინოები, სათანადო რეგულაციების არარსებობის გამო, ქვეყნის მოსახლეობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს. ამის შესახებ კვირიკაშვილმა პარლამენტის რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე თქვა, სადაც საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და სამთავრობო პროგრამისთვის ნდობის გამოცხადების საკითხს განიხილავდნენ. როგორც მან აღნიშნა, ამ საკითხს საფუძვლიანად შეისწავლიდა.

რაც შეეხება კაზინოებს, როგორც კვირიკაშვილმა აღნიშნა, თუ არის რაიმე ტიპის დამატებითი რეგულაცია საჭირო, მთავრობა ამას შეისწავლის, თუმცა ამ ბიზნესს არაფერი არ უნდა დაემუქროს, რადგან ის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ჯადო", გიგის ნამუშევარი

მითხრეს, რომ დამეხატა არარსებული ცხოველი. დავხატე და შემდეგ გამოვაქანდაკე. ეს ჯადო მე ვიყავი. ნამუშევარს გვერდით აქვს რულეტკის ბორბალი, ასევე ობობის ქსელი და საათი. ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ყველაფერში გახლართული ვიყავი.

მიუხედავად ამ განცხადებებისა, ამ დრომდე მთავრობის მხრიდან სათამაშო ბიზნესის რეგულირების მხრივ არანაირი ინიციატივა არ ყოფილა.

სახელმწიფო რომ აზარტული თამაშების ჩარჩოებისა და შეზღუდვებისგან თავს იკავებს, ამას დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ ტყელამაძე ამბობს. მისი თქმით, ბიზნესი, რომელიც განვითარებულია და მუშაობს, არ შეიძლება ისე აკრძალო, რომ ალტერნატივა არ შესთავაზო. „ან უნდა გადაუხადო კომპენსაცია და დახურო, ან გამოუყო ადგილები, მისცე საშუალება, სხვაგან განვითარდეს ა.შ.".

„ამ მიმართულებით კიდევ უფრო მოქნილია კანონმდებლობა. იცით, რომ იმ რეგიონებში სადაც ტურისტული ზონაა, დაბალია გადასახადი, მოსაკრებელი, ქალაქში კი საკმაოდ მაღალია და სწორედ იმიტომ, რომ ამან გარკვეულად შეზღუდოს ბიზნესმენი და დააინტერესოს, ბიზნესი ქალაქიდან გაიტანოს. ერთადერთი რეგულაცია, რაც შეიძლება უპრიანი და სწორი იყოს და, რომელიც შეიძლება გაკეთდეს, ის არის, რომ ადგილობრივ მოსახლეობას შეეზღუდოს თამაში. ბევრ ქვეყანაშია ასე – ადგილობრივ მოსახლეობას ეზღუდება, არასრულწლოვნებს კი 21 წლამდე ეკრძალებათ თამაში", – ამბობს ტყემალაძე.

რაც შეეხება ჯანდაცვის სამინისტროს პოზიციას, თუ როგორ განიხილავს ის ლუდომანიას, უწყებაში აცხადებენ, რომ ვინაიდან ლუდომანია, თავისი არსით, წარმოადგენს ადიქციის (დამოკიდებულება) პრობლემას, მისი მკურნალობა მოითხოვს მულტიდისციპლინურ და სისტემურ მიდგომას.

ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგიული გეგმის ფარგლებში ფსიქიკური აშლილობების პრევენციულ პროგრამებში აღნიშნული საკითხი აუცილებლად გაშუქდება. ამ მიზნით აუცილებელი იქნება აზარტული თამაშების საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება, რაც საზოგადოებასთან ფართო დიალოგის წარმოებით და მოსახლეობის სხვადასხვა ასაკობრივ და პროფესიულ ჯგუფთან მუდმივი კომუნიკაციითა და საჭირო ინფორმაციის მიწოდების გზით იქნება შესაძლებელი. თუმცა უწყებაში ასევე ამბობენ, რომ ამ ეტაპზე აღნიშნული საკითხი არ განიხილება.

სხვა სივრცე

ლუიზა ჩალათაშვილი

სადაც ვიზრდებოდი, იქ მხოლოდ ორსართულიანი სახლები იდგა ეზოებით. მიყვარდა ხეებზე ძრომიალი და ვერც კი წარმომედგინა, რომ ბავშვებისთვის, რომლებიც თბილისში ცხოვრობდნენ, მრავალსართულიანი სახლების სახურავები იყო გართობის საყვარელი საშუალება. ამის შესახებ არც არაფერი ვიცოდი, სანამ სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ სრულიად შემთხვევით ერთ-ერთი სახლის სახურავზე არ აღმოვჩნდი. აღმოვჩნდი და აღმოვაჩინე სხვა სივრცე – სივრცე, რომელიც აქვეა, თუმცა სრულიად განსხვავებული.

ნანახმა იმდენად მომხიბლა, რომ სხვადასხვა შენობის სახურავების გადაღება გადავწყვიტე. ამ თემაზე მეგობრებს ვესაუბრე და გავიგე, რომ ერთ დროს სახურავები არ იყო მიტოვებული, იქ ხალხი ადიოდა, ისვენებდა, ერთობოდა; ბავშვები თამაშობდნენ. დღეს კი ამავე სახურავებზე სიცარიელეს და სიმარტოვეს დაუსადგურებია. ადიხარ და რჩები მარტო თავთან და ქალაქთან.

სახურავიდან ქალაქი სხვანაირია. განსხვავებულად აღიქმება ყოველი შენობა, ქუჩა. თბილისში თურმე ხეები ისევ დგანან... ყველა სახურავი, მისთვის დამახასიათებელი ნიშნებით, ავტონომიაა ქალაქ-სახელმწიფოში. აქ ყველგან განსხვავებული, ახალი სივრცეა, სადაც შეგიძლია მანქანებით გადატვირთულ, ხმაურიან ქალაქს გაექცე ამავე ქალაქში.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფოთი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემი საზაფხულო არდადეგები

გიორგი კეკელიძე

ჩვენ სხვანაირი ბავშვობა გვქონდა. სხვისას არ ჰგავდა. არც გამხმარ პურს ვჭამდით და არც შოკოლადის კარაქიანს. არ იყო ეს უკიდურესი სიღარიბე და რა გასაკვირია, რომ არც სიმდიდრე არ იყო. არც მწუხარება და არც სიხარული. არც ტყვეობა და არც თავისუფლება. სადღაც შუაში ვიყავით გაჩხერილები მამიდაშვილების გამონაცვალი შარვლებით, შარვლებში ნაკლეიკებით და რუმინეთიდან ბიცოლა-ჩვენის ჩამოტანილ რეზინებს ვღეჭავდით და ვბერავდით, მაგრამ, ერთი დიდი და მნიშვნელოვანი ამოვარდნა გვეგულებოდა იმ დროს – საზაფხულო არდადეგები. განა რამე იცვლებოდა კალენდარში რიცხვების გარდა. იგივე ხიდი იდგა და მდინარეში იმავე ხიდიდან ვხტებოდით. იგივე მდინარე ჩამოდიოდა. იგივე ღობეები, იგივე ლოგინები და იგივე სიზმრები. და წვიმის ხმა ოჭვათოში – ძალიან იგივე. მაგრამ ზაფხულის არდადეგებს მაინც საგანგებო სუნთქვით ვხვდებოდით, რადგან ეს შეუმჩნეველი ოცნება იყო ნამდვილ არდადეგებზე. მოგზაურობებითა და თავგადასავლებით სავსე არდადეგებზე. სიახლეებითა და გაკვირვებით სავსე არდადეგებზე. და გვიხაროდა, რადგან ვიცოდით ან უფრო ზუსტად: ვგრძნობდით, რომ ზაფხულის არდადეგები გულისხმობდა სხვა ამბებს, რომელიც შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ვერასოდეს მოხდებოდა. ამ უცხო ტვირთით მოვედით ჩვენ. სხვა ვერ გაიგებს ამ სიმძიმეს და სიმსუბუქეს. გაუგებარ სიხარულს. შეიძლება, ბოლომდე ჩვენც ვერ გავიგოთ ჩვენი ნელ-თბილი ბავშვობა, დიდი ამოვარდნით, დიდი სიცხით – საზაფხულო არდადეგებით.

და კიდევ ერთი – ზაფხულში წიგნები უნდა გვეკითხა. ამ საქმის დროდ მიიჩნეოდა.

კარგ ამინდებში ეზოში ზეწარს დამიგებდნენ და ვწვებოდი. წიგნი უნდა წამეკითხა. ცაზე ღრუბლების მეზობლის ცხვირებისთვის მიმსგავსება მალე გბეზრდება. წიგნის ყდაზე ჭიანჭველების წვალებაც. ხან ცაში თვითმფრინავის ხმა ისმის. ზუილი. თითქოს ღრუბლების თავის ტკივილის ხმა. ამ დროს ეგ არის, რომ ხმა ერთი მხრიდან ისმის და თვითმფრინავი სხვაგანაა. ძნელია თვალის მოკვრა. გამოცვივდებიან მეზობლები: ტრანტალიოტი, ტრანტალიოტი და რა გასაკვირია, ვერც ეგენი ხედავენ. მე ეს ხმა მგონია ყველაზე მისტიკური აქამდე ყურმოკრულთაგან. მინიშნებების ძნელად მჯერა, თორემ ვიტყოდი: რაღაცის კარნახი, გამოუცნობის. წუხელ შუაღამემდე ფანჯარასთან ვიჯექი და ამ ხმაზე ვფიქრობდი. აქ არასდროს გამიგონია. ეტყობა, სხვა ხმები ფარავს.

სხვა არის ათასჯერ გადაკითხული ბიბლიოთეკის ოთახში ათასმეერთედ შესვლა. წიგნების ძველ კარადას ხის მტარვალ მწერთა შესამუსრად ძნელად შესამჩნევ ხვრელებში ნავთი აქვს ჩაწვეთებული. შესაბამისად, მძაფრი სუნი იგრძნობა. ეს ნონას წესია. გადმოიღებ, შეიძლება წაკითხული გაქვს, მაგრამ ძველი ნივთი სხვა რამესაც ნიშნავს. ხან უფრო მეტს, ვიდრე ის წიგნია. მინაწერები – პატრიოტული, სამიჯნურო თუ სულაც საყოფაცხოვრებო. არც კი ვიცით, ვისი. მაგალითად, ვკითხულობთ რომანს „სამამულო ომზე“. თითქმის ყველა გვერდზე არის სხვადასხვაფერი მელნით მიწერილი „სიკვტილი ფაშისტ ოკუპანტებს“ /ბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კენტი, 1967. ან ელიჩკა 1970. თან ყველგან „სიკვ-ტ-ილი“. ეს უკანასკნელი კი „გურული კოინეს“ ნიშანია და ყველაფერი ცხადია, მაგრამ თვითონ სურვილი, რომ სხვადასხვა ადამიანს ასე ხმაშეწყობით დაედასტურებინა ანტიფაშისტური განწყობა, დიდად გასაგები ამბავი ნაღდად არ არის. ეგებ, უბრალოდ თავის გართობის უცნაური ხერხი იყო; ეგებ, საბჭოთა მკითხველის თვითნაკარნახევი ვალი. ჰო, რომანი ეკუთვნის ელიზბარ მაისურაძეს, სახელი მისი – „სევასტოპოლის დღეები“. ზოგან შენიშნავთ – „მე ამან და ამან ვითხოვე ეს წიგნი და მომეწონა“ ან „წავიკითხე პატივცემული შაქროს რჩევით ეს რომანი და ძალიან კარგია“. ვანო ურჯუმელაშვილის „ფერისცვალება“. ნახევრადსატრფიალო ჟანრის. რაღაც ამბები ვითარდება პარტიული წინსვლის პარალელურად – კლასიკური ინტრიგები, ცოტა ცრემლი და ცოტაც სექსი რომ უნდა იყოს და იმის მაგივრად ჩახუტებაა. მაგრად ჩახუტება. ჰოდა, მანდ არის თუ არის, რაგინდარა ხასიათის, ციტატა თუ ორიგინალი – „საიდუმლო ბარათო, გითხრეს ექმენ მარადო“, „გამიცრუა ამ ყმაწვილმა იმედები, არადა, თავიდან გულისხმიერი ჩანდა“, „გადავიკითხე ფურცლები, გული მწველ ცეცხლზე ეკიდა, დამეწვა, არ ჩანს ნაცარიც, არც წვიმა მოდის ზეციდან“, „მე არ მეგონა, თუ მანონის ამბავზე უფრო საინტერესო წიგნს წავიკითხავდი“ და უცებ, იმავე გვერდზე – ქვეშმიწერით გამრავლების მეთოდით რაღაც ციფრებს ანგარიშობენ. ეს უკვე ფანქრითაა, სხვათა შორის, დანარჩენი მელნით იყო. მელნითვე იყო ერთი წარწერა, რომელიც ამირანს სამჯერ შეეჩეხა „ეთერიანის“ ფურცვლისას – „შენ კი იბრალებდი ჩემ სიყვარულს, მაგრამ ანას სახელით ეშმა გამოგეცხადა და გამოგცადა. მე წავალ და შენ ინანებ. 1953 წელი“ და წიგნის ბოლოს, სადღაც მურმანის ეკალთან მიწერილი მოულოდნელი წინადადება – „ერთი კონა კლიავი ეყოფა“. რას ეყოფა? ლობიოს, ცერცვს? ვინ იცის. არავინ.

ჩვენი საზაფხულო არდადეგები. ნელ-თბილი ბავშობიდან ამოვარდნა. იმავე წიგნების მეასედ მიგნებით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბუნებრივია, სიყვარული ეს ის გრძნობაა, რომელსაც ეძღვნება ყველა წიგნი. ზოგადად, წიგნი, რომელშიც სიყვარული არ არის – სიყვარული ქალისადმი, ღმერთისადმი, იმისადმიც კი, რაც საერთოდ არ არის საყვარელი, ალბათ, წიგნიც არ არის. სიყვარული და სიძულვილი ხომ ნამდვილი ლიტერატურის ბუნებრივი და მთავარი თემებია.

პარალელურად, არსებობს წიგნები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ სიყვარულზეა – ამ გრძნობის შესახებ შექმნილი თეორიული ნაშრომები, რომლებიც არა მედიცინისა თუ ფიზიოლოგიის დარგს, არამედ ლიტერატურას მიეკუთვნება.

ასეთი უცნაური სიმბიოზი – ლიტერატურული თეორია სიყვარულის შესახებ, ჩემი აზრით, კაცობრიობის ისტორიაში მხოლოდ ორ ნაშრომს შეიძლება მიემართებოდეს: პლატონის – „ნადიმს“ და ანრი ბეილის, ანუ ფრედერიკ სტენდალის ტრაქტატს „სიყვარულის შესახებ“.

ორივე ნაწარმოები ღრმა იდეოლოგიითაა გამსჭვალული. ეს ხომ სიყვარულის დამამკვიდრებელი ნაშრომებია – ერთიცა და მეორეც წარმოუდგენლად მიიჩნევს ვითარებას, რომ სიყვარული არ არსებობდეს. ამის მიუხედავად, განსხვავებულია ავტორთა მიდგომა: პლატონთან ეს არის თეორია, რომელსაც რამდენიმე ადამიანი წარმოადგენს, ავტორის აზრით კი, მხოლოდ ერთი მათგანია მართებული. მეორე მხრივ, მკაცრი, მტკიცებითი ტონი აქვს სტენდალს, რომელიც გვიხსნის – სიყვარული ასეთი და ასეთიაო.

ორივე შემთხვევაში მაგიური რიცხვი – 7 ფიგურირებს. პლატონთან ეს არის სიყვარულის განმარტების 7 საფეხური, ხოლო სტენდალთან თავად სიყვარულს აქვს 7 საფეხური. ეს მაგიური რიცხვი ძალიან მნიშვნელოვანი აღმოჩნდა საუკუნეებით დაშორებული ორივე ავტორისთვის.

პლატონის „ნადიმში“ მსჯელობენ სიყვარულის, ეროსის ბუნების შესახებ. პირველი სიტყვა უთქვამს ფედროსს, რომლის მიხედვითაც, ეროსი უძველესი წარმოშობისაა, მხოლოდ შეყვარებულები – ქალებიცა და კაცებიც არიან მზად, მოკვდნენ ერთმანეთისთვის. ამით ფედროსი ასკვნის, რომ ღმერთები მაღალ შეფასებას აძლევენ სიყვარულში სიკეთეს და უფრო მეტად აღფრთოვანდებიან, განცვიფრდებიან და კეთილად განეწყობიან იმ შემთხვევაში, როდესაც სატრფო ერთგულია საყვარლისა, ვიდრე მაშინ, როდესაც შეყვარებული ერთგულია თავისი სიყვარულის საგნისადმი. შეყვარებული ხომ უფრო ღვთაებრივია, ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრე მისი სატრფო, რადგან ღვთის მიერ არის შთაგონებული. ანუ, რომ გიყვარს, შენ უფრო მაგარი ხარ, ვიდრე ის, ვინც გიყვარს. ფედროსის დასკვნა ერთმნიშვნელოვანია – ეროსი ყველაზე ძველი, ყველაზე საპატიო, ყველაზე მძლავრი ღმერთია, რომელსაც ძალუძს ადამიანებს სიმამაცე უძღვნას და სიცოცხლესა თუ სიკვდილის შემდეგ ნეტარება მიანიჭოს.

ფედროსის შემდეგ სიტყვა უთქვამს პავსანიას, რომელიც განმარტავს, რომ ეროსი ორი სახისაა – სიყვარულის ქალღმერთი აფროდიტე უფროსიც არის და უმცროსიც: უფროსი აფროდიტე, ურანოსის ასული, რომელსაც უწოდებენ ურანიას, ანუ ზეციურს და უმცროსი, ზევსისა და დიონეს ასული, რომელსაც გარყვნილს, პანდემოსს, საერთო-სახალხოს უწოდებენ. შესაბამისად, არსებობს ორი ეროსი – ზეციური და მიწიერი, ღვთაებრივი და სახალხო, ზეციური და გარყვნილი. თანაც, ორივე მათგანს თავისი განსაკუთრებული თვისებები აქვს. გარყვნილი აფროდიტე და მისი ეროსი ყველაფერს იკადრებს. ეს სწორედ ის სიყვარულია, რომლითაც უყვართ არარაობებს, ხოლო აფროდიტე ზეციური – პირიქით; ამ ქალღმერთისთვის უცხოა დანაშაულებრივი სითამამე; ასეთი სიყვარულით ატანილნი უპირატესობას ანიჭებენ მას, ვინც ბუნებით გონიერებითაა დაჯილდოებული. ამ ორი სიყვარულის განხილვით პავსანია, პრინციპში, უახლოვდება იმას, რაზეც შემდგომში ქრისტიანობა ილაპარაკებს – ქვენა და ზენა სიყვარულს, რომელზეც რუსთაველმა თქვა, რომ თუ ქვენა სიყვარულს სიძვა არ ახლავს, იგი ზენას უახლოვდება. ანუ, თუკი ადამიანებს შორის სიყვარულს არ ახლავს სექსი, ის თავისი დაძაბულობით, სიღრმითა და მნიშვნელობით ღმერთის სიყვარულს უახლოვდება.

ღმერთის სიყვარულის წარმოდგენა სწორედ ასე შეგვიძლია, იმ ადამიანის სიყვარული, რომელიც მიუწვდომელია და სწორედ ამის გამო, ეს გრძნობა კიდევ უფრო იზრდება.

ამას მოჰყვა ერიქსიმაქოსის სიტყვა, რომლითაც ითქვა, რომ ეროსი მთელ ბუნებაშია გაღვრილი. მოგეხსენებათ, ეს იდეა განვითარებას ჰპოვებს დანტესთან, რომელიც იტყვის, რომ სამყაროს სიყვარული ამოძრავებს,

მოკლედ, სიყვარული, ეს – გრავიტაციაა. პლატონის „ნადიმის“ მონაწილეთა თეორიებს შორის, ერიქსიმაქოსის სიტყვა, ალბათ, ყველაზე სუსტია. სამაგიეროდ, ამას მოჰყვება არისტოფანეს მოულოდნელად ძალიან მძლავრი პასაჟი, რომლის აზრითაც, ეროსი ადამიანის მისწრაფებაა თავდაპირველი ერთიანობისკენ.

არისტოფანე ფარდას ხდის ადამიანის ბუნების საიდუმლოს. სხვათა შორის, კომედიოგრაფოსი ავტორისგან სულ არ ველოდით სიყვარულის თეორიას, მაგრამ, როგორც ჩანს, არისტოფანე უბრალო კაცი არ ყოფილა და მიუხედავად იმისა, თუ რა როლი შეასრულა სოკრატეს დაღუპვაში, პლატონი მას მაინც დიდი სიმპატიით ხატავს.

არისტოფანე გვთავაზობს მითოლოგიურ წარმოდგენას სიყვარულის შესახებ – ოდესღაც, ჩვენი ბუნება ისეთი არ იყო, როგორიც ახლაა – ამბობს არისტოფანე, – ადამიანები სამ სქესად იყოფოდნენ: მამრობითი, მდედრობითი და განსაკუთრებული, რომელიც თავში მამრობითსა და მდედრობითს ერთად მოიცავდა და რომელიც უკვე გაქრა – ე.წ. ანდროგინოსები. სამივე სქესის ადამიანებს მრგვალი სხეული, ოთხი ხელი, ოთხი ფეხი, მრგვალ კისერზე სხვადასხვა მხარეს მიქცეული ორი ერთნაირი სახე ჰქონდათ, მათი ზურგი მკერდისგან არ განსხვავდებოდა. სამივე სქესის ძალზედ მახინჯი არსებები თავიანთი ძალის გამო საფრთხეს წარმოადგენდნენ ღმერთებისთვის. მამრობითი სქესი მზისგან წარმოიშვა, მდედრობითი – მიწისგან, შერეული კი მთვარისგან, რადგან მთვარეში ორივე საწყისი შენივთებულია. რაც შეეხება მათ სფეროსებურობას, აქ წინაპრებთან მსგავსებამ იჩინა თავი – აბა, მთვარისგან თუ ხარ შობილი, ან მიწისგან, ბუნებრივია, მრგვალი უნდა იყო!

ზევსი მათ უსაქციელობას ვერ შეეგუა და აპოლონს მათი შუაზე გაკვეთა უბრძანა. ამის შემდეგ კი გასაოცარი რამ ხდება – თითოეული ნახევარი მეორისკენ გაიქცა, ეხუტებოდნენ, ეხვეოდნენ ერთმანეთს, ცდილობდნენ, ისევ ერთ არსებად ქცეულიყვნენ და შიმშილისა და უქმობისგან იხოცებოდნენ, რადგან ცალ-ცალკე არაფრის გაკეთება არ სურდათ. ასე რომ, არისტოფანეს თეორიის მიხედვით, ადამიანი შენს ყოფილ მეორე ნახევარს ეძებ და როგორც კი დაინახავ, გსურსთ, კვლავ შეერწყათ ერთურთს. ორად გაყოფილი მდედრობითი სქესის წარმომადგენლებმა, ისევე, როგორც მამრობითისა, ერთმანეთს დაუწყეს ძებნა, ანდროგინოსები კი – კაცად და ქალად რომ დაიყვნენ, გაფაციცებით ეძებდნენ ერთურთს. ასე ახსნა არისტოფანემ სიყვარულის ყოველი სახე და თქვა მთავარი – სიყვარულით ადამიანი ცდილობს, დაუბრუნდეს ერთიანობას,

სიყვარული ეს მთლიანობის აღდგენის მცდელობაა. არისტოფანეს შემდეგ სიტყვით გამოვიდა აგათონი. მან ეროსის სრულყოფილებაზე, მშვენიერებაზე ისაუბრა და აღნიშნა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეროსი ადამიანის რბილ სულებში ცხოვრობს, ხოლო როგორც კი რომელიმე სულის უხეშობას წააწყდება, სამუდამოდ ტოვებს მას.

აგათონის სიტყვა ზოგიერთ ქართულ სადღეგრძელოსაც წააგავს – სიტყვებით სავსეს, სწორი წინადადებებით, გონების ამმღვრევი ფრაზებით, მათრობელობით, თუმცა ყოველგვარი აზრის გარეშე.

ბოლოს და ბოლოს, სიტყვა აიღო სოკრატემ, რომელმაც თქვა, რომ ეროსს აქვს მიზანი – კეთილდღეობის დაუფლება. მონოლოგის ფორმისგან განსხვავებით, რომლითაც სოკრატემდე გამომსვლელი ადამიანები სარგებლობდნენ, სოკრატე თავის საყვარელ ხერხს – დიალოგს მიმართავს.

სოკრატე ასკვნის, რომ ეროსი ეს სიყვარულია, რომელიც მიმართულია ვინმესკენ, ან რამისკენ, ხოლო სიყვარულის საგანი ისაა, რის ნაკლებობასაც განიცდი. მეტიც, რაკი ეროსი სილამაზის სიყვარულია, რაგინდ პარადოქსულადაც უნდა ეღერდეს, თავად ეროსი მოკლებულია მშვენიერებას, შესაბამისად, ვერც კეთილი იქნება.

ეყრდნობა რა ამ დასკვნას, სოკრატე გადადის მონოლოგზე და გადმოსცემს მანტინეელი ბრძენი ქალის – დიოტიმას ნათქვამს. ეროსი არ არის ლამაზი, თუმცა აქედან როდი გამომდინარეობს, რომ უშნო და ბოროტია.

ეროსი ამ უკიდურესობების შუაგულშია და საეჭვოა მისი ღვთაებრიობაც – ღმერთად ხომ მხოლოდ მშვენიერი შეიძლება იწოდებოდეს! დიოტიმას თქმით, ეროსი გენიაა, ყველა გენია ხომ რაღაც საშუალოა ღმერთსა და მოკვდავს შორის. ამიტომაც, გონივრულია, დაისვას კითხვა ეროსის დანიშნულებაზე სამყაროში. დიოტიმა ამბობს, რომ გენიის დანიშნულებაა, შუამავალი იყოს ადამიანებსა და ღმერთებს შორის. გენიები გადასცემენ ღმერთებს ადამიანთა ლოცვასა და მსხვერპლს, ხოლო ადამიანებს – ღმერთების დავალებებსა და ჯილდოს გაღებული მსხვერპლის სანაცვლოდ.

დიოტიმა ამბობს და ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ყველა ადამიანი ორსულადაა, როგორც სხეულით, ასევე სულიერად. როდესაც ისინი გარკვეულ ასაკს აღწევენ, ადამიანური ბუნება მშობიარობას მოითხოვს, შობამ კი უნდა მოგვცეს მშვენიერი და არა უსახური ნაყოფი.

კაცისა და ქალის შერთვაც ასეთი მშობიარობაა და ეს ღვთაებრივი საქმეა, რადგან მუცლადღება და შობა მოკვდავ არსებაში უკვდავი საწყისის გამოვლენაა. ამ ყველაფრის მიუხედავად, შეუღლებაც და შობაც არ შეიძლება მოხდეს შეუსაბამობაში, შეუსაბამო ხომ ყოველგვარი ღვთაებრივისთვის სიმახინჯეა, მაშინ, როდესაც შესაბამისი მშვენიერია.

სიყვარული მუდმივი კეთილდღეობისკენ სწრაფვაა, მაგრამ სიკეთის გარდა, ადამიანი უკვდავების დაუფლებასაც ცდილობს. ასე რომ, სიყვარული უკვდავებისკენ მისწრაფებაცაა. ასე ამბობდა დიოტიმა. ასე ამთავრებს თავის სიტყვას სოკრატე.

ყველაფერი, რაც ამის შემდეგ ამ ნაწარმოებშია აღწერილი, უმნიშვნელოა. მთავარი სათქმელი ნათქვამია – სიყვარული უკვდავების საწყისია. პლატონის შემდეგ ძალიან დიდი დრო გავიდა და XIX საუკუნეში სრულიად მოულოდნელად თავისი შემოქმედების მწვერვალზე მყოფმა სტენდალმა დაწერა წიგნი სიყვარულზე – ტრაქტატი „სიყვარულის შესახებ".

წიგნი იწყება განმარტებით, რომ არსებობს ოთხი სახის სიყვარული: სიყვარული-ვნება, სიყვარული-ლტოლვა, ფიზიკური სიყვარული და სიყვარული-პატივმოყვარეობა.

თითოეული ეს სიყვარული ერთი ტიპის გრძნობაა, რომელსაც, როგორც ეს პატიოსანი მწერალი ამტკიცებს, შვიდი საფეხური აქვს.

შვიდი საფეხური სიყვარულის განვითარების სტადიებია. დღეს შესაძლოა არსებობდეს თეორიები, მათ შორის, სამედიცინო ხასიათისა – ვიღაცა სიყვარულს ავადმყოფობად ასაღებს, ამბობს, რომ ის 2-3 წელი გრძელდება; თუმცა ვერავინ პასუხობს ცხოვრების მიერ დასმულ კითხვებს, მაგალითად, რატომ იყო ზინაიდა გიპიუსი ლიტერატურის თეორიტიკოსის – მერეჟკოვსკის მეუღლე 52 წლის განმავლობაში და რატომ უყვარდათ მათ ერთმანეთი.

ასეთ კითხვებს ვერ პასუხობს მარტივი საუბარი იმაზე, რომ სიყვარული ესაა დოპამინის, სეროტონინის, ტესტოსტერონისა და ესტროგენის კომბინაცია. სინამდვილეში, სიყვარულზე საუბრისას, გაცილებით უფრო სანდოა პლატონი, გაცილებით უფრო სანდოა სტენდალი, ვიდრე რომელიმე თანამედროვე ფიზიოლოგიისა თუ ფსიქოლოგიის სპეციალისტი.

აი, რა ხდება, სტენდალის აზრით ,ადამიანის სულში, როცა მას სიყვარული ეწვევა: პირველი, ეს აღფრთოვანებაა – დაინახე, აღფრთოვანდი. ერთი ნახვით შეყვარება თუ არსებობსო, რომ კითხულობენ, პასუხი მარტივია – მხოლოდ ერთი ნახვით შეყვარება არსებობს. მეორე, ადამიანი ფიქრობს, წარმოიდგენს, რა ბედნიერებაა აკოცო, რა ბედნიერებაა გაკოცოს. მესამე – ჩნდება იმედი, დაიწყება ამ სრულყოფილების შესწავლა, რომ მიიღოს რაც შეიძლება მეტი ფიზიკური კმაყოფილება. მეოთხე – დაიბადა სიყვარული, სიყვარული – ნიშნავს განიცადო ტკბობა, როდესაც ხედავ, გრძნობ სასურველ არსებას, რომე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც გიყვარს, რომელსაც უყვარხარ და რაც შეიძლება ახლოს გინდა იყო მასთან.

ამის შემდეგ იწყება პირველი კრისტალიზაცია. კრისტალიზაცია შესანიშნავი ტერმინია, რომელიც მცირეოდენ განმარტებას მოითხოვს. განმარტება ძალიან მარტივია – მაგალითად, ზალცბურგში მარილის საბადოებია, ამაზე ქალაქის სახელიც მიგვითითებს – მარილის ქალაქი. ამ მარილის საბადოში ნებისმიერი ნივთი რომ დატოვო, გარკვეული დროის შემდეგ მარილის კრისტალებით დაიფარება და განსაკუთრებულ სილამაზეს შეიძენს. სიყვარულზე საუბრისას, კრისტალიზაცია ნიშნავს, რომ არსება, რომელიც კრისტალებით იფარება, გაცილებით უკეთესი ხდება. ამ დროს მასზე შეყვარებული ადამიანი კარგავს რეალობის დანახვის უნარს. სიყვარული ხომ სხვაგვარად აკრისტალებს და ამშვენიერებს ადამიანს. მოკლედ, შეყვარებულ ადამიანს ეჩვენება, რომ თუ მისი შეყვარებული ფორტეპიანოზე უკრავს, ეს საქმე უკეთ გამოსდის, ვიდრე ჰოროვიცს, თუ მღერის – მარია კალასზე უკეთ მღერს. ერთი სიტყვით, ეს არის კრისტალიზაციის პირველი საფეხური.

პირველი კრისტალიზაციის შემდეგ იბადება სკეფსისი, ეჭვი. ნებისმიერ შემთხვევაში, თითოეული ნაბიჯი, ქმედება, სიტყვა, ჟესტი, ეჭვიანობის ნიადაგზე აღიქმება. ზოგჯერ ამბობენ, თუ გიყვარს, მაშინ არ ეჭვიანობო, ან თუ ეჭვიანობ, ესე იგი, გიყვარსო. სტენდალის აზრით, ნათელია, რომ ეჭვი სიყვარულის შემადგენელი ნაწილი, მისი ერთ-ერთი აუცილებელი ფაზაა, რასაც კრისტალიზაციის მეორე საფეხური მოსდევს.



წარმოიდგინეთ, საგანი, რომელიც პირველი კრისტალიზაციის შემდეგ ისედაც ძლივს შესამჩნევი იყო, მეორე კრისტალიზაციის შემდეგ საერთოდ სხვა რამ არის. ამიტომ შეყვარებულებმა თავიდანვე უნდა შექმნან საყვარელი არსების პორტრეტი, დაიმახსოვრონ კონტურები და ა.შ. იმიტომ, რომ შემდეგ მოხდება ის, რაც ასე ლამაზად აღწერა უდიდესმა სპარსმა პოეტმა ნიზამი განჯევმა – ლეილის სილამაზე რომ გაიგო, მას მეჯნუნის თვალით უნდა შეხედო. აი, სწორედ მეჯნუნის თვალებით შეხედვაა მეორე კრისტალიზაცია.

ამ ისედაც გრძელ სიტყვას მოკლედ თუ ვიტყვით, პლატონმა თქვა, რომ სიყვარული უკვდავებისკენ სწრაფვაა, სტენდალისთვის კი სიყვარული კრისტალიზაციის, მშვენიერების შემოქმედებაა. ერთმაც და მეორემაც ხაზი გაუსვა, რომ სიყვარული სილამაზესთან, მშვენიერებასთან არის დაკავშირებული, თუმცა უფრო თანამედროვე ავტორმა გვითხრა, რომ მშვენიერება ობიექტური ცნება არ არის, სიყვარული კი მხოლოდ სილამაზეს, მხოლოდ მშვენიერებას ცნობს.

აქვე აღვნიშნოთ ისიც, რომ სიყვარულში ის სულიერი მომენტებიც იგულისხმება, ჩვენი გენიოსი ასე რომ აფასებდა – „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთ ბავშვისა-ეროვნულ 29 მილიონი

ხმაურიანი პროექტი CHECK IN GEORGIA და მიმდებარე პაპარაცტისტული ვნებები

დავით ბუხრიკიძე

აპრილიდან მოყოლებული, როდესაც კულტურის სამინისტრომ ამბიციური და ლამის უპრეცედენტო მასშტაბის კულტურულ ღონისძიებათა სერიის – Check in Georgia-ს შესახებ პირველად ამცნო მედიასა და საზოგადოებას, დღემდე არ წყდება ფინანსური თუ არაარტისტული ვნებათაღელვა ამ პროექტის ირგვლივ.

Check in Georgia მოიცავს კონცერტებს ქართველი და უცხოელი შემსრულებლების მონაწილეობით, რომლებიც საქართველოს 19 ქალაქში გაიმართება და რომელთა ნაწილი უკვე გაიმართა. ეს ნიშნავს 30-ზე მეტ ფესტივალსა და ღონისძიებას, რომელთა შორის უნდა აღინიშნოს: თეატრალური და კინოფესტივალები, კლასიკური და თანამედროვე მუსიკის, ანიმაციური ფილმების, თანამედროვე ხელოვნების ფესტივალები, მოდის კვირეულები, ფოტოფესტივალები და სხვა.

პროექტი საქართველოს მთავრობის ინიციატივითა და მხარდაჭერით ხორციელდება, რისთვისაც მთავრობამ სარეზერვო ფონდიდან საკმაოდ დიდი თანხა, 29 მილიონი ლარი გამოყო! რასაც მაშინვე მოჰყვა მითქმა-მოთქმა. ამ თანხის „გაპრავება-გაპიარების" შესახებ მითების გაქარწყლება თავიდანვე სტრატეგიული ინტერესებით სცადა კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა, მიხეილ გიორგაძემ, რომელმაც პროექტს მართალია ძვირადღირებული, მაგრამ ამბიციური და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი უწოდა:

„დიახ, ეს არის სამთავრობო პროექტი მასშტაბური და მრავალფეროვანი პროგრამით. შეიქმნა როგორც საგარეო, ისე ადგილობრივი ტურისტული ნაკადების გასააქტიურებლად თუ გასამსხვილებლად. გამოცდილებამ და პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ამგვარი კონცერტები ხელს უწყობს ადგილობრივ მეწარმეობას და ეკონომიკური ვითარების გამოსწორებას. ბუნებრივია, რომ ვიზიტორებს ქვეყანაში შემოაქვთ თანხა, რომელსაც აქვე დახარჯავენ".

ერთი შეხედვითაც კოხტად ჩანს, რომ კულტურის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ვრცელი პროგრამა ერთდროულად კომერციულიცაა და სახელმწიფოებრივიც. საერთაშორისო დონის მუსიკოსთა სახელებითა და ვარსკვლავებით გამიზნულად „მოპირკეთებულ" საღამოებს მაინც თავისი მაგია აქვს – მერე რა, რომ რობი უილიამსი შეიძლება მოულოდნელად მამასთან ერთად გამოჩნდეს „დინამო არენას" სცენაზე, ხოლო სოფი ლორენი – დირიჟორ შვილთან ერთად ეწვიოს თბილისის საოპერო თეატრს; ისე, გულის ამაჩუყებლად და ყოველგვარი პროექტის გარეშე/ რაც გინდა და როგორც გინდა ისე უჩიჩინე, ხალხს მაინც სანახაობა ურჩევნია პურს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



რობი უილიამსი „დინამო არენაზე"
თბილისი, 27 მაისი 2016

ფოტო: ალბერ ფალიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონცერტები აპრილიდან დაიწყო და წლის ბოლომდე გაგრძელდება. ეს ნიშნავს, რომ საარჩევნო წლის ვნებათაღელვა (შედარებით ზრდილობიანი დებატებით დაწყებული, ხელჯოხებითა და ქვის სროლით დამთავრებული) ადგილობრივი და მსოფლიო მნიშვნელობის არტისტების ფონზე ჩაივლის. Check in Georgia-ს ფარგლებში დაგეგმილი კონცერტებიდან მაინც უნდა აღინიშნოს რამდენიმე, როგორც კაშკაშა, ისე წვრილი ვარსკვლავების მონაწილეობით.

Check in Georgia-ს „პირველი მერცხალი" იყო ცნობილი იტალიელი მომღერალი, ეროს რამაზოტი, რომელმაც კონცერტი თბილისის სპორტის სასახლეში, 24 აპრილს გამართა.

მიუხედავად იმისა, რომ კონცერტს არც სარეკლამო მხარდაჭერა აკლდა (ცნობილი იტალიელი მომღერალი პირველად ჩამოვიდა საქართველოში) და არც ბილეთის ფასი იყო მაინცა და მაინც კატასტროფული (25-დან 90 ლარამდე), სპორტის სასახლე მხოლოდ სანახევროდ გაივსო. თანაც კონცერტი ლამის სამი საათის დაგვიანებით დაიწყო, რაც ცუდი ორგანიზებით, სპორტის სასახლეში არსებული ქაოსითა და გამოუცდელობით შეიძლება აიხსნას.

რამაზოტიმ მსოფლიო ტურის ფარგლებში მსმენელს გასული საუკუნის 80-იანი და 90-იანი წლების ჰიტები შესთავაზა. შესაბამისად, კონცერტმა უფრო საშუალო ასაკის პუბლიკა მიიზიდა. ჰიტებს შორის, პირველ რიგში, უნდა აღვნიშნოთ Terra Promessa, რომლის შესრულებითაც 1984 წელს მომღერალმა, სან-რემოს ფესტივალზე დებიუტანტთა კონკურსში გაიმარჯვა. სხვათა შორის, დაახლოებით ორსაათიანი კონცერტი პოპ-ვარსკვლავმა აპრილში გარდაცვლილი ამერიკელი მუსიკოსის, პრინცის ხსოვნას მიუძღვნა.

თუმცა მსმენელ-მნახველისათვის ყველაზე მსხვილმასშტაბიანი „დაჩეკინება" მაინც რობი უილიამსის კონცერტი გამოდგა: 27 მაისს „დინამო არენაზე" 42 წლის ბრიტანელმა ვარსკვლავმა საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, მართლაც, შთამბეჭდავი და ენერგიით დამუხტული საღამო აჩუქა თაყვანისმცემელს.

კონცერტს დაახლოებით 40 ათასი მაყურებელი დაესწრო, ხოლო ბილეთები რამდენიმე კვირით ადრე გაიყიდა. რობი უილიამსი მაყურებლის წინაშე გრანდიოზული შოუთი წარდგა: პირველივე ჰიტი – Let Me Entertain You საკმარისი აღმოჩნდა პუბლიკასთან მჭიდრო კონტაქტის დასამყარებლად. როგორც ყოველთვის, ის უშუალო, ირონიული და მომხიბლავი იყო და თაყვანისმცემლებს თხოვნით მიმართა, თუ სიმღერა მოეწონებოდათ, არ დაზარებოდათ და აჰყოლოდნენ.

„ეს იყო ჩემი პირველი კონცერტი ბოლო შვიდი თვის განმავლობაში და ვნერვიულობდი კიდეც, მაგრამ, როგორც კი სცენაზე დავდექი, ვიგრძენი ქართველი მსმენელის ენერგია და გახსნილობა, რაც ძალიან დამეხმარა", – განაცხადა ბრიტანელმა მომღერალმა კონცერტის შემდეგ. ცხადია, მან მსმენელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღეც მიულოცა და იქვე სიურპრიზი შესთავაზა, როდესაც დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად საყოველთაოდ ცნობილ სიმღერაში – New York, New York სიტყვები Georgia, Georgia-თი შეცვალა. მსმენელმაც ცხადია, არ დააყოვნა და ცნობილ ვარსკვლავს სიმღერაში აჰყვა.

რაც შეეხება „კლასიკურ ჩეკინგს", ის ლამის ლეგენდარულ ესპანელ ტენორს, ხოსე კარერასს უკავშირდება, რომელიც უკვე მეორედ ეწვია საქართველოს. მუსიკოსის თაყვანისმცემელს ალბათ ახსოვს, რომ რამდენიმე წლის წინ მან ბათუმში „პიაცაზე" იმღერა. ამჯერად კი, ივნისში კონცერტი ქუთაისში, დავით აღმაშენებლის მოედანზე გამართა. მაესტროს პარტნიორობას დირიჟორი დავით ხიმენეს კარერასი და ახალგაზრდა და უკვე წარმატებული ქართველი სოპრანო, სალომე ჯიქია უწევდნენ.

7 ივნისს ბათუმის „საოცრებათა პარკში" გამართულმა კონცერტმა, Maroon 5-ის მონაწილეობით, კიდევ უფრო გაამყარა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს კულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროს რამაზოტი სპორტის სასახლეში.
თბილისი, 24 აპრილი 2016

ფოტო: ალექსანდრე ბერაძე

ტურის სამინისტროს ბოლომდე არ ჰქონდა გააზრებული პროექტ Check In Georgia-ის დეტალები. ცნობილი ამერიკული ჯგუფის კონცერტი, რომელსაც დაახლოებით 35 ათასი ადამიანი ესწრებოდა, თავსხმა წვიმაში გაიმართა, თუმცა დასველებული პუბლიკა ფეხს არ იცვლიდა და მოთმინებით ელოდა ჰიტებს – Sugar, PayPhone, Moves like Jagger...

სამწუხაროდ, ტურისტთა დიდი ნაკადის მისაღებად ბათუმი მოუმზადებელი აღმოჩნდა. ეს ეხება როგორც სასტუმროებსა და რესტორნებს, ისე სასმელი წყლისა და პროდუქტების დეფიციტს. ტრანსპორტი მთელ ქალაქში პარალიზებული აღმოჩნდა, რასაც კონცერტზე მისული მაყურებლის უკმაყოფილება მოჰყვა. ამას დავუმატოთ ლამის წარმოუდგენლად მაღალი ფასი საკვებზე და დაბალი ხარისხის მომსახურება. ერთი სიტყვით, არც კერძო სექტორი და არც ადგილობრივი ხელისუფლება მზად არ აღმოჩნდნენ ამ მნიშვნელოვანი კონცერტის გასამართად.

ასევე ბათუმში, პროექტ Check in Georgia-ს ფარგლებში, ფესტივალი „ჰით-ბათუმი“ გაიმართა. ბულვარის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიდგა ქუჩის პიანინოები, რომლებიც ახალგაზრდა მხატვრებმა საკუთარი ფანტაზიით მოხატეს. ასე რომ, ქალაქის ცენტრში, ძველ ბულვარში ადგილობრივ მოსახლეობასა და ქალაქის სტუმრებს დღის ნებისმიერ დროს ჰქონდათ შესაძლებლობა ან თავად დაეკრათ, ან მოესმინათ მუსიკისათვის, გადაეღოთ სამახსოვრო ფოტო თუ ვიდეო და თავადვე აეტვირთად სოციალურ ქსელში.

მაგრამ ეს ყველაფერი Check in Georgia-ს, ასე ვთქვათ, მხოლოდ გარეგნული, საფესტივალო და ბრჭყვიალა მხარეა, რომლის მიღმაც კულტურის სამინისტროსა და კულტურის სფეროში მომუშავეების ინტერესთა შეუთავსებლობა და, გარკვეულწილად, კორუფციის რისკი შეიძლება დავინახოთ. „ადამიანურ“ ენაზე ეს შემდეგნაირად უნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტო: ხატია ფუტურა

Maroon 5-ის კონცერტი „საოცრებათა პარკში". ბათუმი, 7 ივნისი 2016

გავიგოთ: კულტურის სამინისტროს მტკიცებით, მისთვის ლამის ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს ჯაზფესტივალები, რასაც ტურისტების მოზიდვითა და კონცერტებზე დამსწრეთა რაოდენობით ხსნის. თუმცა 29 მილიონი საკმარისზე დიდი თანხაა საიმისოდ, რომ „დაჩეკინებულმა" ვარსკვლავებმა ჰონორარი მიითვალონ და დანარჩენმა საქართველომ 19 ქალაქში წლის ბოლომდე პატარა არტ-სიხარულები გაინაწილოს.

როდესაც სახელმწიფო თავის თავზე იღებს ბიზნესის ფუნქციას (თავად კულტურის მინისტრიც აღნიშნავს, რომ Check in Georgia ბიზნესპროექტია), ცხადია, უკვე ხდება იმ კერძო კომპანიების კონკურენტი, რომლებიც ამავე სფეროში მუშაობენ და ცდილობენ, თავად ჩამოიყვანონ ცნობილი არტისტები, მუსიკოსები თუ მომღერლები. ანუ სახელმწიფო ხდება უპირობო კონკურენტი ამ კომპანიებისთვის; მეორეც, ის მაღალი საფასურითა თუ მაღალი ჰონორარის გადახდით, ნებსით თუ უნებლიეთ, ძირავს კერძო კომპანიებს, რომლებსაც შეეძლოთ ეს არტისტები გაცილებით უფრო იაფად და ხარისხიანად ჩამოეყვანათ.

რაც შეეხება საქართველოს მსოფლიოსთვის გაცნობასა და ტურისტების მოზიდვას, ჯობს, კულტურის სამინისტრომ ყველაფერი პირიქით გააკეთოს – საქართველოს გაცნობისა და პოპულარიზაციისთვის აქვე კი არ დახარჯოს ბიუჯეტის თანხა, არამედ – უცხოეთში. ამ ყბადაღებული 29 მილიონიდან უდიდესი ნაწილი ჩვენი კულტურისა და ხელოვნების უცხოეთში პოპულარიზაციას რომ ხმარდებოდეს, გაცილებით მნიშვნელოვანი იქნებოდა.

ცხადია, კულტურის სამინისტროს კიდევ ბევრი რამ აქვს „სახსოვარი", რასაც Check in Georgia გულისხმობს. და რადგან პროექტის ძირითადი სამიზნე ერთდროულად მაყურებელი და საარჩევნოდ „განწირული" ქართველი ამომრჩეველია, სახელმწიფომ მას პური თუ არა სანახაობა მაინც უნდა აჩუქოს. თუნდაც 29 მილიონის გასაპიარ-პრავ-ებლად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საღამოს მისვლის ამბავი

აკა მორჩილაძე

გარეთ ბეილი, შიგნით ბეილი, მარცხნივ ბეილი, მარჯვნივ ბეილი. საითაც არ გაიხედავ, ყველგან ბეილია. ნაიო მარშის ერთი ძველი დეტექტიური რომანია, მისი სახელი ქართულად ასე ისმის: ყველა ნაბიჯზე კონსტებლია.

ჰოდა, ეს გარეთ ბეილიც რაღაც ასეთი გამოვიდა, ყველა ნაბიჯზე ისაა და ყველგან ისაა. ევროპის ჩემპიონატის არც ერთ გუნდში არაა ასე მკვეთრად, ასე ერთადერთად ამობურცული, თვალში საცემი მთავარი კაცი.

ალბათ, სხვებს უკეთესი ლიდერები ჰყავთ და უკეთესი ფეხბურთელებიც, მაგრამ ასე რომ ერთი კაცი მოდიოდეს და მოჰქონდეს, არც ერთ გუნდში არ ჩანს. ბეილის თამაშის შემხედვარე, სწორედ ამას იფიქრებ:

მოდის და მოაქვს. მოაქვს და მაგრადაც მოაქვს, გაჩერება ჭირს. კი აჩერებენ ხოლმე, მაგრამ იმის ფიქრი, რომ ისევ წამოიღებს და ეს არასდროს დამთავრდება, რა თქმა უნდა, დიდად რევს მოწინააღმდეგის საქმეს.

გარშემო ამდენი რამ ხდება: ესპანეთიც შინ წავიდა, რაც მოსალოდნელი იყო, ინგლისმაც არ გაგვაკვირვა, რაც ასევე მოსალოდნელი იყო, სხვაც უამრავი:

ისლანდიამ დაიჭირა მზადყოფნა და სტილი და რაღაცა ჯონ სნოუს ლაშქარივით როკავს მორიგი გამარჯვების შემდეგ; კრიშტიანუ რონალდუ მთლად მზეზე ნადებ ტორტის ნაჭერს დაემსგავსა, მაგრამ გოლები მაინც გააქვს; გერმანია უკვე ესპანელებზე უკეთ თამაშობს ესპანელების რაღაცას; საფრანგეთი არის ასე, ზამბარასავით, რომელიც ყოველ ჯერზე გგონია, რომ კი არ გაიხსნება, არამედ გაწყდება, თუმცა კი იხსნება, ჯერჯერობით.

მოკლედ, ბევრი რამ ხდება და მთელს ამ ამბავში გარეთ ბეილი, თავისი მოდის და მოაქვს და ურტყამს ამბით. ნამდვილად სასეირო რამეა.

საერთოდ, სანამ ჟურნალის ეს ნომერი გამოვა, უელსის ნაკრებიცა და მისი წინამძღოლიც შეიძლება სახლში იყვნენ, რახან, საერთო აღიარებით, ჭკვიან და მაღალკულტურულ ბელგიას ეთამაშებიან მეოთხედფინალში, რომელსაც, თავის მხრივ, ბეილისგან სრულად განსხვავებული ედენ აზარი წინამძღოლობს.

ეს ასე ყველასგან მოწონებული ბელგია უელსელებს დამარცხებული ჰყავთ ამავე შეჯიბრების შესარჩევ ტურნირში. თანაც, ბეილი ამბობს, ახლა იმ გუნდზე გამოცდილი და უკეთესი გუნდი ვართ, რომლითაც იმ ბელგიას მოვუგეთო. მოკლედ, ეს მალე გამოჩნდება.

ბეილი კი, რაც არ უნდა მომხდარიყო პარასკევის მეოთხედფინალში, დიდი ფეხბურთელია. ის კარგად მახსოვს, რა საოცარი იყო, როცა განაპირა მცველად ჰყავდათ და ბურთს აიღებდა და ფრთაზე წამოვიდოდა. ასეთი რამე, სიმართლე ითქვას და საერთოდ არ მენახა: მცველს

ალბათ, სხვებს უკეთესი ლიდერები ჰყავთ და უკეთესი ფეხბურთელებიც, მაგრამ ასე რომ ერთი კაცი მოდიოდეს და მოჰქონდეს, არც ერთ გუნდში არ ჩანს. ბეილის თამაშის შემხედვარე, სწორედ ამას იფიქრებ.

n158/53

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბეილი კი, რაც არ უნდა მომხდარიყო პარასკევის მეოთხედფინალში, დიდი ფეხბურთელია. ის კარგად მახსოვს, რა საოცარი იყო, როცა განაპირა მცველად ჰყავდათ და ბურთს აიღებდა და ფრთაზე წამოვიდოდა. ასეთი რამე, სიმართლე ითქვას და საერთოდ არ მენახა: მცველს ასე დაეწყო და ასე დაემთავრებინა, უმოწყალო გოლით.

ასე დაეწყო და ასე დაემთავრებინა, უმოწყალო გოლით.

მაშინ მთლად ბიჭი იყო. საუთჰემპტონში მისი თამაში ნამდვილად არ მახსოვს და ტოტენჰემში კი ეგ იყო, თუ იყო საყურებელი, ჰარი რედნაპის ხელში. როგორ მორბოდა! და გამჩერებელი არავინ იყო. ვერავინ. მისი ყველაზე ცნობილი თამაშები იმხანად ინტერთან გამოვიდა. საერთაშორისოდ ყველაზე ცნობილი, თორემ შინ რაებსაც სჩადიოდა, ის ცალკე ასაკინძია. ათკაციანი ტოტენჰემი რომელსაც მეკარე, მგონი, მეათე წუთზე გაუგდეს, სან სიროზე ოთხი ბურთით აგებდა ნახევარ საათში. საბოლოოდ, თამაში 3-4 წააგო, სამივე გოლი კი ბეილმა გაიტანა. საპასუხო თამაშში გულკეთილმა უელსელმა ნამდვილი საოცრება მოაწყო ვაით ჰართ ლეინზე. თუმცა, გოლი არ გაუტანია, ყველაფერი მისი იყო.

ის ბეილი და მადრიდის ბეილი სხვადასხვა ფეხბურთელები არიან, თუმცა არსი კი ერთი აქვთ და ახლა მთლად მესამე გამოვიდა, უელსის ნაკრების ბეილი, რომელიც ყველაფერია უელსის ამ კარგად გამართული გუნდისა და საინტერესო სწორედ ეს არის, თუ სადამდე წაიყვანს ჩვეულებრივ, საშუალო, სწორ ფეხბურთს ერთი ადამიანი, რომელიც მოდის და მოაქვს.

ჩემს მახსოვრობაში უელსის ნაკრები რამდენჯერმე ყოფილა შესახედი და კარგი გუნდიც, მთლად რამდენიმე ვარსკვლავიც ჰყოლია ხოლმე სასტარტოში, მაგრამ არც ერთ იმ ნაკრებს, დასამახსოვრებელი თამაშების მიუხედავად, სადმე ფინალურ ეტაპზე გასვლა არ გამოსვლია და მით უმეტეს, არც დიდი შეჯიბრების მეოთხედფინალში ყოფნა.

ალბათ, ისლანდია უფრო ღრმად ნამუშევარი და ნაშენებ-ნამზადები გუნდია, ვიდრე უელსი. ესაა რომ, ის რაც ისლანდიაში უკეთესია, აქ სრულიად გადაფარულია ბეილის მოულელი და უნიკალური ფიგურით.

ჰოდა, კი გვეცოდინება, რა მოხდა და როგორ. ნამდვილად დამაინტერესებდა ამ ისლანდია-უელსის თამაში დიდ შეჯიბრებაში, სწორედ გასავარდნ თამაშებში, მაგრამ ასე სადაა, დიდები ამბობენ. სულ ჩვენო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



შ[illegible]რითდი განახლებულ

www.liberali.ge_ზე







WWW.LIBERALI.GE

http://twitter.com/LiberaliMagazine

Facebook

http://facebook.com/LiberaliMagazine

http://youtube.com/LiberaliMagazine